

საქართველოს სტუმარი

1239
2003

№1 2003

ISSN 1512-0880

ქურნალის თანმდგომთა საბჭო

ნოდარ ამალღობელი
შოთა აფაქიძე
ლევან ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
სესილი გოგობერიძე
მალხაზ მაალიშვილი
დავით თარხან-მოურავი
ნანა კანდელაკი
ალექსანდრე კარგოზია
თეიმურაზ კომახიძე
ლია ნადარეიშვილი
თემურ ქლენგი
ვახტანგ სართანია
აკაკი სიხარულიძე
ბაკურ სულაკაური
ირაკლი ღარიბაშვილი
რევაზ ღლონგი
თეიმურაზ ჩხენკელი
ირინა ჭანგურიშვილი

ქურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი

გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და
კორექსპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-
კოორდინატორი

ინდსაწარმო „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82



ბარაკანის პოლო გვირგვინი გამომცემლობა
თბილისის კულტურისა და ხელოვნების
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნო-კლასტიკის
სახელოსნოს ხელმძღვანელის ნოდარ თოფურიას
ნახატი



ამერიკის ერთ-ერთ ბირჟაზე - საბავშვო
ბანყოფილება



ვილიამსბურგის საქალაქო ბიბლიოთეკა -
საბავშვო ბანყოფილება



ვილიამსბურგის სკოლის მოსწავლეებთან

195

საერთაშორისო საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული თანამშრომლობა 4

თანამედროვე ტექნოლოგიები

ლევან ბერძენიშვილი, თეიმურაზ ჩხენკელი - ავტომატიზაცია და ინტერნეტი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 7

ბიბლიოთეკა მეცნიერების დასახმარებლად

გულნარა სგურუა - სამოგალოება და მეცნიერება 12

საერთაშორისო ურთიერთობანი

ქართველი სპეციალისტები ამერიკაში 13

ინგა ფილაური-ლორია - მთავარია სიახლე 17

ირაკლი ღარიბაშვილი - ქართველი ბიბლიოთეკარები ჯორჯიაში 23

შთაბეჭდილებანი 26

გამომხატვრება 26

კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტი - 10

თემურ ჟენგი - წარსულსა და დღევანდელს შორის 28

ლამარა ღონდაძე - არიან მამულიშვილური სატკივრით გულშეძრული ადამიანები 32

ახალგაზრდები პროფესიას ირჩევენ 33

სკოლა-ბიბლიოთეკა-ოჯახი

ალექსანდრე ლორია - ბიბლიოთეკა და პედაგოგი 35

ვერა ყურულაშვილი - უმცროსკლასელთა მშობლების ფსიქო-პედაგოგიკური შესწავლების ჩამოყალიბების შესახებ 39

პალეოგრაფიული ძიებანი

ბადრი ცხადაძე - პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობის ტერმინები ქართულში: ყდა, წერაქვა 43

ამაგდარნი

ოთარ ცინარიძე - მთას ნისლი ალამაშებს, კაცს - საქმე 46

იუბილე

გიინაბ ჟიჟილაშვილი - ცოცხალი მემკვიდრე: მერი მელაძე - 100 47

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

გურამ თაყნიაშვილი - ჟურნალი ძალას იკრებს 51

პოლემიკა

ალექსანდრე ლორია, ნინელი მეღვინე - შენიშვნები შენიშვნებზე 53

კორესპონდენციები

თამარ გოგოლაძე, ლალი ბარბაქაძე - ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიგყვას გაბედულს 57

ცილა თხელიძე - ჩვენი ენა ქართული 59

ეთერ ქაშუშაძე - ღია გაკვეთილი ბიბლიოთეკაში 61

კახაბერ ღონდაძე - ბიბლიოთეკა - ინტელექტუალურ ფასეულობათა საუნჯე 62

ჩვენ გვწერენ 64

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები 65

ჩვენი შემოქმედება

დარეჯან მაყიშვილი-საათაშვილი - ნეტა არ მენახა 66

მოსაგონარი

ბოლომდე გაუვლელი გზა - (ნ.გ. მუსერიძე) 67

Содержание

Международное библиотечное и библиографическое сотрудничество	4
Современные технологии	
Леван Бердзенишвили, Теймураз Чхенкели – Автоматизация и интернет в национальной парламентской библиотеке Грузии им.И. Чавчавадзе	7
Библиотека в помощь науке	
Гульнара Стура – Общество и наука	12
Международные контакты	
Грузинские специалисты в Америке	13
Инга Пилаури-Лория – Главное — новшество	17
Ираклий Гарибашвили – Грузинские библиотекари в штате Джорджия	23
Впечатления	26
Отзывы	26
Университет культуры и искусства – 10	
Темур Жгенти – Между прошлым и настоящим	28
Ламара Гонгадзе – Есть люди с болью о родине в сердце	32
Молодые выбирают профессию	33
Школа – библиотека – семья	
Александр Лория – Библиотека и педагог	35
Вера Курулашвили – О формировании психо-педагогических взглядов у родителей младших школьников	39
Терминологические изыскания	
Бадри Цхададзе – Палеографические книговедческие термины в грузинском языке: обложка, клинопись	43
Заслуженные	
Отар Цинаридзе – Горы красят туманы, человека – дела	46
Юбилеи	
Зейнаб Жижилашвили – Живой летописец: Мери Меладзе – 100	47
Библиографическое обозрение	
Гурам Такниашвили – Журнал набирает силу	51
Полемика	
Александр Лория, Нинель Мелкадзе – Замечания на замечания	53
Корреспонденция	
Тамара Гоголадзе, Лали Барбакадзе – Ничто не остановит смелого слова	57
Циала Тхелидзе – Наш язык грузинский	59
Этер Камушадзе – Открытый урок в библиотеке	61
Хахабер Гонгадзе – Библиотека – сокровищница интеллектуальных ценностей	62
Нам пишут	64
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	65
Наше творчество	
Дареджан Макишвили-Сааташвили – Хотя бы мне не увидеть	66
Воспоминание	
Непройденная до конца дорога – (Н. Г. Мусеридзе)	67

Georgian Library N 1-03

Table of Contents:

International Library And Bibliographic Cooperation	4
Modern Technologies	
Levan Berdzenishvili, Teimuraz Chkhenkeli: Automation And Internet Facilities At The National Parliamentary Library Of Georgia By Iliia Chavchavadze	7
Library Supports Science	
Gulnara Sturua: Society And Science	12
International Relations	
Georgian Specialists In USA	13
Inga Pilauri-Loria: Important News	17
Irakli Garibashvili: Georgian Librarians In Georgia	23
Impressions	26
Responce	26
The University Of Culture and Art—10	
Temur Jgenti: Between The Past And Present	28
Lamara Gongadze: Those Who Concern About The Future	32
Youth Chooses Profession	33
School-Library-Family	
Aleksandre Loria: Library And Teacher	35
Vera Kurulashvili: For The Establishment Of Psycho-Pedagogical Outlook Of The Parents Of Schoolchildren	39
Paleographic Searches	
Badri Tskhadadze: Poligraphic – Book- Science Terms In Georgian: Kda (book cover/binding), Tserakva (cuneiform)	43
Custodians	
Otar Tsinaradze: Mist Decorates Mountains And Deeds - A Man	46
Jubilee	
Zeinab Jijilashvili: Live Historian: Mery Meladze –100	47
Bibliographic Review	
Guram Takniashvili: The Journal Takes Steps	51
Polemics	
Aleksandre Loria, Nineli Melkadze- Notes On Notes	53
Correspondences	
Tamar Gogoladze, Lali Barbakadze- Nothing Can Stop A Courageous Word	57
Tsiala Tkhelidze- Our Georgian Language	59
Eter Kamushadze- Open Lesson At The Library	61
Kakhaber Gongadze- Library- The Kingdom Of Intellectual Treasures	62
We Are Written	64
Chronicle	
Chronicle of Library Life; Events, Facts	65
Our Art	
Darejan Makashvili; I Wish I had Not Seen	66
Memories	
The Way Not Passed To The End- (N.G. Museridze)	67



საერთაშორისო საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული თანამშრომლობა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში ფართოდ გაიშალა თანამშრომლობა კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში. რამაც საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული ურთიერთობების დამყარებას სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფა სრულყოფილი სახით შეუძლებელია ამ სფეროში საერთაშორისო კონტაქტების გარეშე. საბიბლიოთეკო საქმე შეუძლებელია სრულყოფილად განვითარდეს ერთი ქვეყნის ფარგლებში. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მსოფლიო საბიბლიოთეკო რესურსების ხელმოსაწვდომობის უზრუნველყოფა მათი დაცვის ადგილმდებარეობის მიუხედავად. ერის სულიერი სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც საბიბლიოთეკო დოკუმენტების სახითაა დაცული საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიულ დაწესებულებებში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და თუნდაც პოლიტიკური პროგრესის თვალსაზრისით.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული თანამშრომლობა ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთი ნიშანთაგანია. ამ სფეროს მსოფლიოს მასშტაბით აერთიანებს ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც ამუშავებენ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას, ქმნიან საერთაშორისო სტანდარტებს და ისეთ მასალებს, რომლებიც აწესრიგებენ ინფორმაციის შინაარსის გაცვლას.

საბიბლიოთეკო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხელს უწყობს არა მარტო საბიბლიოთეკო რესურსების ურთიერთგამოყენებას, არამედ ხელს უწყობს ასევე მოწინავე გამოცდილების გაზიარებას, გაცნობას, საბიბლიოთეკო რესურსების რაციონალურ ორგანიზებასა და დაცვის მექანიზმის შემუშავებას. ამ მიმართულებით დიდ სამუშაოებს აგარებენ ეროვნული ბიბლიოთეკები, რომლებიც, ფლობენ რამდენიმე საბიბლიოთეკო რესურსებს, გეგმაზომიერად აწვდიან საინფორმაციო ტექნოლოგიებს საერთაშორისო დონეზე მათი გამოყენების თვალსაზრისით.

საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული თანამშრომლობის ინტერესს ძირითადად შეადგენს სამეცნიერო ლიგერაგურა, როგორც სამეცნიერო თანამშრომლობის საფუძველი. საერთაშორისო ბიბლიოგრაფიის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ლონდონის სამეფო საზოგადოების მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოცემული “სამეცნიერო სტატიების კატალოგი”, რომელიც მოიცავდა ასი წლის პერიოდის მასალებს 1500-ზე მეტი სახელწოდების საბუნებისმეტყველო ხასიათის ჟურნალებიდან.

პირველი საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კონფერენცია მოწვეული იყო 1895 წელს ბელგიელი სწავლულების ანრი ლაფონტენისა და პოლ ოგლეს ინიციატივით. კონფერენცია ჩატარდა ბრიუსელში. კონფერენციის მიზანს შეადგენდა ყველა ქვეყნის ბიბლიოგრაფიული რესურსების საშუალებით შექმნათ უნივერსალური ბიბლიოგრაფიული რეპერტუარი. ამ მიზნით იმავე წელს ბრიუსელშივე დაარსდა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი, რომელიც 1938 წელს გადაკეთდა დოკუმენტაციის საერთაშო-

რისო ფედერაციად. ფედერაცია გამოსცემს რე-
ფერატულ ჟურნალებს ზუსტ მეცნიერებებში,
ორგანიზაციას უწევს ავტორმატიზებულ საინფორ-
მაციო-საძიებო სისტემებს საერთაშორისო მა-
სშვებაებით. თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო
საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული თა-
ნამშრომლობის თვალსაზრისით გარკვეულ სა-
მუშაოებს ატარებს გაერთიანებული ერების
ორგანიზაციასთან არსებული საერთაშორისო
ორგანიზაცია კულტურის, მეცნიერებისა და გა-
ნათლების დარგში (იუნესკო), რომელიც და-
არსდა 1946 წელს. იუნესკოს ეგიდით ხშირად
ეწეობა საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებები
კულტურის, განათლებისა და მეცნიერების და-
რგში.

ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო-ბიბლიო-
გრაფიული დაწესებულებების თანამშრომლო-
ბის თვალსაზრისით ასევე დიდ სამუშაოებს ატა-
რებს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგა-
ნიზაცია, რომელიც შეიქმნა 1946 წელს. მასში გა-
ერთიანებულია 73 ეროვნული კომიტეტი. კომი-
ტეტი იკრიბება სამ წელიწადში ერთხელ ლო-
ნდონში. თანამედროვე ეტაპზე ამ კომიტეტის
მიერ შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარ-
ტების პროექტები, რომლებიც დიდ როლს
ასრულებენ საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული
პრცესების უნიფიცირების საქმეში.

საყოველთაოდ აღა ცნობილი საბიბლიოთეკო
ასოციაციებისა და დაწესებულებების საერთა-
შორისო ფედერაცია იფლა-ს ნაყოფიერი მუშა-
ობა საერთაშორისო საბიბლიოთეკო და ბიბლი-
ოგრაფიული თანამშრომლობის საქმეში. ეს ფე-
დერაცია დაარსდა 1927 წელს. 1977 წლიდან
იფლა-ს სტრუქტურაში ჩამოყალიბდა ბიბლი-
ოგრაფიული სექცია, რომელიც დიდ როლს
ასრულებს საერთაშორისო უნივერსალური ბი-
ბლიოგრაფიული აღრიცხვის საქმეში. საქართვე-
ლოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა პე-
რიოდულად თანამშრომლობს იფლა-სთან, ქა-
რთველი სპეციალისტები სისტემატიურად მონა-
წილეობენ ამ ორგანიზაციის კონგრესის მუშა-
ობაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ სი-
ვრცეში საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული
თანამშრომლობის გაგრძელებისა და ახალ ეტა-
პზე აყვანის მიზნით 1992 წელს მოსკოვში შე-
იქმნა ევრაზიის საბიბლიოთეკო ასამბლეა. ასა-
მბლეა დააფუძნა დამოუკიდებელ სახელმწი-
ფოთა კავშირის (CHG) ათმა სახელმწიფომ. ასა-
მბლეის კოლექტიურ წევრად ითვლება საქა-
რთველოც. აქ იგი წარმოდგენილი საქართვე-
ლოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
სახით. ევრაზიის საბიბლიოთეკო ასამბლეის ძი-
რითად ამოცანას შეადგენს საბიბლიოთეკო და
საინფორმაციო დაწესებულებების შემოქმედე-
ბითი ძალების კოორდინაცია ინფორმაციული სა-
ზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით. ასამბლეის
ერთ-ერთი მისიათაგანია ეროვნული კულტუ-
რული გრადიციების შენარჩუნება და განვითა-
რება და ამ საქმეში ბიბლიოთეკის როლის გა-
აქტიურება. ასამბლეის მუშაობის პირველ შედე-
გად შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო სა-
მართლებრივი ბაზის შექმნა ბიბლიოთეკებისა-
თვის; საერთაშორისო წიგნგაცვლის ორგანი-
ების ეფექტურობის ამაღლება, ბიბლიოთეკების
პრესტიჟის ამაღლება და ა.შ. ასამბლეა სისტე-
მატურად ატარებს კონფერენციებს, სიმპოზი-
უმებს. 2000 წლიდან ასამბლეა გამოსცემს ყო-
ველკვარგლურ ჟურნალს “ევრაზიის საბიბლი-
ოთეკო ასამბლეის მოამბე”, რომელშიც პროფე-
სიულ ღონებზე გაშუქებული საბიბლიოთეკო
ცხოვრებისა და კულტურული ურთიერთობების
გაუმჯობესების პრობლემები.

საერთაშორისო პროგრამა ამ სფეროში ნა-
ყოფიერ შედეგს იძლევა საქმიანი კონტაქტების,
დელეგაციების გაცვლის, სიმპოზიუმების მო-
წეობის თუ სხვ. ფორუმების ორგანიზებით. 1990-
1992 წწ. და შემდგომ პერიოდში ამ მიმართუ-
ლებით ბევრი სასიკეთო რამ კეთდება საქა-
რთველოს ბიბლიოთეკების ცხოვრებაში. ამ სა-
ქმეში წარმატება რამდენიმე ფაქტორითაცაა გა-
ნპირობებული. პირველი და მთავარი მანისც ის
არის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მიეცა

მეგი საშუალება და შესაძლებლობა გამოსუ-
ლიყო საერთაშორისო არენაზე. ქვეყნის დიდი
ბიბლიოთეკები და წამყვანი სპეციალისტები სი-
სტემატიურად მონაწილეობენ საერთაშორისო
სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშა-
ობაში, რაც თავისთავად აფართოებს ასეთ კო-
ნტაქტებს. მეორე ფაქტორი, რომელმაც ხელი შე-
უწყო საერთაშორისო საბიბლიოთეკო თანა-
მშრომლობის გაფართოებას, ეს, რა თქმა უნდა,
არის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების და-
ხერგვა საქართველოს საბიბლიოთეკო პრაქტი-
კაში. ამ მიმართულებით მუშაობა სულ უფრო
მეტი ინტენსივობით მიმდინარეობს, რაც ნაყო-
ფიერ ნიადაგს ქმნის ასეთი თანამშრომლობის
ეფექტურობის ამაღლებისათვის.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო და ბიბლი-
ოგრაფიული თანამშრომლობის გაღრმავების
საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართვე-
ლოს საბიბლიოთეკო ასოციაციებს. იმედის მო-
მცემია სამივე ასოციაციის (საქართველოს სა-
ბიბლიოთეკო ასოციაცია, ინფორმაციის სპეცი-
ალისტთა ასოციაცია, ავტომატიზაციის სპეცი-
ალისტთა ასოციაცია) კოორდინირებული თანა-
მშრომლობა როგორც ყოფილი კავშირის მა-
სშვებით მოქმედ საბიბლიოთეკო დაწესებულებ-
ებთან და ასოციაციებთან, ასევე მსოფლიოს სა-
ერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაწესებუ-
ლებებთან. ამ მხრივ ჩვენ გარკვეული გამოცდი-
ლება შევიძინეთ, თუმცა გვაკლია შედეგების
პროფესიული გააზრება და დანერგვა ჩვენს სი-
ნამდვილეში.

ქართულ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში სა-
ერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითები
და ფაქტები 1990-იან წლებამდე ნაკლებად გვქო-
ნდა. ცალკეული სპეციალისტები თუ გადიოდნენ
შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ
მხრივ მონოპოლია რუსეთს ჰქონდა აღებული.
ასეთი თანამშრომლობის შედეგებს ქართველი
სპეციალისტები საინფორმაციო წყაროებიდან
თუ შეიგყობდნენ ხოლმე.

თანამედროვე ეტაპზე, როგორც აღნიშნული
იყო, ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ბოლო
7-8 წლის მანძილზე საერთაშორისო ფორუმებზე
ქართული ბიბლიოთეკების მონაწილეობამ გა-
რკვეული შედეგი გამოიღო. საქართველოში ჩა-
გარდა რამდენიმე საერთაშორისო ხასიათის სი-
მპოზიუმი, კონფერენცია. მასალები გამოქვე-
ყნდა ქართულ და უცხოურ ენებზე. აღნიშვნის ღი-
რსია 2002 წელს ქართველ სპეციალისტთა ჯგუ-
ფის მივლინება ლიგვაში. უფრო შთამბეჭდავი
იყო ჩვენი დელეგაციების ყოფნა აშშ-ი 2003
წლის იანვარ-თებერვალში, ამ მივლინებათა
შესახებ მასალებს ვებეჭდავთ ჩვენი ჟურნალის
წინამდებარე ნომერში.

საქართველოს საერთაშორისო საბიბლი-
ოთეკო და ბიბლიოგრაფიულ თანამშრომლობას
გააჩნია რეალური საფუძველი, შესაძლებლობა
და პერსპექტივები. ჩვენი ჟურნალი ასეთ ფაქტე-
ბსა და მოვლენებს პროფესიულ დონეზე გააშუ-
ქებს და, ვფიქრობთ, ეს კიდევ ერთ ნათელ ფუ-
რცელს ჩაწერს საქართველოს კულტურული
ცხოვრების ისტორიაში.



ქო 2680266
ქი 2680266

ლევან ბერძენიშვილი, თეიმურაზ ჩხენკელი

ავტომატიზაცია და ინტერნეტი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

1. ნარსული - 1999 წლამდე

დომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიწყო 1980 წლიდან პერიოდული გამოცემების ხელმოწერის ავტომატიზაციით გეჩინფორმის დიდ კომპიუტერზე. 1984 წელს შეიქმნა უცხოური პერიოდიკის შეერთებული ელექტრონული კატალოგი, 1988 წელს, ამ კატალოგის საფუძველზე, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოცა გეჩინფორმის დიდ კომპიუტერზე აწყო ბილი იუნესკოს პროგრამული უზრუნველყოფის CDS/ISIS-ის გამოყენებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში უცხოური პერიოდიკის შეერთებული საძიებელი. 1989 წელს, როდესაც საქართველოს კულტურის სამინისტრომ ეროვნულ ბიბლიოთეკას შეუძინა პირველი პერსონალური კომპიუტერი IBM PC AT 286, ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო - ავტომატიზაციის განყოფილების თანამშრომლების მიერ მიკრო CDS/ISIS-ში შეიქმნა ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგის სტრუქტურა და მასში დაიწყო ბიბლიოგრაფიული მონაცემების შეგანა "წიგნის მაგიანიდან".

1990 წლიდან ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დაიწყო ელექტრონული ფოსტის გამოყენება.

1995 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკას უკვე ჰქონდა შექმნილი შემდეგი ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები: ქართული წიგნები, ქართული ავტორეფერატები, უცხოური წიგნები, უცხოური წიგნების შეერთებული ელექტრონული კატალოგი (რომლის განახლება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა), გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ინგლისურ-რუ-

სულ-ქართული გერმინოლოგიური ლექსიკონი ინფორმაციაში და სხვა.

1995 წელს დაარსდა ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია, რომელმაც 1996 წელს, ევრაზიის ფონდის გრანტის წყალობით, პირველად განახორციელა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დოკუმენტების ელექტრონული მიწოდების სამსახური უცხოელი მომხმარებლისათვის. <http://laag.iatp.org.ge/>

... ბიბლიოთეკარები უკვე თვითონ მოითხოვენ კომპიუტერებს და მეტი წარმატების ინტერნეტს.

1996 წელს ევრაზიის ფონდის იმავე გრანტის დახმარებით ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციამ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გახსნა კომპიუტერული კლასი 8 კომპიუტერისაგან შემდგარი ლოკალური ქსელით, სადაც ჩაგარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული 100 ბიბლიოთეკარის სწავლება და სამხრეთ კავკასიის ბიბლიოთეკარების სემინარი კომპიუტერული კატალოგიზაციის სტანდარტიზაციის საკითხებში.

1996 წლიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში სოროსის ფონდის ხელშეწყობით მკითხველისათვის 1 კომპიუტერზე ხელმისაწვდომი ხდება ინტერნეტი.

1997 წელს IATP/IREX-მა ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციის კომპიუტერული კლასი ჩართო ინტერნეტში.

1997 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა რეკომენდაცია გაუწია

ინფორმაციაში ინგლისურ-რუსულ-ქართული გერმინოლოგიური ლექსიკონის გამოქვეყნებას.

1998 წელს IATP/IREX-მა ეროვნულ ბიბლიოთეკის მკითხველისათვის გახსნა ინტერნეტ-კლასი 6 კომპიუტერით.

2. ანყო - 1999 წლიდან

1999 წლამდე ეროვნულ ბიბლიოთეკაში იყო მხოლოდ 15 უმეტესწილად მოძველებული კომპიუტერი და ავტომატიზაციის პროცესში მონაწილეობდა ძირითადად ავტომატიზაციის განყოფილება. ნამდვილი რევოლუცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიწყო 1999 წელს, როდესაც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გრანტი, კომპიუტერების რიცხვი გაიზარდა 80-მდე და ისინი დაიდგა თითქმის ყველა განყოფილებაში. ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა კომპიუტერული ლოკალური ქსელი და ელექტრონულ კატალოგებსა და მონაცემთა ბაზებს, ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი ხელმძღვანელობის ძალისხმევით, უკვე აწარმოებენ ბიბლიოთეკარები (და არა ავტომატიზაციის სპეციალისტები) თავიანთ ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე. უფრო მეტიც, ბიბლიოთეკარები უკვე თვითონ მოითხოვენ კომპიუტერებს და მეტი წარმატების ინტერნეტს. დღეს საშუალოდ ექვს ბიბლიოთეკარზე ერთი კომპიუტერი მოდის და, მიუხედავად იმისა, რომ 80-ივე კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში სოროსის ფონდისა და IATP/IREX-ის დახმარებით, თითო თანამშრომელზე მხოლოდ ნახევარი საათი მოდის.

ვინაიდან უფასო ინტერნეტზე მკითხველების დიდი რიგებია, ამიტომ ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში მკითხველებისთვის 1999 წლიდან არსებობს აგრეთვე Sanet-ის ფასიანი ინტერნეტი 7 კომპიუტერზე შეღავათიან ფასებში (რომელზეც აგრეთვე დიდი მოთხოვნაა).

1999 წლის დასაწყისში საფრანგეთის საელჩოსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადგომით საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ალექსანდრე დუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის

მედიათეკა, სადაც მკითხველისათვის, გარდა თანამედროვე ფრანგული ბეჭდური გამოცემებისა, ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ელექტრონული კატალოგი და ფრანგულენოვანი CD-ROM-ებისა და DVD-ის კოლექცია.

2000 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილების თანამშრომლებმა სოროსის ფონდის თანადგომით შექმნეს მთელს მსოფლიოში ცნობილი ინტერნეტის ქართული რესურსების კატალოგი ანუ ვებ-ცნობარი: <http://www.geres.ge/>

2000 წლიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინტერნეტის გამოყენებით, სოროსის ფონდისა და საბიბლიოთეკო კონსორციუმის დახმარებით, მკითხველებისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი უცხოური ძვირადღირებული ჟურნალები (EBSCO): www.gela.org.ge/eifl/

2001 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საფუძველი ჩაეყარა ახალ მნიშვნელოვან მიმართულებას – დაიწყო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა: <http://www.nplg.gov.ge/ic/> მისი მიზანია:

- ქართული მხატვრული და ისტორიოგრაფიული მწიგნობრობის შედეგების, საცნობო ლიტერატურის, ლექსიკონების, საქართველოში გამოცემული პერიოდული გამოცემების, უცხოენაზე ქართველ ავტორთა შრომების, საქართველოს შესახებ უცხოეთში დაბეჭდილი და გამოცემული წიგნებისა და მასთან გათანაბრებული გამოცემების გავრცელება ინტერნეტის საშუალებით;

- ამ გამოცემებისთვის მოხერხებული საძიებო ბაზების შექმნა;

- საჯარო და სხვა სახის სახელმწიფო ბიბლიოთეკებში ხელმისაწვდომი კომპიუტერული მომსახურების შექმნა ელექტრონული ბიბლიოთეკის ფართო საზოგადოების მიერ თავისუფალი და უფასო გამოყენების მიზნით.

2001 წელს დაიწყო საქართველოში გამოცემული წიგნების ბარათული კატალოგის რეგროსპექტული კონვერსია რამდენიმე მეთოდით, მათ შორის რამდენიმე გომად გამოცემული ქართული წიგნების ბიბლიოგრაფიული საძიებლის გამოყენებით, რომელშიც ასახულია ქა-

რთული წიგნი 1629 წლიდან 1950 წლამდე.

2002 წელს სოროსის ფონდის თანადგომით შეიქმნა ინტერნეტის გერმინების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომლის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ყველა გერმინი ამ ლექსიკონიდან შეგანილია კომპიუტერული და საბიბლიოთეკო გერმინების ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონის მინაცემთა ბაზაში:

დღეს უკვე ინტერნეტით ყველასათვის ხელმისაწვდომია ჩვენი ელექტრონული რესურსები შემდეგი მისამართით:
<http://www.nplg.gov.ge>

<http://www.nplg.gov.ge/dictionary/> საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად, გრძელდება მუშაობა საბიბლიოთეკო გერმინებზე.

2002 წელს ფოლკსვაგენის ფონდის, გეგინგენის უნივერსიტეტის, გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის საელჩოს თანადგომით საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელობის გერმანული ბიბლიოთეკა, სადაც მკითხველისათვის გარდა თანამედროვე გერმანული ბეჭდური გამოცემებისა, ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ელექტრონული კატალოგი და გერმანულენოვანი CD-ROM-ების კოლექცია.

ამჟამად სრულდება საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტის შექმნა. დღეს უკვე ინტერნეტით ყველასათვის ხელმისაწვდომია ჩვენი ელექტრონული რესურსები შემდეგი მისამართით: <http://www.nplg.gov.ge/>

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტში განთავსებულ საკუთარ ელექტრონულ რესურსებს შეადგენს:

ელექტრონული კატალოგები:

- ქართული წიგნები (1988-)
- საქართველოში გამოცემული უცხოენოვანი წიგნები
- დისერტაციები (1988-)
- ქართული ავტორეფერატები (1992-)
- დასავლეთის გამოცემები
- კომპაქტ-დისკები (CD-ROM)

მონაცემთა ბაზები:

- ქართველი ავტორები
- კომპიუტერული და საბიბლიოთეკო გერმინების ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი (5 ათასი გერმინი)
- გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზა (1993-2000წწ.)

ელექტრონული ბიბლიოთეკა:

- ელექტრონული წიგნები
- საჯარო ბიბლიოთეკის სტატისტიკური მონაცემები.

ზემოხსენებული ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები მაქსიმალურად ითვალისწინებენ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტებს – ISBD-ებს და ბიბლიოგრაფიული მონაცემების საერთაშორისო გაცვლის სტანდარტებს – UNIMARC-ს. ელექტრონული კატალოგებისა და მონაცემთა ბაზებისათვის ძირითადად გამოყენებულია მონაცემთა ბაზების მართვის ორი სისტემა: CDS/ISIS და ProCite. გარდა ამისა, შექმნილია მკითხველების მონაცემთა ბაზა და პერიოდიკის ელექტრონული კატალოგი Microsoft Access-ში.

CDS/ISIS იუნესკოს უფასო პროგრამული პროდუქტია და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა არ არის მისი გამავრცელებელი საქართველოში. ქართული წიგნების ელექტრონულ კატალოგს CDS/ISIS-იანად ეროვნული ბიბლიოთეკა უფასოდ აწვდის ნებისმიერ ბიბლიოთეკას და ეხმარება მას ქართული წიგნების საკუთარი ელექტრონული კატალოგის შექმნაში.

2001 წელს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ იუნესკოს გრანტით შეიძინა 100 CD-ROM-ი, ჩაწერა მათზე CDS/ISIS და ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგი, მოაწყო სემინარი და დაარსდა ეს სიღირსი. მსურველებს შეუძლიათ მოიგონონ სუფთა სიღირსი ეროვნულ ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილებაში, სადაც მათ უფასოდ ჩაუწერენ ზემოხსენებულს და ასწავლიან წიგნების კატალოგიზაციას CDS/ISIS-ის გამოყენებით.

სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოხერხდა კომპიუტერული კატალოგიზაციის პროცესში ავტორიტეტული ფაილების გამოყენება, რაც რეკომენდებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. უცხოური გამოცემების კომპიუტერული კატალოგიზაციისათვის 2000 წელს სოროსის ფონდის თანადგომით ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციამ შეიძინა ProCite – პროგრამული უზრუნველყოფა, რომლითაც შესაძლებელია საზღვარგარეთული ბიბლიოთეკის ინტერნეტში არსებულ კატალოგში ძებნის ჩატარება და საჭირო ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საკუთარ ელექტრონულ კატალოგში ჩასმა (ე.წ. Z.39.50 სტანდარტის კლიენტის პროგრამა). სამწუხაროდ, ProCite-ში (არც CDS/ISIS) არ არის Z.39.50 სტანდარტის სერვერის პროგრამა. ბოლო გარემოება შეუძლებელს ხდის ProCite-ში (ან CDS/ISIS-ში) შექმნილი კატალოგიდან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გადაწერა ინტერნეტის გამოყენებით კლიენტის ელექტრონულ კატალოგში. გარდა ამისა, არ არის დანერგილი ისეთი პროგრამული გარემო, რომელშიც დაკავშირებული იქნებოდა სხვადასხვა ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები, რის გამოც, მაგალითად, შეუძლებელია გავიგოთ მოთხოვნილი წიგნი საცავშია თუ ვის მიერ და რამდენი ხნით არის გაგანილი და ა.შ.

3. მომავალი

1. როგორც ვხედავთ, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო პროცესების სრული ავტომატიზაციისათვის საჭიროა თანამედროვე, სრული საბიბლიოთეკო ავტომატი-

ზებული სისტემა (მაგ., ALEPH, რომელიც დანერგილია სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში და ა.შ.), კიდევ 300 კომპიუტერი და დიდი გამგარუნარიანობის ინტერნეტი. თანამედროვე საბიბლიოთეკო ავტომატიზებული სისტემის დანერგვით ეროვნულ ბიბლიოთეკაში, წიგნის პალატაში და სხვა ბიბლიოთეკებში შესაძლებელი გახდება ქსელური კოლექტიური კატალოგიზაციის სისტემის შექმნა, რომელიც დიდი ხანია მიღებულია სხვა (განვითარებულ და არაგანვითარებულ) ქვეყნებში.

2. მეორე მძიმე პრობლემა მდგომარეობს ყოველი გამოცემის სავალდებულო ეგზემპლართან ერთად მისი ელექტრონული ვერსიის მიღებაში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელიც უნდა ინახავდეს შთამომავლობისათვის საქართველოში გამოცემულ ყოველ მასალას ციფრული სახით. ამასთან ერთად, ავტორებთან და გამომცემლებთან შეთანხმებით, ზოგი ახალი გამოცემა შეიძლება გამოცემისთანავე ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის ინტერნეტით ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვერიდან (რომელიც ჯერ არ არსებობს).

3. მესამე ძვირადღირებული ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი, რაც კი გამოიცა საქართველოში და მთელი რარიტეტი გადაგანილ უნდა იქნეს ელექტრონულ მაგარებელზე და, კოპირაიგის დაცვით, ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის ინტერნეტით ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვერიდან.

4. არანაკლებ სიძნელის ამოცანას ეროვნული ბიბლიოთეკისათვის წარმოადგენს საქართველოს სერვერებზე განთავსებული მთელი ინფორმაციის ასლების შექმნა წელიწადში ერთხელ და მათი შენახვა ჩვენი შთამომავლობისათვის.

5. მეორე, მესამე და მეოთხე ამოცანებს შეიძლება დავეუკავშიროთ ქართული ინტერნეტისათვის ქართული ძებნის მექანიზმის შექმნა, რომელშიც სრულად იქნება ინტეგრირებული საქართველოს ინტერნეტში განთავსებული ყველა

ლოკუმენტი გექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში. ამ მეხუთე ამოცანის გადაწყვეტისათვის უკვე გადადგმულია წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი და საბოლოო პროდუქტის მისაღებად არც ისე დიდი თანხაა საჭირო.

6. თითქმის ყველა წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ 1 წელიწადში შეიქმნას და დაინერგოს ლოკუმენტების ელექტრონული მიწოდების სამსახური საქართველოს ფარგლებში. ამ სისტემას ორმხრივი სარგებლობა ექნება: თბილისის დიდი ბიბლიოთეკები სწრაფად და ეფექტურად მიაწოდებენ რეგიონალური ბიბლიოთეკების მკითხველებს მათთვის საჭირო ინფორმაციას და პირიქით, დედაქალაქის ბიბლიოთეკები მიიღებენ ელექტრონულ მატარებელზე ადგილობრივი წარმოშობის ინფორმაციას. არანალებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლოკუმენტების ელექტრონული მიწოდების პროცესში ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი ლოკუმენტი, შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ, შეიძლება იქნეს შეგანილი ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვერზე და გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი.

7. იმისათვის, რომ საქართველოს ქურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია ადვილად მოსახასი და მოხმარებადი გახდეს, საჭიროა შეიქმნას საქართველოს ქურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზა საქართველოს წიგნის პალატასთან ერთად. ამ ამოცანის გადაწყვეტა ProCite-ისა და CDS/ISIS-ის გამოყენებით სავსებით შესაძლებელია, მაგრამ აქ საჭიროა გარკვეული კვლევითი სამუშაოების ჩატარება, შესაბამისი სტანდარტების მიღება, კომპიუტერების რაოდენობის შეფასება და შექენა, ProCite-ის დამატებითი ეგზემპლარე-

ბის ან სხვა თანამედროვე იაფიანი ბიბლიოგრაფიული პროგრამული უზრუნველყოფის ყიდვა და ბოლოს, პერსონალის სწავლება. ე.ი. დახმარება არც ისე ძვირიანი გრანტის სახით.

8. ჩვენი ბიბლიოთეკები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები ძღვნის სახით ხშირად იღებენ ძვირად ღირებულ და საჭირო გამოცემებს დასავლეთიდან, მაგრამ თუ კაცს რაიმე თანამედროვე უცხოური გამოცემა დასჭირდა, მან პირადად უნდა შემოიაროს ყველა დაწესებულება (თუ შეძლო) რომ მიაგნოს საჭირო გამოცემას. საქართველოს ორგანიზაციების მიერ მიღებული თანამედროვე საზღვარგარეთული გამოცემების ინტერნეტში განთავსებული შეერთებული ელექტრონული კატალოგები რადიკალურად შეცვლიდა არსებულ მდგომარეობას და ხელმისაწვდომს გახდიდა ყველასათვის დღეისათვის დაფარულ ინფორმაციას. ისევე როგორც წინა ამოცანაში, აქაც ამ ამოცანის გადაწყვეტა ProCite-ისა და CDS/ISIS-ის გამოყენებით სავსებით შესაძლებელია, მაგრამ აქაც საჭიროა გარკვეული კვლევითი სამუშაოს ჩატარება, ხელშეკრულების დადება მონაწილე ორგანიზაციებთან, შესაბამისი პროგრამა-კონვერტორების დაწერა, კომპიუტერისა და ProCite-ის დამატებითი ეგზემპლარების ყიდვა, გექნოლოგიის შემუშავება და პერსონალის სწავლება. ეს პროექტიც არც ისე ძვირიანი იქნებოდა პირველ ოთხ ამოცანასთან შედარებით.

გემოჩამოთვლილი 8 ამოცანის შესრულება შედის ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნულ მოვალეობებში, რომელთაც ესაჭიროება არამარტო საქველმოქმედო ორგანიზაციების, არამედ მთავრობის მხარდაჭერაც.



გულნარა სგურუა

საზოგადოება და მეცნიერება

ართული მეცნიერების სასახლო და ვრცელი ისტორიიდან მხლოდ ერთ ცნობილ ისტორიულ ფრაგმენტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას:


როდესაც 424 წელს, საქართველოს მეფის – დიდი ბაკურის ვაჟიშვილი – პეტრე კონსტანტინოპოლს თეოდოს იმპერატორის კარზე გაემგზავრა (როგორც მძევალი), პეტრეს მასწავლებლის – იოანე ლაზის, ბაქარია ქართველის (მისივე ბიოგრაფი იყო) და სხვა ქართველთა თანხლებით, ეს იყო კიდევ ერთი ისტორიული მომენტი უძველესი ქართული მეცნიერული ჯგუფის შექმნისა. საყურადღებოა, რომ იოანე ლაზს განათლება მიღებული ჰქონდა კოლხეთის ცნობილ ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში, ხოლო მისი გამზდილი პეტრე იბერიელი არეოპაგიტული კრებულის ავტორია. მის ფილოსოფიურ გრაქტაგებს მსოფლიოს მეცნიერები დიონისე არეოპაგელის ავტორობით იცნობდნენ XX საუკუნის პირველ ნახევრამდე, სანამ 1952 წელს ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა მსოფლიოს არ ამცნო თავისი სენსაციური მიკვლევა: არეოპაგიტული კრებულის ავტორად აღიარებულ იქნა პეტრე იბერიელი, რომელიც მის მოწაფეებთან ერთად მოღვაწეობდა იერუსალიმის ქართულ საეანეში – იბერთა მონასტერში და საბაწმინდაში. ეს გაძრები ქართული განათლებისა და მწიგნობრობის დიდ ცენტრებს წარმოადგენდნენ პალესტინაში მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული. საყურადღებო და ქართული მეცნიერებისათვის კიდევ ერთი საამაყო ფაქტია ის, რომ ჰონიგმანამდე ათი წლით ადრე 1942 წელს ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ მიაგნო დიონისე არეოპაგელის ნამდვილ ვინაობას.

ქართულ მეცნიერებას ხანგრძლივი, სასახლო ისტორია აქვს. და თუკი მკითხველი ქვემოთ ავტორის კრიტიკულ გონს შენიშნავს, ის ქართული მეცნიერების სახლოვანი მიღწევების უგულებელყოფა როდია. პირიქით, უკეთესობისაკენ მისწრაფებაა საზოგადოებისა და მეცნიერების ურთიერთთანადგომის, თანამშრომლობის საკითხებში.

მეცნიერება ადამიანის გონების შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. იგი მრავალწახნაგოვანია, რომელშიც თავსდება, განისაზღვრება და დიფერენცირდება კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება.

ბუნება და მისი დვიძლი ქმნილება – ადამიანი ერთმანეთის კვალდაკვალ ქმნიდნენ მეცნიერების იმ დარგებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ კაცობრიობის მთელი რიგი ცივილიზაციების დამკვიდრებას. ადამიანი და მეცნიერება ბუნების სასწაულებრივი ჩარევით და შემოქმედებით ქმნის ეპოქას, ხელს უწყობს ამა თუ იმ საზოგადოების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

იმისათვის, რომ შეძლოს თანამედროვე წარმოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მეცნიერული ცოდნა ესაჭიროება თითოეული დარგის ყოველ სპეციალისტს. ამ ცოდნით იქმნება საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი ნივთიერი ნაყოფი. მეცნიერების და საზოგადოების მჭიდრო კავშირი სწორედ ასეთი ურთიერთობით განისაზღვრება. მეცნიერება იქმნება საზოგადოებისათვის, მეცნიერება მუშაობს საზოგადოებისათვის. მაგრამ მეცნიერების განვითარების ბაზისი განათლებული ქვეყანაა. სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერე-



ბის ნაღვაწი – ეს არის საფუძველი იმისა, რომ ამდღეს საზოგადოების განათლების დონე.

არა მგონია, რომ ქვეყანაში მეცნიერების განვითარების მნიშვნელობის მცოდნე ადამიანებს არ აინტერესებდათ, რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ამ მიმართულებით.

იმპერიის ნგრევასთან ერთად, როგორც მის შემადგენლობაში შემავალ სხვა რესპუბლიკებში, საქართველოშიც დაიშალა კომუნისტური წყობილება, რომლის დროსაც ყვაოდა სავალდებულო საშუალო განათლების თეორია და პრაქტიკა. ყველა ამთავრებდა საშუალო სკოლას. შემდგომში, საშუალო განათლების სისტემაში შეიჭრა პროფესიონალური სასწავლებლები, რომლებსაც პრინციპულად არაფერი შეუცვლიათ: როგორც საშუალო სკოლადამთავრებულები, ასევე პროფტექნიკუმადამთავრებულთა მთელი რიგი მასები უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ აგესტაგებისათვის იღვწოდნენ და არა ვიწრო სპეციალობების დაუფლებისათვის. ერთი შეხედვით, ამ მოვლენაში საკვირველი არაფერია: ადამიანებს სურდათ განათლების სრულყოფა ამა თუ იმ პროფილით, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის დასაუფლებლად. საუბედუროდ, ამ მასიურ სწრაფვას შედეგად მეცნიერების გაყალბება მოჰყვა, რადგანაც თვითმიზანი ცოდნის გაღრმავება კი არ გახლდათ, არამედ დიპლომის მოპოვება თანამდებობის დასაკავებლად. საქმე უფრო შორს წავიდა მაშინ, როდესაც დიპლომომანებს საკანდიდატო ხარისხის მოპოვებულთა დიდი რიგები შეემატა. ახლა უკვე მეცნიერება მაგერიალური წარმოების პროგრესად კი არ მოგვევლინა, არამედ – საზოგადოების დამამუხრუჭებელ მექანიზმად. თემების კითხვა-წერა-გადმოწერაში გართული კასტა უმოქმედო, სანახევროდ მიკეტილ ლაბორატორიებში განთავსდა, რასაც შედეგად, რა საკვირველია, მეცნიერების აყვავება არ მოჰყოლია, მასტიმულირებელი ზეგავლენა არც საზოგადოებრივ წარმოებაზე მოუხდენია.

აქვე მინდა შევეხო ბიბლიოთეკათმცოდნე-

ობას, როგორც მეცნიერების ერთ-ერთ განვითარებად დარგს. ბიბლიოთეკათმცოდნეობა მჭიდრო კავშირიშია საზოგადოებასთან და ორიენტირებულია ადამიანზე. ბიბლიოთეკები უშუალოდ მონაწილეობენ ადამიანის მთავარი რესურსის – ინტელექტის შექმნაში, ადამიანის სულიერ და მნეობრივ გამთლიანებაში, განათლებასა და ცოდნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს არცთუ ისე უმნიშვნელო ადგილი ეჭირა საბჭოთა სისტემაში, იგი დროთა განმავლობაში საზოგადოებისა და თვით სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ დაკარგა პოლიტიკური ორიენტირება... ლენინურ-სტალინური იდეებისაგან დაბანგულმა მაშინდელმა საზოგადოებამ ბოლოს ნელ-ნელა იწყო გამოფხიბლება, მაგრამ იგი იმთავითვე მეორე უკიდურესობაში გადაგარდა: პრაგმატულ-ყოფითმა პრობლემებმა შეიპყრო და სულ სხვა საბრუნავი გაუჩნდა. ბიბლიოთეკათმცოდნეობამ ვერ მოიპოვა ის როლი და ადგილი საზოგადოების განვითარებაში, რაც მას ეკუთვნოდა. მაგერიალურად უძლურმა, მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფმა დარგმა დაკარგა ავტორიტეტი. ობივაციურად განწყობილ საზოგადოებას ბიბლიოთეკებისადმი გულგრილობა დაეცყო. ასეთი განწყობა დღემდე გრძელდება...

ესაუბრობთ რა ბიბლიოთეკათმცოდნეობის საბჭოთა პერიოდზე, არ უნდა დაგვაიწყდეს ის მძლავრი ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული ინტუსტრია, რომელიც იმ ეპოქაში შეიქმნა.

დღევანდელი ბიბლიოთეკების ფონდები სწორედ იმ დროის მონაპოვარია, რასაც გაფრთხილება, მოვლა, გადახალისება და გამდიდრება სჭირდება და არა მარტო ეს... დღეს, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პირობებში, საბიბლიოთეკო საქმის რეფორმირების ახალი გზების ძიების დროს ბიბლიოთეკებისათვის საჭიროა საზოგადოების და სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერა, გაგება, აღიარება და ცო-

დნა იმისა, რომ ინფორმაციული საზოგადოების გარეშე არ არსებობს დემოკრატია, ბიბლიოთეკების გარეშე არ არსებობს ინფორმაციული საზოგადოება, რომ ხალხის ცხოვრების დონე დიდად არის დამოკიდებული ინფორმაციით მომსახურების ხარისხზე, რომ ოცდამეერთე საუკუნის დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული რეალიები კარგად დაფი-

ინფორმაციული საზოგადოების გარეშე არ არსებობს დემოკრატია, ბიბლიოთეკების გარეშე არ არსებობს ინფორმაციული საზოგადოება

ნანსებულ, ეფექტურ საბიბლიოთეკო მომსახურებას მოითხოვს.

როგორც ვთქვით, საბიბლიოთეკო მეცნიერების განვითარება შეერთებულია საზოგადოების მაგერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროებთან და გამოიხატება თანამედროვე ბიბლიოთეკების ორგანიზებასა და მუშაობაში. სამწუხაროდ, აქ ჩვენ თავის მოსაწონებელი არაფერი გვაქვს.

80-90 – იანი წლების ქართულ ცხოვრებაში საოცარი რამ ხდებოდა. მეცნიერების სტრატეგიული გზების ძიებისათვის არ ჩანდა ერთობლივი სულისკვეთება, არ ჩანდა ბრუნვა მეცნიერების როლის ამოქმედებისათვის საზოგადოებაში.

საზოგადოება იქცა როგორც პარგოკრაგიული, ისე ინტელექტუალური ელიტისაგან გარიყულ მასად. იმიტომ იყო, რომ ამ უკანასკნელთა წარმომადგენლებს განათლების ქართული სისტემის საშუალებით სურდათ ან ერთ ან მეორე (ე.ი. ან პარგოკრაგიულ ან მეცნიერულ-ელიტარულ) კასტაში მოხვედრა. მეცნიერების გამოყენების პრობლემები: მეცნიერული მოღვაწეობის ორგანიზაციის შესწავლა, პოლიტიკა მეცნიერულ სფეროში, მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირების ინფორმაციული პროცესები პრობლემებად რჩებოდა. ახლის შექმნას რომ თავი დაგანებოთ, ქართული მეცნი-

ერება ვერ უწყობდა ხელს უძველესი ეროვნული დარგების აღორძინებასა და განვითარებას. მედიცინა, ქიმია, აგრონომია და სხვა, მეცნიერების ის დარგებია, რომელთაც დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში. ჩვენი ქვეყანა ხორბლის ჯიშების მრავალსახეობით განთქმული იყო, მას სიმინდის კულტურის მეორე დედაც შეიძლება ვუწოდოთ, ვენახის ჯიშებზე რომ არაფერი ვთქვათ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ მისცა კი ამ კულტურებს განვითარების და მერე მსოფლიო ბაზარზე თავისი პრიორიტეტის მოპოვების საშუალება? მაშ, სხვა რა არის საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თუ არა მეცნიერების შესაბამის დარგებში პრაქტიკული განვითარება?

ქართული ისტორიოგრაფიაც კი, რომელსაც ბუმბერაზი ფუძემდებლები ჰყავდათ, იმდენად თავდახუფული აღმოჩნდა, რომ საქართველოს ისტორია მსოფლიოს კი არა და, საუბელუროდ, ჩვენს ხალხსაც ვერ გავაცანით. საკუთარი ქვეყნის ისტორიის არცოდნას კი შედეგად დიდი ეროვნული გრატედია მოჰყვა (მხედველობაში მაქვს აფხაზეთის და ცხინვალის უახლესი ისტორია, თავისი ამბობენი შედეგებით). ვფიქრობ, რომ არცოდნისა და უმეცრების ნაყოფია დღეისათვის აქტიურად მიმდინარე მოვლენები: მართლმადიდებელ ქართველთა გაერთიანება იელოველთა სექტებში.

დღესდღეობით ვითარება უცვლელი რჩება. ერთია, რომ საზოგადოებისა და მეცნიერების ურთიერთობა საქართველოში უსაზღვრო რაოდენობის უმაღლესი სასწავლებლების გახსნით გამოვლინდა. ყოველ მეორე სახლში უნივერსიტეტის დაფუძნება და ისიც უბიბლიოთეკოდ, ქართული ამროვნების დაბეჩავება და ანომალიაა (იქნებ დროით განპირობებული?). რას უქადის ასეთი ნირის დამკვიდრება ჩვენს ყოფას?

თემა – “საზოგადოება და მეცნიერება” გლობალური თემაა, მსოფლიო ცივილიზაციების სიმალლიდან გადასახედი, მაგრამ, როდესაც ამ თემას შენი სამშობლოს პრობლემებს მიუსადა-

გებ, მაშინ ორ ცნებას – “მეცნიერებასა” და “საზოგადოებას” შორის ჩნდება მესამეც – “პოლიტიკა”. რასაკვირველია, ის სენი, რაც ქართული საზოგადოებისა და მეცნიერების ურთიერთობებს ქართული ცივილიზაციის გზაზე სჭირს, მხოლოდ ამ ორი რეალის ერთმანეთთან თავისთავად მომხდარი გაუცხოების შედეგი როდია. ეს იმ პოლიტიკური წყობილების შედეგია, რომლის მართვითა და თაოსნობითაც ცხოვრობდა და არსებობდა ქართული სამყარო. ეს იყო კომუნისტური წყობილება. თუმცა, ჯერჯერობით ასე გრძელდება დღესაც...


მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, წიგნიერებაა. ქართულენოვანი წიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგში ნაკლებად მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში, სამეცნიერო ლიტერატურა იმდენი არა გვაქვს, რომ მან კონკურენცია გაუწიოს უცხოენოვან, როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურას. ამ მიზეზით ქართველი მკითხველები წინათ რუსულენოვან მკითხველებად იქცნენ. ამავე მიზეზითვე, ამჟამად მთელი საქართველო დასავლური ენების შესწავლაზეა გადასული. ერთი შეხედვით, ყოველივე ეს თითქოს კანონზომიერია, მაგრამ ხომ

უჭირს ერისათვის ყველაზე სათუთ, ყველაზე ფუქიმ კულტურულ-ეროვნულ ელემენტს – ენას? “...რის ხარჯზე ხდება დაწყებითი კლასებიდანვე ორი და სამი უცხო ენის გაძლიერებული სწავლება?” – გვეტყვიან მშობლების ჯიბის ხარჯზეო, მაგრამ არა, ქართული ენის ხარჯზე და აღსაზრდელთა ცნობიერების დეგრადაციის ხარჯზე! საგანმანათლებლო “ბაზარზე” მშობლიური უცხოურზე ათჯერ ნაკლები “ღირს”. პირდაპირ უნდა ითქვას, დღეს ჩვენში შეჯიბრია “გასაქცევი კონგინგენცის” მიზიდვა-მომზადებაში.

“დასაგოვებელ კადრებს” არავინ ამზადებს... ეროვნული დისციპლინები და დარგები კადრების დეფიციტს განიცდის...” (ავთ. არაბული – “საქ. რესპ” № 60, 15 მარტი, 1997).

ახლა ხშირად გავიგონებთ: “დღევანდელ პირობებში სიმამაცა იმუშაო მეცნიერებაში და პირნათლად აკეთო შენი საქმე”... მეცნიერება ყოველთვის იმ მამაცთა საქმე იყო, რომელთაც იშვიათ ინტელექტუალთა რიცხვს მივაკუთვნებთ.

მეცნიერების განვითარება საზოგადოების განვითარებისა და მაგერიალურ-ტექნიკური აყვავების აუცილებელი პირობაა.



ქართული სპეციალისტები ამერიკაში

ანვარსა და თებერვალში ქართველ სპეციალისტთა ორი ჯგუფი სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მათ ორი შტატის ფარგლებში დაათვალიერეს მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკები და გაეცნენ კოლეგების გამოცდილებას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ვიზიტორებზე. თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ ისინი ბევრს ჰყვებიან და წერენ, გვიზიარებენ მოსაზრებებს, გამოთქვამენ სურვილებსა და წინადადებებს, ბრუნავენ მიღებული ცოდნის გამოყენებაზე ჩვენს პირობებში. დღეს ჩვენ ამ მასალის ნაწილს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს და იმედს გამოვთქვამთ, ამგვარი ვიზიტები კვლავ მოეწყობა.

გვინდა მადლობა მოვახსენოთ ყველას – პიროვნებასა თუ დაწესებულებას – რომლებმაც იზრუნეს ამ საქმის მოგვარებაზე, მის ორგანიზებასა და დაფინანსებაზე. ესენი არიან: აშშ გა-



ნიუ-იორკი. კათოლიკური ეკლესია

ნათლებისა და კულტურის საქმეთა დეპარტამენტი, საქართველოში აშშ-ს საელჩო, მასაჩუსეტსის შტატის ქ. ამჰერსტის სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, “პროექტი ჰარმონია – საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა”.



ინგა ფილაური-ლორია

ს.ს. ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის კათედრის დირექტი

მთაპარია სიახლე



აყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ბიბლიოთეკები არნახულ კრიზისს განიცდიან. მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონის გარდა, დიდ ხელისშემშლელ პირობას ის წარმოადგენს, რომ არც მეთოდიკური დონე არის მაინც და მაინც მაღალი. ყველაზე დიდი ნაკლი სიახლეთა გაუთვალისწინებლობაა, რაც აბსოლუტურად ობიექტური მიზეზითაა გამოწვეული. საბიბლიოთეკო სპეციალისტთა უდიდესი ნაწილისათვის ცნობილი არ არის ის სიახლეები, რომლებიც დღეს მოწინავე ქვეყნების ბიბლიოთეკებშია დაწერგილი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს საბიბლიოთეკო სისტემაში, ფაქტობრივად, მეთოდური მუშაობა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე სრულყოფილად ვერ არის მოგვარებული. ყოველივე ეს დიდად აფერხებს ბიბლიოთეკების ახალ კონცეფციაზე გადაყვანას. სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ბიბლიოთეკართა ერთი ჯგუფის სტაჟირებაზე გაგზავნას შეერთებულ შტატებში. პროგრამა მთლიანად დაფინანსებული იყო აშშ-ს განათლებისა და კულტურის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. პროექტის

განხორციელების ინიციატორს წარმოადგენდა მასაჩუსეტსის შტატის ქ. ამპერსტის სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტი. საქართველოს მხრიდან პროექტის თანაავგორია ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. პროექტის მენეჯერი – ჯული ჰუქს დევისი სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო პროგრამის დირექტორობა დაკისრებული ჰქონდა ცნობილ ქართველოლოგს სტივენ ჯონსს. შეგვარჩიეს 16 კაცი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. ესენი არიან: ა. ჩხენკელი, ნ. ხვედელიანი, დ. მჭედლიშვილი, ო. შოთაშვილი, ლ. კვინიკაძე, ი. ფილაური-ლორია (თბილისი), რ. წაქაძე, ნ. გეგეშიძე (ქუთაისი), ნ. კარკაძე, ნ. კამბიძე (გორი), მ. არაბული, მ. წიკლაური (თელავი), ც. ფაცაცია, ხ. ბეჭვაია, პ. უგულავა (ზუგდიდი), ნ. ჭელიძე (ფოთი).

პროგრამის მონაწილეებს 3 იანვარს ამერიკის საელჩოში შეხვედრას გვიწყობს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი შერონ ჰაგსონდინი. ამ შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ განყოფილების თანამშრომლები: ირინა ჭანგურიშვილი და ნინო ჩხენკელი, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ პროგრამის განხორციელებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც ამ საქმის განხორციელებისათვის გასწიეს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა და ამავე ბიბლიოთეკის ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა თემურ ჩხენკელმა.

4 იანვარს დილით ჩვენი ჯგუფი ლონდონის რეისით მიფრინავთ. მონაწილეები ვეცნობით ერთმანეთს, უმრავლესობა ჩვენი სპეციალობის



აგაპრსტი. ჯონსის ჰიბლიოთეკა

კურსდამთავრებულია. მშენიერი განწყობი-
ლება გვაქვს. ლონდონიდან ამერიკისაკენ მიმავალ თვითმფრინავში ვთავსდებით. ვმხიარუ-
ლობთ, ვსაუბრობთ და დროც შეუმჩნევლად გა-
დის. კენედის აეროპორტში ჩვენი მასპინძლები
გვხვდებიან, სწავლებისა და განვითარების
ინსტიტუტიდან კოორდინატორი ედგარდო
როგჰეკელი და თარჯიმანი რომან იაკუბი. ღა-
მის 4 საათზე უკვე ამჰერსტში ვართ, შესანიშნა-
ვად მოწყობილ კოფეჯებში დავინახვით. ღილი-
თვე იწყება ქალაქის დათვალიერება, ღღის მე-
ორე ნახევარში შეხვედრა რესტორან “ტავე-
რნაში”. ჩვენთან არიან ჯული ჰუქს ღევისი და
სტივენ ჯონსი. მეორე ღღეს მივყავართ სწავლე-
ბისა და განვითარების ინსტიტუტში, სადაც ვე-
ცნობით პროგრამის ყველა მონაწილეს ამერი-
კის მხრიდან. ინსტიტუტის პრეზიდენტი ღელ მი-
ლტონი გვესაღმება და ამბობს, რომ ჩვენ ვართ
ჩვენი ქვეყნის პირველი ელჩები ამ საქმეში. ოფი-
სში კედელზე ვხედავთ საქართველოს რუკას და
ღროშას. რუკაზე სულ მალე ათავსებენ ჩვენს
ფოტოებს, ჩვენი პირადი მოკლე მონაცემებით.

სტაჟირების პროგრამა ითვალისწინებდა
ლექცია-სემინარებს აქტუალურ თემებზე, რო-
მლებიც სხვადასხვა ბიბლიოთეკებში გარღე-
ბოდა: აშშ მთავრობა და სამოქალაქო საზოგა-
ღობა, კატალოგიზაცია და კოოპერირება, სა-
ზოგადოებრივი სერვისების გაფართოება, კატა-
ლოგიზაციის წყაროები, სტრატეგიული დაგე-
გმვა ბიბლიოთეკებში, ბიბლიოთეკებისა და სპე-



გაუთე-ჰოლიოკის კოლეჯის ზიზლიოთიკაჰი

ციალური პროგრამების დაფინანსება, ტექნო-
ლოგიის ზეგავლენა საბიბლიოთეკო სერვისებზე
და სხვ. ლექციების გარდა გათვალისწინებული
იყო პრაქტიკული სამუშაოები “შეღოუნგი” (ბი-
ბლიოთეკის მუშაობაზე დაკვირვება). ყოველი
კვირის ბოლოს ღგებოდა ბრიფინგები და გა-
ნვლილი პროგრამის შეფასება, აგრეთვე მომღე-
ენო კვირის პროგრამის დაგეგმვა. ბოლო 4 ღღე
ჩვენ ვიმუშავეთ ბიბლიოთეკის სტრატეგიულ გე-
გმებზე, მერე წარმოვადგინეთ ჩვენი პროექტები
მომავალი გრანტებისათვის და მოვაწყვეთ მათი
დაცვა. რაოღენ სასიხარულო იყო, როღესაც და-
ცვის შემღეგ ინსტიტუტის ოფისში სხვა ქვეყნის
ღროშებთან ერთად საქართველოს ღროშაც
აფრიაღდა.

ჩვენი სპეციალისტებისათვის მეგაღ საინტე-
რესო იყო ამერიკული ბიბლიოთეკების გაცნობა.
დავიწყეთ ამჰერსტში ჯონსის სახეღობის
საჯარო ბიბლიოთეკით, რომელიც ერთ-ერთი
უღვეღესია შტატებში. იგი უფასოღ ემსახურება
ყველა ასაკის მკითხველს, ყვეღაზე ღიღი განყო-
ფიღება სპეციალური კოლექციისაღ, სადაც თა-
ვმოყრიღია მასაღები ამ მხარის შესახებ, და
სრული ინფორმაცია გამოჩენიღ აღამიანებზე.
მაგ., პოეტი ქალი ემიღია ღიკენსონი, რომელიც
ამ ქალაქშია დაბაღებული, ამომწურავად არის
წარმოღგენიღი. აქვთ ეღექტრონული კატა-
ლოგი.

ჩვენზე მეგაღ სასიამოვნო შთაბეჭდიღება
დაგოვა მანთ ჰოლიოკის ქალთა კოლეჯმა,



ოფისში სტივენთან ერთად




მანუელ-პოლიოქის კოლეჯის ბიბლიოთეკა

რომელიც ძველ არქიტექტორულ ნაგებობას წარმოადგენს. მასში საკმაოდ დიდი ნაწილი აქვს დათმობილი ბიბლიოთეკას; საგულისხმოა, რომ კოლეჯის საინფორმაციო ცენტრი ბიბლიოთეკას შეუერთდა და ამრიგად ერთიანი ორგანიზმში შეიქმნა. ბიბლიოთეკას აქვს 5 კოლეჯის გაერთიანებული კატალოგი, საინფორმაციო ტექნოლოგიური განყოფილება, რომელიც ეხმარება მკითხველს ყოველგვარი ინფორმაციის მიღებაში. ამ ბიბლიოთეკაში 43 წიგნი აქვთ ქართულ ენაზე. ბიბლიოთეკა მუშაობს კონგრესის ბიბლიოთეკის საკლასიფიკაციო სქემით. სწორედ ამ ქალთა კოლეჯში მუშაობს ჩვენი პროგრამის დირექტორი, ქართველოლოგი სტივენ ჯონსი, რომლის ოფისში საქართველოს დროშა ფრიალებს. არასოდეს დამავიწყდება ამ ადამიანის გულისხმიერი დამოკიდებულება ჩვენი ჯგუფისადმი. სტივენ ჯონსმა მთელი ჯგუფი მიგვიწვია სახლში; ჯგუფურად მოვამზადეთ სადილი და გავმალეთ ქართული სუფრა. სტივენ ჯონსს ყველაფერი ქართულად აქვს მოწყობილი ოჯახში. დიმილით გვეგებება მისი მეუღლე მარინა მახარობლიშვილი, რომელსაც გვერდს შესანიშნავი ორი ვაჟი უმშვენებს.

ცხადია, განსაკუთრებული ძეგლებით ვესტუმრეთ მასაჩუსეტსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვ. დე-ბუას სახელობის ბიბლიოთეკას. ის ცალკე კორპუსშია მოთავსებული და 27 სართულისაგან შედგება. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ბიბლიოთეკაა. მართალია, ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტისაა, მაგრამ ემსახურება ყველას ბავშვებსაც კი. XIX ს. დასაწყისშია აშენებული და 3 მილიონ ერთეულს ითვლის. ეს არის ერთადერთი ბიბლიოთეკა ამ შტატში, სადაც ხდება სამთავრობო დოკუმენტების დაცვა. ამ განყოფილების უფროსია პროფ. ლეონარდ ადამსი, მისგან შევიგყვეთ, რომ ფედერალური მთავრობა ზოგიერთი ინფორმაციის გაცემას კრძლავს, ამის თაობაზე სპეციალური ბრძანებაც მიიღეს. ყოველი საჯარო ბიბლიოთეკა მოვალეა ხელი შეუწყოს სიგყვის თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს არ უნდა გაავრცელოს უხამსი ლიგერატურა. ვირჯინიის შტატში მიიღეს გადაწყვეტილება დაეწესებინათ რაიმე შეზღუდვა ინტერნეტზე, რათა ამით როგორმე დაეცვათ მოზარდები პორნოგრაფიული მასალებისაგან. გადაწყდა ინტერნეტის ე.წ. “ფილტრაცია”. მიიღეს კანონი არაცენზურული ინფორმაციის გავრცელების შესახებ. ეს კანონი კრძალავს ისეთი მასალების გავრცელებას, რომელიც ბავშვებს ზიანს მიაყენებს. ეს შტატი ამერიკაში ყველაზე პროგრესულ შტატად ითვლება.

გაგვაცნეს ერთი შემთხვევა: სასკოლო ბიბლიოთეკაში ბავშვებისათვის დაწერილ ანთოლოგიაში მშობელმა წაიკითხა უხამსი სიგყვა და ბიბლიოთეკას უჩივლა ამ წიგნის შექმნისათვის. ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილების მი-



სნავლაჰისა და განვითარების ინსტიტუტი. პროგრამის ქართველ მონაწილეთა საცნობო პლაკატი

ზნით, ფედერალურმა მთავრობამ მიიღო კანონი “კომუნიკაციების ზნეობრივი სტანდარტების შესახებ”. “კანონი კრძალავს შეურაცხყოფელი მასალების გავრცელებას”. ამ ბიბლიოთეკაში არის 272 წიგნი საქართველოს შესახებ, არის ქართული ენის გრამატიკა და ქართული ანთოლოგია.

სასიამოვნო მოგონებად გვრჩება ქალაქები: სპრინგფილდი, ჰეიდენვილდი, ვილიამსბურგი, პაგარა საქალაქო ბიბლიოთეკები, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველა ფორმაა გამოყენებული. მკითხველები რომ მოიზიდონ, გვგმავენ საინტერესო ღონისძიებებს: “ბიბლიოთეკა თქვენს საფოსტო ყუთში”, “შეხვედით და გაიცანით თქვენი მემობელი”, ხმამაღლა კითხვა-საუბრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის და სხვ. დაუვიწყარია ის გულთბილი შეხვედრა, რომელიც ვილიამსბურგში მოგვიწვეს. უამრავ ხალხს მოუყარია თავი ჩვენთან შესახვედრად, აქ არიან: დაბაში მცხოვრები პენსიონერები, ადრე ამ ქალაქში მოღვაწე ადამიანები, ახალგაზრდები, რომლებიც ბიბლიოთეკას ეხმარებიან, დაბის ბანკირი, რომელმაც 25 ათასი დოლარი აჩუქა ბიბლიოთეკას, ქალაქის მთავრობის წარმომადგენელი, ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალი, რომელმაც შექმნა ასოციაცია “ბიბლიოთეკის მეგობრები”. ამ ასოციაციამ რამდენიმე პროექტი გააკეთა და მოიგო კიდევ გრანტი, რამაც ბიბლიოთეკა გადაარჩინა დახურვას. გვესალმებიან, გვიყვებიან თავიანთ ბიბლიოთეკაზე, აინტერესებთ ჩვენიც, იქვე ამბადებენ ნამცხვრებს და გვიმასპინძლებიან. გვაძლევენ საჩუქრებს და გვეპატივებიან გარეთ; ჩვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს: ამ თოვლში, ცოცხა ქარიც უბერავს, ბიბლიოთეკის წინ შეკრებილა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ბავშვებისა, 7-12 წლამდე, უმეტესობა გოგონებია. მათ წინ დგას ლოგბარი ნოტებით ხელში და იწყება სიმღერა, კაცი აკორდიონით უწევს მათ აკომპანემენტს; როგორც ვხვდებით, ძალიან ძველი უნდა იყოს ეს სიმღერები. ვიღებთ სურათებს. უცებ ეს ლო-

გბარი და ერთი პაგარა გოგონა იწყებენ “სვანურის” ცეკვას. ვეხვევით ბავშვებს, ლოგბარს ვჩუქნით ჩვენებურ ხელით ნაქარგ სამკაულებსა და თბილისურ ხედებს. მე და ნუნუ ჭელიძე ვცეკვავთ მათებურს მათთან ერთად და მერე ჩვენებურს, და სწორედ ეს სურათები მეორე დღეს გამოაქვეყნა იქაურმა პრესამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ბიბლიოთეკის უმრავლესობა სახსრების უქონლობას უჩივის. ჩვენ ვნახეთ ქალაქი ჰოლიოკი. ერთ დროს, 30-იან წლებში ერთ-ერთ ძლიერ სამრეწველო ცენტრად ითვლებოდა. იყო ქალაქის ცნობილი ფაბრიკები. ბოლო ათწლეულებში ქალაქი გაკოტრდა. არც ერთი ფაბრიკა აღარ მუშაობს, არც



ვილიამსბური. შეხვედრა სკოლაში

ერთი სამრეწველო ქარხანა. ფაქტიურად, ქალაქი სახსრების გარეშეა დარჩენილი. ამ ქალაქის ერთ-ერთი უძველესი ბიბლიოთეკა, რომელიც არ ფინანსდება ქალაქისაგან, გაუქმდა ქალაქში ყველა ფილიალი, წიგნები გაიყიდა. ამ ბიბლიოთეკაში მხოლოდ 5 თანამშრომელია დარჩა. გაჭირვებით ემსახურებიან მკითხველს, ცდილობენ სახსრების მოძიებას და ბიბლიოთეკის გადარჩენას.

მაინც ყველაზე დიდი ინტერესით ბოსტონის ბიბლიოთეკებში ვიზიტს ველოდებოდით. აქ, სასწავლო ცენტრში – კემბრიჯში, სადაც ჰარვარდის უნივერსიტეტი, ვიხილეთ ჰარვარდის შესანიშნავი ძეგლი. შემდეგ ვეწვიეთ ბიბლიოთეკას. რემონტის გამო სრულფასოვნად ვერ დავათვალიერეთ. საგულისხმოა, რომ საქართველოს



ვილიამსაურავი

პირველი რესპუბლიკის მთავრობის დოკუმენტები ერთ ღროს სწორედ აქ ინახებოდა; მათი ფირებზე გადაღებული ასლები დღესაც აქაა დაცული.

ყველაზე საფუძვლიანად გავეცანით ბოსტონის საჯარო ბიბლიოთეკას. ის ერთ-ერთი უდიდესია შტატებში. 6 მილიონ ერთეულს ითვლის. ეს ბიბლიოთეკა ერთადერთია დიდ ბიბლიოთეკებს შორის, რომელიც მუნიციპალიტეტის ხარჯებით ფინანსდება. ბიბლიოთეკას აქვს მთამბეჭდავი წარწერა: “თავისუფალი – ხელმისაწვდომი ყველასათვის”. მომსახურება უფასოა. წლიური ბიუჯეტი შტატიდან 23 მილიონი დოლარია. თანხა ფილიალებზეც ნაწილდება. ჯერჯერობით მთელი ფონდის ერთი ნაწილია შეგანილი ელექტრონულ კატალოგში. აქ არის სადღეღამისო მომსახურება. განსაკუთრებული მომსახურება არის ინვალიდებისათვის. გულისხმიერად ეკიდებიან ბავშვებთან მომსახურებას. ბიბლიოთეკის ერთი დიდი ნაწილი დათმობილი აქვს კვლევით ცენტრს. იქედან წიგნების გაგანა არ შეიძლება. 502 თანამშრომელი ჰყავთ. ბიბლიოთეკარის ხელფასი წელიწადში 30000 დოლარია. მკითხველის ბილეთი, რომელიც გაიცემა, ძალაშია 28 წლის განმავლობაში. წიგნი გაიცემა სამი კვირით, თუ მკითხველი ღროში ვერ ეტევა, დასაშვებია ვადის გაგრძელება. ერთდროულად 75 წიგნის გაგანა შეიძლება. დაგვიანებულ წიგნზე დღეში ჯარიმა არის 1 დან – 5 ცენტამდე. წიგნის დაკარგვის

შემთხვევაში მკითხველი გადაიხდის წიგნის სრულ საფასურს. წიგნები განლაგებულია კონგრესის ბიბლიოთეკის სქემით. ინტერნეტში აქვთ მკითხველისათვის სპეციალური ვებ-გვერდი, საიდანაც მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. სპეციალური განყოფილება არსებობს ინვალიდებისათვის, სადაც აქვთ სპეციალური კომპიუტერული პროგრამები. გააჩნიათ ბრაილის სისტემით დაბეჭდილი წიგნებიც. შაბათ-კვირას ასეთი ბავშვებისათვის აქტიურად მუშაობენ მოხალისეები. ბოსტონის ბიბლიოთეკა გამოსცემს ბიულეტენებს.

მასაჩუსეტსის შტატში 370 საჯარო ბიბლიოთეკაა. ყველა დიდი ბიბლიოთეკა გაერთიანებულია კონსორციუმში. სხვადასხვა გიპის ბიბლიოთეკათა რაოდენობა კი 3500 აღწევს. ჩვენ შეხვედრა გვექონდა ბოსტონის ბიბლიოთეკათა მმართველთა საბჭოს დირექტორთან, რობერტ მეიერთან. ეს საბჭო არჩევითი ორგანოა. შეხვედრა გვექონდა აგრეთვე მასაჩუსეტსის რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელობასთან. ამ ორგანოებში არის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომლებიც ბიბლიოთეკარებს ოთხ კურსს სთავაზობენ: 1. ადმინისტრაციული 2. კატალოგიზაცია 3. საინფორმაციო-საცნობარო 4. კურსი შერჩევით. დამატებით შეიძლება გაიარონ ბავშვთა მომსახურების კურსი. თუ ბიბლიოთეკარი ამ ოთხ კურსს გაივლის, რაც შეიძლება მოხდეს 5 წელიწადში, მიიღებს დირე-



ვილიამსაურავი

ქგორად მუშაობის უფლებას. ასეთი პროგრამის გავლა აუცილებელია ბიბლიოთეკარებისათვის.

მეგად მნიშვნელოვანი იყო ჩემი შეხვედრა ბოსტონის სიმონსის კოლეჯში ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობის პროფესორ-მასწავლებლებთან. აქ ხდება დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება და მოქმედებს შესაბამისი დარგის მაგისტრატურა. ამ კოლეჯის ბიბლიოთეკას აქვს ცალკე ფონდი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, სადაც არის მასალა საქართველოს ბიბლიოთეკაზე. ამ კოლეჯში ყველაზე მეტი სტუდენტი საბიბლიოთეკო სპეციალობაზე ჰყავთ. ორი დღის განმავლობაში დიდი გული-სყურით ვისმენდით სიმონსის კოლეჯის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებათა სამაგისტრო სკოლის პროფესორისა და მაუნთჰოლიოკის ფილიალის დირექტორის ბ-ნ გერი პლამის ლექციებს თემაზე “ტექნოლოგიების გეგავლენა საბიბლიოთეკო სერვისზე”, აგრეთვე სიმონსის კოლეჯის პროფესორის ქ-ნ შელა ინგნერის ლექციებს “საბიბლიოთეკო დოკუმენტების კატალოგიზაცია” და “ფონდების განვითარება და შეფასება”. მათ ამავე დროს გვაჩუქეს მშვენივრად გამოცემული თავიანთი ნაშრომები.

არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ აღვნიშნოთ ის კულტურული პროგრამა, რომელიც ჩვენთვის იყო გათვალისწინებული. გარდა ქალაქებისა, ვათვალიერებდით სხვადასხვა პარკებსა და მუზეუმებს. მოვინახულეთ სტოკემბრიჯში ნორმან როკველის მუზეუმი, კლარკის გალერეა, რომელიც კერძო კოლექციისაგან შედგება, სადაც დაცულია რენუარის, ჟერომის, ვანგოგის და სხვათა ნიმუშები.

ვნახეთ ბოსტონის მეცნიერებათა მუზეუმი – მისი სწორუპოვარი აკვარიუმი, ბოსტონის ხელოვნების მუზეუმი – იზაბელა გარდნერის



ბოსტონი. სიმონსის კოლეჯი

მიერ დაარსებული. დავესწარით ერთ-ერთ სკოლაში მარგინ ლუთერ კინგისადმი მიძღვნილ საბეიმო ღონისძიებას, და ბოლოს – ორი დღით ნიუ-იორკი, მომხიბვლელი უზარმაზარი ქალაქი: ვიყავით მეტროპოლიტენის მუზეუმში, ვეწვიეთ ენფიერს, გავიარეთ ბრუკლინის ორსართულიანი ხიდი, დავათვალიერეთ ოკეანის სანაპირო, თვალი შევაფლეთ თავისუფლების ქანდაკებას, ვეწვიეთ მანჰეტენს – ჩაფერულილ ორ შენობას, რამაც შემზარავი შთაბეჭდილება დაგოვა ჩვენზე. გამოსათხოვარი სადამო ამპერსტის ერთ-ერთ რესტორანში გვექონდა, საბეიმო ვითარებაში მოხდა დიპლომების გადმოცემა. დაუვიწყარია ნიუ-იორკში გაეროში ჩვენს წარმომადგენელთან ბ-ნ რებო ადამიასთან შეხვედრა.

საქმიან შეხვედრებსა და სამუშაო ღონისძიებებს ცვლიდა ხალისიანი ურთიერთობები, სტუმარ-მასპინძლობა, ახალი ნაცნობ-მეგობრების შექმნა. ჩვენს შესახებ ინფორმაციები იბეჭდებოდა რამდენიმე გაზეთში, გამოგვცხმაურა ბოსტონის რადიოც. განუსაზღვრელია ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ჩვენ იქ შევიძინეთ. ახლა მთავარია, საფუძვლიანად გავაანალიზოთ ყველაფერი, გავითვალისწინოთ, რა შეიძლება გადმოვიღოთ და დავენერგოთ ჩვენთან, ჩვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით.



ირაკლი ლარიბაშვილი

ქართული ბიბლიოთეკები ჯორჯიაში

შ. № 4 თებერვალს ქართველ ბიბლიოთეკართა 10-კაციანი ჯგუფი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ პროგრამის ორგანიზატორი იყო “პროექტი ჰარმონია – საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა”, ხოლო დაფინანსება გა-



აგერიკა - ერთ-ერთი საჯარო ბიბლიოთეკა

მოყო აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა.

პროექტის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო ასოციაციების ხელმძღვანელებისათვის ამერიკის ბიბლიოთეკების მუშაობის სტილის, ფორმებისა და პრაქტიკული მეთოდების გაცნობა. ამავე დროს პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოსა და ამერიკის ბიბლიოთეკართა და მოქალაქეთა გაცნობისა და მათ შორის საქმიანი და კულტურული ურთიერთობების დამყარებას.

პროექტის შესარჩევი ეტაპი 2002 წლის სექტემბერ-დეკემბერში ჩატარდა. ინდივიდუალური გასაუბრების, განცხადებებისა და წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული ცნობების საფუძველზე შერჩეულ იქნა პროექტის 10 მონაწილე: თბილისის, ბათუმის, ოზურგეთის, ხარაგაულის, ხაშურისა და გურჯაანის წარმომადგე-

ნლები.


ჯგუფმა 18 დღე დაჰყო ჯორჯიის შტატში და 3 დღე ვაშინგტონში, ამერიკის – დედაქალაქში. ვიზიტის პროგრამაც და ჯგუფიც შესანიშნავად იყო შერჩეული და ამიგომ ყოველი დღე ძალზე საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო.

ამ 3 კვირის განმავლობაში ჩვენ გავეცანით ყველა ტიპის მცირე და დიდ ბიბლიოთეკას, შევხვდით საბიბლიოთეკო საზოგადოების მრავალ წარმომადგენელს, ვიმგზავრეთ ჯორჯიის ქალაქებში, მოვინახულეთ მუზეუმები, უნივერსიტეტები და გამოცემლობები.

ყველა შთაბეჭდილების გაზიარება ამ მოკლე სტაგიაში ნამდვილად გამიჭირდება, ამიგომ გამოვეყოფ მხოლოდ ზოგიერთ საინტერესო მოგონებას:

- ამერიკაში ბიბლიოთეკების მთავარი “პაგრონი” არის არა ფედერალური ან შტატის მთავრობა, არამედ ადგილობრივი საზოგადოება, ქალაქის თუ საგრაფოს მოსახლეობა, ანუ ყოველი ბიბლიოთეკის არქიტექტურას, აგებულებასა და მომსახურებას განსაზღვრავს ქალაქის მოთხოვნილებები;

- ჩვენს ბიბლიოთეკებთან შედარებით ამერიკის ბიბლიოთეკები უფრო “მიმზიდველია”



აგერიკის ბიბლიოთეკაში



ქონგრესის ბიბლიოთეკა

– წიგნები ღიად აწყვია სამკითველო დარბაზებში და არა საცავებში (საცავები ფაქტიურად არც არსებობს), თვითონ დარბაზები ნათელი და მოხერხებული განლაგებისაა, ყველგან გვხვდება მოქალაქეთა ხელით ნაკეთი და ბიბლიოთეკისათვის გადაცემული საჩუქრები (ხალიჩები, ნახაგები, ფოტოსურათები და სხვა);

- პაგარებისათვის თითქმის ყველგან არის სათამაშოებისა და “ზღაპრების თხრობის” კუთხეები ან კინოდარბაზები, სადაც კვირაში 2-3-ჯერ მოიჩქარიან სხვადასხვა ასაკის ბავშვები და მათი დედეები;

- ყველა ბიბლიოთეკასთან აქტიურად მოქმედებს “ბიბლიოთეკის მეგობართა კლუბი”. კლუბებში გაერთიანებულია ყველა მოქალაქე, რომელსაც სურვილი აქვს დიდი თუ მცირე წვლილი შეიტანოს ამ ბიბლიოთეკის განვითარებაში. კლუბები ფინანსურ დახმარებას და პოპულარიზაციას უწევენ ბიბლიოთეკებს, აგარებენ საინგერესო შეხვედრებს, გამოფენებს, აუქციონებს, ბიბლიოთეკის ან საზოგადოების პრობლემების ფართო განხილვებს. ასეთი ერთობლივი მუშაობის შედეგად ბიბლიოთეკა დამატებით დაფინანსებასთან ერთად იღებს საზოგადოების ყოველი წევრის “მორალურ მხარდაჭერას”, ანუ ყველა მოქალაქე თვალნათლივ ხედავს, თუ რა სარგებლობა მოაქვს მისთვის ან მისი ოჯახისათვის ბიბლიოთეკას და გარკვეულწილად მონაწილეობს მის საქმიანობაში;


- ბიბლიოთეკებში ძალზე განვითარებულია ჩვენთვის ახალი გიპის მომსახურება: კომპიუტერული საინფორმაციო თუ სასწავლო ცე-

ნგრები, ვიდეო და აუდიო დისკების ფონდები, რომლებიც იზიდავს ახალგაზრდობას და მათთვის უკვე ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც წიგნები ან ჟურნალები;


- გემოთქმულს დაგვაბეგბელი, რომ ამერიკის ბიბლიოთეკების ძირითადი მიზანი არის არა წიგნების თუ ჟურნალ-გამეთების ფონდების გაზრდა და მათი არქივების შექმნა, არამედ მოქალაქეთათვის მოხერხებული და კომფორტული პირობების შექმნა, როდესაც ყველა მკითხველს აქვს საშუალება მიიღოს უახლესი გამოცემები თუ ფილმები, გაეცნოს უკანასკნელ ამბებს გაზეთებსა თუ ინტერნეტ-გვერდებიდან, დაისვენოს და გაესაუბროს საინგერესო ადამიანს, მოისმინოს მუსიკა ან დაესწროს ზღაპრისა თუ მხატვრული ნაწარმოების თხრობის სეანსს ოჯახთან ერთად;

- ვაშინგტონში, რა თქმა უნდა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც კონგრესის ბიბლიოთეკის გაცნობამ, აგრეთვე ამერიკის ისტორიის, ხელოვნებისა და გექნიკის მუზეუმებმა. კონგრესის ბიბლიოთეკაში ვნახეთ ულამაზესი სამკითხველო დარბაზები, უნიკალური მასალების გამოფენები, გუგენბერგის ბიბლია თუ პირველი ნაბეჭდი წიგნი, შევხვდით იმ კოლეგებს, რომლებიც ქართულ ფონდს პაგრონობენ და ვისაუბრეთ ამ ფონდის განვითარებისა და შესაძლო თანამშრომლობის საკითხებზე. მივიღეთ საჩუქრად შესანიშნავი გამოცემა კონგრესის ბიბლიოთეკის ქართული ფონდის შესახებ.

- კონგრესის ბიბლიოთეკაში, როგორც



ქონგრესის ბიბლიოთეკა



კონსტანტინოპოლის ბიბლიოთეკა

ამერიკასა და მსოფლიოს უდიდეს წიგნსაცავში, ცხადია სულ სხვა მიდგომაა ძველი წიგნებისა-ღში. აქ ყველა წიგნი განიხილება როგორც უნიკალური და დასაცავი ეგზემპლარი, ეს ეხება ყველა ქვეყნისა და ეპოქის წიგნებს, და არა მხოლოდ წიგნებს – ბიბლიოთეკის ძველი და თითქმის უსარგებლო საბარათო კატალოგიც კი ცალკე დარბაზშია შენახული.

პროფესიულ პროგრამასთან ერთად საინგერესო იყო ისიც, რომ ჩვენ ვცხოვრობდით არა სასტუმროებში, არამედ მასპინძელ ოჯახებში: ესენი იყვნენ ამერიკის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები, რომლებმაც საკუთარი სურვილით გადაწყვიტეს მასპინძლობა გაეწიათ უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ხალხისათვის და საოცარი სტუმართმოყვა-



ქართველი სპენიალისტები კონსტანტინოპოლის ბიბლიოთეკაში

რობა გვიჩვენეს. ამერიკელებმა საზოგადოდ ცოგა რამ იციან საქართველოს შესახებ (ეს არ გაგვკვირვებია), მაგრამ დიდ ინგერესს იჩენენ როგორც ჩვენი ისტორიის, ასევე დღევანდელი ცხოვრებისა და სამომავლო პერსპექტივებისა-ღში.

ჩვენი ჯგუფის უმეტესობამ ინგლისური ენა არ იცოდა, მაგრამ საოცრად მალე მოინახა საერთო ენა მასპინძლებთან. ამ ურთიერთობამ დაგვანახა, რომ მიუხედავად ბევრი განსხვავებისა, ჩვენ საერთოც ბევრი გვაქვს: სტუმართმოყვარეობა, მეგობრობა, ოჯახისა და შვილების კეთილდღეობაზე ზრუნვა, სილამაზისა და სიკეთის აღქმა.

იქაური ცხოვრება ძალზე განსხვავდება ჩვე-



ბიბლიოთეკიდან ნაღებული ნივთები შვილიშვილთან გარეთ ყუთში დატოვოთ

ნისაგან. ამ შეხვედრებმა და ურთიერთობებმა ორივე მხარის წარმომადგენლებს სხვა თვალით შეგვახედა ჩვენსა და მათი ჩვეული მუშაობისა და დასვენების სტილზე, ოჯახურ ურთიერთობებსა თუ განვლილ ცხოვრებაზე. ამას ჩვენი მასპინძლებიც აღნიშნავდნენ. იქნებ შესაძლებელია, ჩვენც გავიზიაროთ ამ დიდი ქვეყნის გამოცდილება, შევინარჩუნოთ ჩვენი გრადიციები, მაგრამ ამავე დროს ვისწავლოთ მათგან ის, რაც ჩვენც მოგვცემს საშუალებას, უკეთ ვიცხოვროთ, ვისწავლოთ, ვიმუშავოთ და დავისვენოთ. ჩემი აზრით, ერთ-ერთი პირველი გაკვეთილი უნდა იყოს ამერიკელების ოპტიმიზმი და რწმენა საკუთარი ძალით ბევრის მიღწევის შესაძლებლობაში.

შთაბეჭდილებანი

რენი სპეციალისტების სასტაჟიროებო მოგზაურობანი ამერიკაში ფრიალ ნაყოფიერი აღმოჩნდა. გარდა პროფესიული ცოდნა-გამოცდილებისა, რომელიც მონაწილეებმა მიიღეს, ღიღი იყო საერთო შთაბეჭდილება და მიღებული ემოციები. ამას დაუფარავად გამოთქვამენ ისინი და ცდილობენ გაგვიზიარონ მიღებული შთაბეჭდილებანი. ერთ-ერთი მათგანია ქალაქ გორისა და გორის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ღირექტორი ნინო აბრამიძე-კამკამიძე. აი, რას გვწერს ის: “სიგყებმა: “გაგონილს ნანახი ჯობიაო” – ამერიკაში ჩასვლისთანავე თავისი ჭეშმარიტება კიდეც ერთხელ დაადასტურა. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შთაბეჭდილების გადმოსაცემად ვერავითარი დრო საკმარისი ვერ იქნება, გამათცა ქართველების მსგვსმა სტუმართმოყვარეობამ, უცნობი ადამიანების ღიმილმა და მათ თვალეში ჩაბუღებულმა სითბომ და სიყვარულმა... ამერიკაში ვიყავი და საქართველო ვნახე... მანლობა ამერიკელ ხალხს!”



ჰარვარდის კიბლითან



ბამონმაურება

ბოგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქებში სტაჟიროებაზე გაგზავნილი იყო ორი ჯგუფი. ორივე ჯგუფის საქმიანობას, საკმაოდ კარგი ბამონმაურება მოჰყვა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე საქართველოში. პირველი ჯგუფი მასაჩუსეტსის შტატებში ეცნობდა ბიბლიოთეკებს და სწორედ ამ შტატის მასმედიის ყურადღების არეში მოჰყვა. ამ ფაქტს ბამონმაურა

როგორც რადიომუწყებლობა, ისე ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი, აქ სურათიც კი იქნა გამოქვეყნებული, თუ როგორი ხალისიანი შეხვედრა მოუწყვეს ქართველ სპეციალისტებს ადგილობრივმა ბიბლიოთეკარებმა და მკითხველებმა. ეს სურათი და ცნობა განთავსებული იყო აგრეთვე ინტერნეტში.

ამ მოგზაურობით ქართული მასმედიაც დაინტერესდა. ინფორმაცია ამის თაობაზე მოთავსებული იყო 2003 წლის 21 თებერვლის “მთავარ გაზეთში”



ამერიკული შთაბეჭდილებაჲსი ასახვა პრესაჲში

(ამერიკული გამოცდილება: ოლონდ ბიბლიოთეკაჲში შელი...) ავგორი – თეა ცაგურიშვილი შესავალში გვამცნობს: “ამერიკის სახელმწიფო ლეპარტამენტმა, კულტურისა და განათლების ბიურომ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა სტაჲირებისათვის საგანგებოლ გამოყო გრანტი პარტნიორული მხარისათვის. ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგის სტივენ ჯონსის დახმარებით, ამჯერად პარტნიორულ მხარედ ჩვენი ქვეყანა დაასახელეს. ამ პროგრამის ფარგლებში საბიბლიოთეკო საქმის მცოდნე 16 სპეციალისტი – ექვსი თბილისიდან, დანარჩენი ათი რეგიონებიდან ამერიკაში გააგზავნეს. საქართველოს დელეგაცია ამერიკაში 4 იანვრიდან 29 იანვრის ჩათვლით იმყოფებოდა. მათ გაიცნეს ამერიკელების მუშაობის სტილი საბიბლიოთეკო დარგში”. ამის შემდეგ ავგორი მოკლედ ეხება სტაჲირებასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

სტაჲირებას საკმაოდ ვრცლად გამოეხმაურა გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”. აქ სტაჲირების ერთ-ერთი მონაწილე დოც. ინგა ფილაური-ლორია 2003 წლის 25 თებერვლის ნომერში, სტაგიაში “ოცდაოთხი დღე ამერიკაში” დაწვრილებით მოგვითხრობს მოგზაურობის შედეგებზე და გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს, გაზეთში მოთავსებულია ჯგუფური სურათი ამერიკელი და ქართველი სპეციალისტებისა. ამავე ავგორის სტაგია ამ მოვლენებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა აგრეთვე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გაზეთ “თაობაში” (2003 წ. მარტი)

არც მეორე ჯგუფს, რომელიც ჯორჯიის შტატში იმყოფებოდა, დაჰკლებია ყურადღება, ამ ჯგუფის წევრებსა და მათი მასპინძლების ჯგუფური სურათი და საინფორმაციო ცნობები მოთავსებულ იქნა ინტერნეტში.

მოგზაურობის სხვა არაერთმა მონაწილემ გამოაქვეყნა ქართულ პრესაში საინტერესო წერილები. გაზეთმა “გორის მონაბეზ” გამოაქვეყნა სტაჲირების მონაწილის ნინო აბრამიძე-კამკამიძის ღრმად შინაარსიანი წერილი “გამარჯობა, ამერიკა!” რაიონულ გაზეთ “ჩემი ხარაგაულის” მიუღი გვერდზე დაბეჭდილია რაიონის საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორის იზა ვეფხვაძის წერილი “ჯორჯია – ჯორჯია ანუ ოცდაოთხი დღე ამერიკაში”, ჟურნალისტმა მერი ნამორაძემ გაზეთში მოთავსა თავისი ინტერვიუ თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორის მოადგილე მურაბ მაჭავარიანთან – “როგორ მოხვდა ქართველი ბიბლიოთეკარი ამერიკაში”. ამერიკაში ქართველ სპეციალისტთა მოგზაურობას გამოეხმაურნენ საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სხვადასხვა არხები.



ამერიკული შთაბეჭდილებაჲსი ასახვა პრესაჲში



თემურ ქლენგი,
პროფესორი, კულტურისა და ხელოვნების
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ნარსულსა და დღეპანდელს შორის

მდეს თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი დაარსების მე-10 წლისთავს აღნიშნავს. ათი წელი ჩვენს ქვეყანაში არსებული გრადიციული უმაღლესი სასწავლებლებისთვის ძალზე მცირეა, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტისათვის საკმაოდ მრავლისმომცველი და მრავლისმეტყველი ასაკია.


ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან არსებობდა იდეა საქართველოში კულტურის ინსტიტუტის შექმნის თაობაზე. მის განხორციელებას ბევრი ღირსეული მამულიშვილი და კულტურის სფეროს უამრავი მოჭირნაულე ცდილობდა, მაგრამ იდეას ფრთები მხოლოდ თავისუფალი საქართველოს აღიარების გარიჟრაჟზე შეესხა - 1992 წელს. ინსტიტუტმა თავიდანვე დავით აღმაშენებლის გამზირის № 40-ში (ყოფილი სკოლის შენობა) დაიღო ბინა და დაარსების პირველი დღეებიდანვე შეუდგა სახელოვნებო სკოლის იმ ნათელ პრინციპთა აღსრულებას, რომლის ძირითადი არსი და მიზანი ჩვენი ეროვნული კულტურის ფესვებზე მყარად

მდგარი, მაღალ პროფესიონალებად მომზადებული ახალგაზრდობის აღზრდაა, რომელთაც უნდა ხელეწაფებოდეთ როგორც ქართული და ზოგადასაკაცობრიო კულტურის კვლევა და ძიება, ასევე კულტურის გამოყენებისა და მართვის თანამედროვე პროცესები და ტექნოლოგიები.

აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის შექმნის სათავეებთან იდგნენ ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის სფეროს ისეთი ღირსეული და გამოჩენილი ადამიანები, როგორებიც გახლავთ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ვახუშტი კოგეციშვილი, რევაზ ბარამიძე, ლევან სანიკიძე, გურამ ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ღვინჯილია. საქართველოს სახალხო არტისტები: ანზორ ერქომაიშვილი, ომარ სიხარულიძე, თენგიზ სუხიშვილი, ზინა კვერენჩხილაძე, გოგი ქავთარაძე, გოგი ხარაბაძე, კუკური ჭოხონელიძე, რევაზ ჭანიშვილი, გივი ყანდარელი, თემურ თურმანიძე და სხვები. იმ ძნელბედობის ქამს ამ ღირსეულმა პიროვნებებმა ეროვნული კულტურის გადარჩენა კულტურის ინსტიტუტის შექმნისა და დაფუძნებაშიც დაინახეს.



თემურ თურმანიძე. „დაკორატიული კადალი“, „გაუპასუსის“ სკოლა, ინტარიერი, გერმანია



თაგურ თურანიძე. „რუსულანი“

ამჟამად კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში (კულტურის ინსტიტუტს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 25 ივლისის ბრძანებულებით უნივერსიტეტი ეწოდა) დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფორმით 500-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, რომელთა სწავლა-აღზრდასა და პროფესიულ დაოსტატებას 200-მდე პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი ფაკულტეტი – კულტურისა და ხელოვნების, 7 კათედრა: კულტუროლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოლოგიის მეცნიერებათა, უცხო ენების, მუსიკის, ქორეოგრაფიისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების.

შექმნილია ფოლკლორის კომპლექსური კვლევის სამეცნიერო ცენტრი, ქართული კულტურის ისტორიისა და თეორიის კვლევის ლაბორატორია, შემოქმედებითი ნიჭიერების კვლევის სექტორი.

კულტურის ფაკულტეტზე სტუდენტები ეუ-

ფლებიან ისეთ სპეციალობებს, როგორცაა: კულტუროლოგია (კულტურის ისტორია და თეორია, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები); ლიგერატურული დაოსტატება; გურიზმი; უცხო ენები (ინგლისური და გერმანული ენა, ლიგერატურა, კულტურა); წიგნთმცოდნეობა, ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფია; ხელოვნებათმცოდნე – იმპრესარიო-მენეჯერი; ხელოვნებათმცოდნე – ექსპერტი; ხელოვნებათმცოდნე – ჟურნალისტი; ქორეოლოგია (ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია და თეორია); კინოსა და თეატრის ისტორია (კინომცოდნე, თეატრმცოდნე).

ხელოვნების ფაკულტეტზე: ხალხური გუნდის ლოგბარი, – საეკლესიო გუნდის მგალობელ-რეგენტი; ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი; კლასიკური და სახასიათო ცეკვის პედაგოგ-ქორეოგრაფი; საეკლესიო მხატვრობა; ხალხური რეწვა (გობელენი, ნოხი, ფარდაგი); მასობრივ სანახაობათა მხატვრული გაფორმება (მოდელიორი, სცენოგრაფი); ეთნოპლასტიკა; ვოკალური ხელოვნება (საეცხრადო სიმღერების განხრით); ფორტეპიანო.

ხელოვნების ფაკულტეტზე მთლიანად და კულტურის ფაკულტეტის რიგსპეციალობებზე სწავლება მიმდინარეობს სახელოსნოების პრინციპით (ოსტატ-შეგირდის ფორმა), სადაც სტუდენტთა სწავლა-აღზრდის საქმეში მასიურად გამოიყენება ინდივიდუალური მუშაობის თანამედროვე მეთოდები და გვიქნიკური საშუალებები.



თაგურ თურანიძე. „ზარბაზნის საპარტიზო“, 1980



გივი ყანდარაძე. „ნიონონიდა“

უნივერსიტეტში სგულენგი ახალგაზრდობის ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბებისა და აუცილებელი ცოდნის მარაგით მათ პროფესიონალურ დაკვალიანებას ემსახურებიან ღირსეული მეცნიერები და მკვლევარები, რომელთა შორის 32 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, 36 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი, 10 რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, 12 სახალხო არგისტი (მხატვარი), 7 ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და დამსახურებული არგისტი.

სასწავლო-შემოქმედებით სახელოსნოებს ხელმძღვანელობენ კულტურის დარგის უთვალსაჩინოესი მოღვაწეები, ხოლო ლიგერატურული დაოსტატების სპეციალობაზე სგულენგების პრაქტიკულ, შემოქმედებით საქმიანობას წარმართავენ ქართული მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლები.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ასევე

სგულენგთა სამეცნიერო კონფერენციები, გამოიცემა კონფერენციის მასალები. სგულენგები წარმატებით მონაწილეობენ უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკურ კონფერენციებში და ბევრი მათგანი ქვეყნის პრეზიდენტის სპეციალური ჯილდოს მფლობელია.


1999 წლიდან უნივერსიტეტში გაიხსნა ასპირანტურა – კულტუროლოგიის, ლიგერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის საცავებში 20000-ზე მეტი წიგნადი ფონდია, ხოლო მისი კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზი მუდმივად სავსეა როგორც სგულენგებით, ასევე პროფესორ-მასწავლებლებით.

უნივერსიტეტში შექმნილია დარგობრივი კვლევების საერთაშორისო ცენტრი “ქართული ინტელექტი”, რომელთან ერთად გამოიცემა მაღალი დონის სამეცნიერო ჟურნალი “ახალი პარადიგმები”.

უნივერსიტეტი გამომცემელია პოპულარული გაზეთისა “ქართული კულტურა”.

სწავლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სგულენგები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის გამოფენებში, კონკურსებში, დათვალიერებებში, ფესტივალებსა და ოლიმპიადებში. ხშირია შეხვედრებზე ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან, ეწყობა პოემების საღამოები, ლიგერატურ-



თეიმურ თურაანიძე. „გუზა“



კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტი, ინტერიერი

რული სალონები, “მასგერკლასები”.

განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი “როკვა” (ხელმძღვანელი დოცენტი უჩა დვალისძე), ვოკალური ოქტეტი (ხელმძღვანელი დოცენტი კონა კალანდაძე) და ხალხური სიმღერების ვაჟთა ანსამბლი “ლაშარი” (ხელმძღვანელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიორგი უშიკიშვილი).

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით 2002 წელს ჩაგარებულ სტუდენტური სპექტაკლების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე – “დებიუტი” ჩვენი უნივერსიტეტის თეატრალურმა სახელოსნომ ფესტივალის “გრან-პრი” დაიმსახურა (დადგმის ავტორია – უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სოსო ნემსაძე, სახელოსნოს ხელმძღვანელი პროფესორი სანდრო მრეველიშვილი).

უნივერსიტეტთან არსებობს კულტურის კოლეჯი, რომელშიც ამჟამად 100-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს, კოლეჯის კურსდამთავრებულები საშუალო განათლების მიღებასთან ერთად ათამდე სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან.

პირველი ათი წელი უკვე გავიდა. არც თუ ისე დალხენილი გზა იყო ეს ჩვენი უნივერსიტეტისათვის, თუმცა მიღწევებიც ბევრი გვექონდა, მაგრამ წინ უფრო მეტი სიახლე, მეტი სიკეთე და შემოქმედებითი გამარჯვებები გველის.

ჩვენ ღრმად გვჯერა, გვწამს, რომ უნივერსიტეტის აღზრდილი პროფესიონალები მომავალი საქართველოს ღირსეული თაობა იქნება.

საქართველოს პიპლიოთეკა



კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის კორიდალი

ლამარა ღონლაძე,
ლოცენგი

არიან მამულიშვილური სატკიპრით გულშეკრული ადამიანები

მიყვარს ფეხით რომ მიფუყვები ღავით აღმაშენებლის გამზირს.

უფრო მუსტად, ის წუთი მიყვარს, კულგურის და ხელოვნების უნივერსიტეტის მშენიერი, თეთრი შენობა შორიდან რომ შემოძანათებს.

ის კაცებიც მიყვარს, მის შესასვლელში კიბის თავზე რომ ღვანან და ამ ღამამი, რუღუნებით მოვლილი შენობის უსაფრთხოებას იცავენ.

მათგან სულ რამდენიმე მეგრის მოშორებით, იმ კარში შესვლაც მიყვარს, რომლითაც სითბოთი, სინათლითა და კეთილგანწყობით სავსე სივრცეში ხვდები. ეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაა.

მიყვარს ბიბლიოთეკის ღირექტორის ლალი ყაულაშვილის, ენერგიული და საქმიანი ქალბატონის სიხარულიანი შეხვედრა. მისი თანამშრომელი გოგონების მშვიდი თავაზიანობა და ის ოპერატიულობა, რომლითაც თხოვნას ვისრულებენ.

მიყვარს ბიბლიოთეკის მყუდრო, ნათელი დარბაზის არაჩვეულებრივი აგმოსუფრო და ზედმიწევნით მოხერხებული სამუშაო პირობები. აქ ყველაფერია მკითხველის ხელშეწყობისათვის, ქსეროქსიც კი.

თუმცა, როცა ამით ჩემი აღგაცება გამოვხატავ, ქალბატონმა ლალიმ სრულიად საფუძვლიანი სიამაყით მიპასუხა – სულაც არ ვაპირებთ ამ აღჭურვილობით დაკმაყოფილებას, უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი თემურ ქლენგი უახლოეს მომავალში მკითხველთა მომსახურების კომპიუტერულ უზრუნველყოფას გვპირდება.

ამის შემდეგ როგორ არ ვთქვა – ჩვენი რე-



ლამარა ღონლაძე

ქტორიც მიყვარს-მეთქი! – ხოლო თუ თქვენც მოგინდებათ გაიცნოთ და შეიყვაროთ ბატონი თემურ ქლენგი, მერწმუნეთ, ამისათვის არც მისი გაცნობაა საჭირო და არც მასზე გამოქვეყნებული წერილების შესწავლა. მიბრძანდით ღავით აღმაშენებლის გამზირზე, მოძებნეთ ყველაზე ღამამი შენობა, დანდობილად შეაღეთ მისი კარები და თუ კარისკაცებმა მაინცდამაინც ჩემსავით არ აღგაფრთოვანათ, პირდაპირ ბიბლიოთეკით დაიწყეთ. შემდეგ თანდათან მოიარეთ ეს ფაქიზად მოვლილი და ნასათუთევი მართლაც რომ ცოლნის გაძარი და აუცილებლად შეიყვარებთ იმ ადამიანს, ვინც ასე უფრთხილდება და უვლის მას.

კულგურისა და ხელოვნების უნივერსიტეტი, იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს არსებობს, მთლიანად ბატონ თემურ ქლენგის ქმნილებაა, მისი თავდადებული ქართველობისა და მამულიშვილობის დასტური.

თავის ცხოვრების კრელოს ბატონი თემური ერთ-ერთ ინტერვიუში ასე აყალიბებს: “სიმატრით უნდა იცხოვრო და იღვაწო კაცმა. სიყვარულით უნდა აკეთო ის, რაც გევალება. არ შეიძლება ნახევარი გულით ემსახურო სამშობლოს, ხალხს, შენს საქმეს. ნაგვრა და ოცნება არ მიყვარს, სანუკვარ მიზნად კი ისევ და ისევ ჩვენი უნივერსიტეტის სვალინდელ ღღებზე მრუნვა მიმანჩია”.

ფიქრობ, აქ მეც შემიძლია თამამად ვთქვა: ყველაფრის მიუხედავად, რა ვქნა, მე ჩემი ქართველობაც მიყვარს და მეამაყება-მეთქი! – მაინც ხომ არიან მამულიშვილური სატკიპრით გულშეკრული ადამიანები, რომლებიც საკუთარი თავისთვის კი არა, ქვეყნისათვის იღვწიან, ქმნიან, აშენებენ და ამშვენებენ.

ახალგაზრდები პროფესიას ირჩევიან



ბილისის ხელოვნებისა და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში მისი დაარსებიდან არსებობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობა. მაშინ ის 4-წლიანი სასწავლო კურსით სრულდებოდა, შემდეგში, როცა მას წიგნმცოდნეობის განხრაც დაემატა, იგი 5 წლიანად გადაკეთდა და დღემდე ამგვარად აგრძელებს მუშაობას. 10 წლის განმავლობაში ბევრი სპეციალისტი გამოუშვა. დიდი ნაწილი უკვე პრაქტი-



ნუნუ ღუმბაძე


კულ საქმიანობას არის შემდგარი. დღეს უკვე სპეციალობაზე მეტად სერიოზული, საქმიანი, თანაც სახალისო მუშაობა მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, მთავარია ის, თუ პირველ კურსზე როგორი კონტინგენტი მოვა. ამიგომაც

ყველაზე მეტად სწორედ პირველკურსელებით დავინტერესდით და მათ დავეუთმეთ ჩვენი ფურცლები თავიანთი მოსაზრებების გადმოსაცემად. არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ ემოციებს, რომლებსაც ისინი გამოხატავდნენ. ეს ერთგვარი ოპტიმიზმით გვახსებს და იმედს გვისახავს, რომ დარგს მომავალში შესანიშნავი ახალგაზრდა სპეციალისტები ჩაუდგებიან სათავეში.

“სიმართლე გითხრათ, ამ ფაკულტეტზე არასოდეს მიფიქრია, – წერს პირველი კურსის სტუდენტი ნუნუ ღუმბაძე, – არ დამიგოვებია პროფესია, რომელზეც არ მიოცნებია, მაგრამ ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე არც კი ჩავფიქრებულვარ. ვერ წარმომედგინა დანიშნულება და მნიშვნე-

ლობა ამ პროფესიისა. ბევრი ოჯახური სჯა-კამათის შემდეგ არჩევანი კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტზე შევაჩერე, ოღონდ ფაკულტეტი გადაწყვეტილი არ მქონდა. შევიძინე კულტურის უნივერსიტეტის ბუკლეგი, გავეცანი ფაკულტეტს და აღმოჩნდა, რომ იქ ისწავლებოდა წიგნმცოდნეობა, ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ჩავფიქრდი და ეს იმით დამთავრდა, ახლა უკვე ამ ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ და სრულებით არ ვნანობ ამას. კარგად მახსოვს პირველი დღე, შეხვედრა რექტორთან, ახალგაზრდებით სავსე დარბაზი. ძალიან მომეწონა მხატვრული ნიმუშებით გაფორმებული ჰოლი, მაგრამ განსაკუთრებით ბიბლიოთეკა მომეწონა.



გუნდაძე თამთა

მართალია, პატარაა, მაგრამ ლამაზი და მყუდრო. ბიბლიოთეკარები ყველანაირად ცდილობენ მოგვემსახურონ და დააკმაყოფილონ ჩვენი მოთხოვნები. აქ ქსეროქსიც არის, რაც უადვილებს საქმეს სტუდენტებს. პირველი ლექცია სწორედ სპეციალობაში ჩაგვიტარდა. ეს იყო ბაგონ ალექსანდრე ლორიას პირველი შეხვედრა. მისი ლექციის შემდეგ უკვე კარგი წარმოდგენა შემიქმნა ჩემს მომავალ პროფესიაზე და ამან უფრო ცხოველი ინტერესი აღმიძრა დარგისადმი. მომეწონა ისიც, რომ სპეციალურ საგნებთან ერთად გავდივართ ისეთ საინტერესო საგნებს, როგორიცაა სახვითი ხელოვნება, სტილისტიკა და სხვ. ჯერ მხოლოდ პირველი წელია ვსწავლობ და ბევრ საქმეში კარგად კიდეც არ ვარ გაცნობიერებული, მაგრამ

იმედი მაქვს, ამ ხუთ წელში ჩემი ინგერესი საბოლოოდ დაკმაყოფილდება”.

დაახლოებით იმასვე წერს ნუნუ ღუმბაძის თანაკურსელი თამთა გუნცაძე:

“წიგნები ბავშვობიდანვე მიყვარდა. სგელაქებზე ლამაზად განლაგებული, ისინი ჩემს გულისყურს იზიდავდნენ და ჩემში უამრავ კითხვას ჰბადებდნენ. ამ ამოუცნობმა დიდმა სამყარომ, უპასუხოდ დარჩენილმა მრავალმა კითხვამ და იმ იღუმალმა გარემომ, რომელშიც ეს მრავლისმთქმელი, ცოლნის უშრეგი წყაროს მომცველი წიგნები შეადგენდნენ, ცხოვრებაში სწორი არჩევანი გამაკეთებინა.

წიგნმცოდნე-ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფი ჩემი მომავალი პროფესიაა. ის ძალზე საინტერესოა. აქ სგულენგი მრავალმხრივ ცოდნას ღებულობს. ამასთანავე იგი ყალიბდება საქმის ღრმა მცოდნედ და პროფესიონალ მუშაკად. მე ერთგული ვარ ჩემი არჩევანის და მგკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ჩემი მომავალი ცოდნა და გამოცდილება გადავცე ჩემს გვერდით მყოფ მეგობრებსა და ახლობლებს. აი, რაგომ ავირჩიე მე ეს სპეციალობა”.

ამ სგულენგების ერთ-ერთ თანაკურსელს თამუნა ღომაიას თავისი ნაფიქრალი უკვე ნამდვილი სგაგის სახით დაუწერია. “ბედნიერი ვარ ნაპოვნი სამყაროთი” – ასე უწოდებს ის მას და მოგვითხრობს:

ბედნიერი ვარ ნაპოვნი სამყაროთი

პაგარაობიდანვე ბიბლიოთეკის ხშირი სგუმარი გახლდით, მომწონდა ნაირფერი საბავშვო წიგნების ფურცლა. როცა კითხვა არ ვიცოდი, წიგნს საინტერესო ნახაგების მიხედვით ვირჩევდი და მერე სხვას ვაკითხებდი ხოლმე. მიყვარდა ის გარემო... მე მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომ იმ მყუდრო და თბილი გარემოს მიღმა უფრო დიდი სამყარო იშლებოდა. ქვეცნობიერად მიმიღავდა ის დიდი ფონდები, არაჩვეულებრივი სისუფთავით და წესრიგით თაროებზე დალაგე-

ბული წიგნები, ის უცნაური სუნი და სიჩუმე, რომელსაც გაგაცებული ფუსფუსით არღვევდნენ ხოლმე წიგნის ძებნაში გართული ბიბლიოთეკარები. როცა არავინ მხედავდა, ვბაძავდი კიდევ მათ, თითქოს მეც მათსავით საქმიანად ვეძებდი წიგნებს დაინტერესებული მკითხველისათვის, მაშინ ვერცკი წარმომედგინა, რომ მალე მეც რეალურად მომეცემოდა საშუალება, გამეკეთებინა ის საქმე, რასაც ჩემი ნაცნობი და საყვარელი ბიბლიოთეკარები ასრულებდნენ ხოლმე. მაშინაც კი, როცა კითხვა არ ვიცოდი, ფონდში შეპარულს უზომოდ მომწონდა წიგნებში პაგარა ხელების ფათური და სანამ ამ სამყაროს თვალი შეგნებულად არ გავეუსწორე, მანამდე ვერ მივხვდი, რა დიდი მნიშვნელობა მინიჭებოდა ჩემთვის წიგნსა და ბიბლიოთეკას. სწორედ წიგნისა და ბიბლიოთეკის უდიდესმა სიყვარულმა მიმალეებინა გადაწყვეტილება, ჩამებარებინა წიგნმცოდნეობის, ბიბლ. მცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე თბილისის კულგურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში.



თამარ ღომაია

წიგნის როლი საზოგადოების განვითარებაში განუსაზღვრელია. ადამიანს სულიერი აღმზრდისთვის ყველაზე ერთგულ მეგობრად სწორედ წიგნი სჭირდება, იგი გვასწავლის, გემოდღვრავს, ნელ-ნელა იფურცლება და თვალწინ გვიშლის მთელ სამყაროს და შესაძლებლობას გვაძლევს ამ სამყაროდან ყველაფერი საუკეთესო გამოვიგნოთ. აუცილებელი სულაც არ არის უამრავი წიგნი წავიკითხოთ, უმჯობესია წავიკითხოთ ის წიგნები, რომლებიც სასარგებლოა, ამიგომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კითხვის ხელმძღვანელობას, რომლის პასუხისმგებელიც სწორედ ბიბლიოთეკარია. არისგვი წიგნი კიდეც, სწავლულები ისინი კი არ არიან, რომლებიც ბევრს კითხულობენ, არამედ

ისინი, რომლებიც სასარგებლოს კითხულობენო. წიგნი სულიერი მწვრთნელია, იგი გვიყალიბებს საკუთარ მსოფმხედველობას, რომლის გარეშეც უთუოდ პატიარაღება და ამ ვრცელ სამყაროში სადღაც იკარგება აღამიანი, მით უმეტეს დღეს, როცა უწიგნური აღამიანი აღარავის სჭირდება. ყველა აღამიანი უპირველესად გონებით დაასაჩუქრა უფალმა, მხოლოდ გონებას, როგორც ბრძენ მბრუნველს, აღამიანმა უნდა მიანდოს მთელი ცხოვრება. რაც უფრო მეტად ვირწმუნებით და გამოვიყენებთ მის ძალებს, მით უფრო იოლად მივალწევთ სასურველ მიზნამდე. სწორედ ეს მრწამსია ბურგის ქარი ჩვენი ცხოვრების უკიდვანო ოკეანეში. სწორედ მას მივყავართ მიზნამდე.

ჩემი გზა ცხოვრებაში უკვე ავირჩიე, ერთი

წელიც კი არ გასულა, რაც კულგურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში სასურველ ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა დამუფლებოდა უდიდესი შთაბეჭდილებები, რომლებმაც პირველივე დღიდან შემიპყრო. მე მაქვს ბედნიერება, შესანიშნავ პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობისა, რომელთა პროფესიონალიზმში შერწყმული გულისხმიერი მშობლიური ბუნება არა მარტო ფართოდ გვიხსნის გზას განათლებისაკენ, არამედ გვიწრთობს ზნეობრივ, ჯანსაღ სულიერებას აღამიანური ურთიერთობისათვის. უბოძოდ ბედნიერი ვარ ნაპოვნი სამყაროთი და უფრო მეტად მოხარული იმითი, რომ ჩემს მოლოდინს გაცილებით გადააჭარბა იმან, რაც მე ამ სამყაროში დამხვდა.



ს კ ო ლ ა - ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა - ო ჯ ა ნ ი



ალექსანდრე ლორია

ბიბლიოთეკა და პედაგოგი

ბოდესაც ბიბლიოთეკისა და პედაგოგის ურთიერთობის საკითხს ვიხილავთ, ამ შემთხვევაში ჩვენ პედაგოგის მიერ საკუთარი მკითხველური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბიბლიოთეკის გამოყენებაზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ პედაგოგის პროფესიონალურ საქმიანობაში საბიბლიოთეკო მომსახურების ჩართვას ვგულისხმობთ. ეს ეხება როგორც სკოლის მასწავლებელს, ისე უმაღლესი სასწავლებლის სპეციალისტებსაც, მა-

გრამ, ცხადია, აქცენტს ვაკეთებთ სკოლაზე, რადგანაც მიგვაჩნია, რომ აქ ხდება იმ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა, როგორც სასკოლო ბიბლიოთეკის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩაბმა. სკოლა არის ის ადგილი, სადაც ხდება პიროვნების მკითხველად ჩამოყალიბება და წიგნთან საიმედო ურთიერთობის დამკვიდრება, კითხვის კულგურის ჩამოყალიბება.

სასკოლო ბიბლიოთეკის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართვა ამ საუკუნის გადა-



166-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გაგმა ნ. ლოლა

უძებლად გადასაწყვეტი ამოცანაა. მთელ მსოფლიოში ეს პროცესი ერთგვარად ევოლუციურად, თითქოს თავისთავად მიმდინარეობს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სპეციალისტები, როგორც პედაგოგიკური, ისე საბიბლიოთეკო დარგიდან, ძალიან ბევრს მუშაობენ ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტაზე. ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა სასწავლებლებში ბიბლიოთეკების გამოყენების გრაფიკა, მუშავდებოდა თეორიები, იქმნებოდა ახალ-ახალი კონცეფციები. საქმე იმით დაიწყო, რომ სკოლის ბიბლიოთეკა თანდათან მედიათეკად გადაიქცა. ეს ნიშნავს, რომ სკოლის ბიბლიოთეკა ითავსებს ინფორმაციულ ფუნქციებს და იქცევა ინფორმაციული მოწყობილობის საშუალებად. ეს მოითხოვდა არა მარტო ტექნიკურ გადაიარაღებას, არამედ მეთოდოლოგიური არსენალის ცვლილებასაც – არა მარტო კომპიუტერულ სისტემებზე გადასვლას, არამედ ისეთი პრინციპულად ახალი მეთოდების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო ბიბლიოთეკის ფუნქციების გაფართოებას, ახალი სპეციფიკის მიხედვით მუშაობის აგებას.

ერთი შეხედვით, საამისოდ სკოლის ბიბლიოთეკა მოუმწიფებლად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. იქ, სადაც ბიბლიოთეკა თავის სიმაღლეზე, თავისუფლად შეიძლება შეექმნას მას ისეთი რესურსები, რომლებიც არსებულ პირობებში ინფორმაციული მუშაობისათვის საყვარელი საკმარისია. სკოლის ბიბლიოთეკას შეუძლია არა მარტო მისთვის შესაფერისი წიგნები მიაწოდოს მომხმარებელს, არამედ შეურჩიოს საჭირო წიგნი, გამოავლინოს შესაგყვისი მასალა, მიიღოს ინფორმაციები სხვადასხვა ბიბლიოთეკიდან და თავადაც გასცეს ის. მას შეუძლია დააკმაყოფილოს როგორც მოსწავლე, ისე პედაგოგი; დაეხმაროს მოსწავლეებს გაკვეთილისათვის აუცილებელი ლიტერატურის შერჩევაში, მიიღოს მისგან დავალებები მასალის მოსამზადებლად, გამოიყენოს აქ დაცული აუდიოვიზუალური საშუალებები, ასევე ხელი შეუწყოს მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საქმეში, რომ არაფერი ვთქვათ იმ უამრავ საინტერესო მასობრივ ღონისძიებებზე, რომლე-

ბსაც ბიბლიოთეკა სისტემატიურად და გეგმიურად აგარებს.

ამის შესახებ საკმაოდ ბევრი დაწერილა და თქმულა. ჩვენ არაერთგზის შევეხეთ ამას, ბევრი საინტერესო სტატია არის გამოქვეყნებული ამ საკითხზე, მაგრამ არსად არ წაგვიკითხავს და არც გაგვიგონია, რაიმე გამოხმაურება მოჰყოლოდეს ამას პედაგოგთა მხრიდან. არც ხელმძღვანელი ორგანოები ზრუნავენ მაინც და მაინც ამ საკითხის მოგვარებაზე. კვლავ გრძელდება სასკოლო ბიბლიოთეკების გაუქმება, შევიწროება და დისკრედიტაცია. როგორც ერთერთი უცხოელი სპეციალისტი აღნიშნავს, სასკოლო ბიბლიოთეკების სტატუსი გაცილებით დაბალია, ვიდრე პედაგოგისა, განსაკუთრებით შვეიციაში და რუსეთში. ჩვენს მხრივ დავუმატებდით, რომ ამ საქმეში მათ არც ჩვენ ჩამოვრჩებით, თუ არ ვუსწრებთ. საერთოდ, წიგნთან ბივშვის ურთიერთობის პრობლემებთან დაკავშირებით საკითხების დამუშავების საქმეში, სამწუხაროდ, საქართველოს პედაგოგები არნახულ პასიურობას იჩენენ, ეს მაშინ, როდესაც ბევრგან სხვა ქვეყნებში ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა ამ მიმართულებით. ამას დიდად უწყობს ხელს სასკოლო ბიბლიოთეკების საერთაშორისო ასოციაცია (IASL), რომელიც 30 წელზე მეტია არსებობს და განუხრელად იბრძვის სასკოლო ბიბლიოთეკების სასკოლო-აღმზღვლოებით პროცესში ჩაბმისათვის. ამერიკელი მეცნიერი შირა გერში სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, განათლების ოფიციალური დოქტრინა ამგვარ სწავლებაზე არ არის მომართული, თუმცა ამერიკის, კანადის და ევროპის ზოგი ქვეყანაში სწავლების ასეთი მეთოდი აქტიურად გამოიყენება (Российская Библиотечная Ассоциация. Информационный бюллетень РБА; № 17. – Санкт-Петербург, 2000.). აქ იგულისხმება სავსებით ახლებური მეთოდიკური პრინციპების გამოყენება. კერძოდ, როცა სწავლება იგება არა გრანსლიაციის მეთოდით: წაიკითხე-დაისწავლე, არამედ პრო-

ბლემური სწავლების მეთოდით: დასმულია პრობლემა – ვეძებთ მის გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში აქტიურად გამოიყენება ესა თუ ის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. სხვათა შორის, სწორედ ამ შემთხვევაშია განსაკუთრებით კარგად გამოსაყენებელი ინტერნეტის სამსახური, კომპიუტერული ევრისტიკა და ბიბლიოგრაფიული ძიება. ეს კი ბიბლიოთეკის უშუალო საქმეა და მის მოვალეობას წარმოადგენს. აქ მოწესრიგებული ურთიერთობა ბიბლიოთეკარსა და პედაგოგს შორის გადამწყვეტ როლს ითამაშებდა სწავლების პროცესის ახლებურად და უფრო ნაყოფიერად წარმართვაზე. გაკვეთილი სავსებით სულ სხვა შინაარსით დაიმუხტება და მისი მომზადებაც უფრო შემოქმედებით პროცესად იქცევა, ვიდრე მექანიკური დასწავლაა, რომელსაც ძალა – უნებურად დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენს სკოლებში.

ბავშვთა ინფორმაციული განათლება კითხვის საქმის გაძლიერებას იწვევს. არ არის სწორი ის შეხედულება, რომ ინფორმაციული ბუმი თითქოს მკვეთრად ამცირებს კითხვის მოთხოვნილებას. ჯერ ერთი, ინფორმაციული საქმე თავისთავად კითხვის პროცესად უნდა განვიხილოთ, მეორეც, ინფორმაცია ხელს უწყობს წიგნის პროპაგანდას, მის გაფრცელებას, ამა-სთან, მართალია, კორექტივები შეაქვს კითხვის მოცულობასა და მიმართულებებში, მაგრამ არა იმდენად, რომ ეს რაიმე შემფოთებას იწვევდეს. მაგალითად, დანიელი გორბენ ვაინრაიხი, საბავშვო ლიგერაგურის ინსტიტუტის დირექტორი, არ მიიჩნევს გამართლებულად გადამეტებულ წუხილს ბავშვებში კითხვის მოთხოვნილების შემცირების გამო. მისი გამოკვლევით, იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც საერთოდ არ კითხულობენ, მაინც და მაინც არ გაზრდილა ამ ბოლო ათეულ და გნებავთ ოცი წლის განმავლობაში. სხვაა, რომ კითხვა გადაიხარა უმეტესად საქმიანი კითხვისა და გასართობი კითხვისაკენ. გ. ვაინრაიხი გვარწმუნებს, რომ როგორც აღრე, ამჟამადაც იმ ბავშვების პროცენტი, რომლებიც

საერთოდ არ კითხულობენ, გაცილებით მაღალია 9-12 წლების ასაკში, ვიდრე 13-15 წლისაში. საერთოდ, ეს დაახლოებით მუდამ ასე იყო.

მკვლევარის დაკვირვებით, საყურადღებოა ისიც, რომ ბავშვებს, რომლებსაც ბევრს უკითხავენ ხმამაღლა, არ დასტყობიათ ხოლმე შემდეგ მოზარდობის პერიოდში, რაიმე უფრო მეტი აქტივობა, ვიდრე იმათ, რომლებიც თვითონ კითხულობდნენ; ამათ აშკარად ემჩნევათ, რომ უფრო მეტად აქვთ გამოხატული ინგონაციური კითხვის უნარი, ვიდრე პირველებს, შედარებით მდიდარია მათი ლექსიკა, უკეთ ფლობენ მეტყველებას. ერთი სიტყვით, არის, რასაც ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ ბიბლიოთეკარები და მასწავლებლები (იქვე). თუნდაც იმის გარკვევა რად ღირს, რომ შევიტყვოთ, თუ რაგომ არის ბავშვთა და მოზარდთა კითხვის საქმეში საკმაოდ შესამჩნევი დისპროპორცია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბავშვო ლიტერატურა გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე მოზარდთა. სხვათა შორის, ბიბლიოთეკართა ყურადღებაც, მომსახურების ღონებუც იგივე ითქმის; სწავლების პროცესზეც შეიძლება იგივე შევნიშნოთ; დაწყებითი კლასების პედაგოგიური სამსახურის ღონე გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკისა. ამის შესწავლა არ იქნებოდა ურიგო, თუკი მიზნად დავისახავდით მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას. ამდენად საყურადღებოა დანიელთა დაკვირვება, რომ მსოფლიოში ბავშვებისათვის გაცილებით უკეთესი და მეტი წიგნები გამოიცემა, ვიდრე მოზარდებისათვის.

ბავშვთა კითხვის პრობლემაზე მუშაობა მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს. საგულისხმოა, რომ ამ საქმეს ენერგიულად უძღვება ბავშვთა კითხვის საერთაშორისო საბჭო

(IBBY). სამწუხაროდ, ჩვენი საბიბლიოთეკო და პედაგოგიური სამოგადოება ძალიან შორს დგას იმ მოვლენებისაგან, რაც ასე აქტუალურია დღეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ბიბლიოთეკათმცოდნის ცდას, ხელი შეუწყოს ამ საქმის წინსვლას.

IASL-ი ყოველმხრივ ცდილობს წაახალი-სოს პროექტები, რომლებიც სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობასთანაა დაკავშირებული. 2000 წელს დიდი ფულადი პრემია გადაეცა გაილანდს პროექტისათვის – “სასკოლო ბიბლიოთეკა – მედიის ცენტრი”, რომლის განხორციელება 1999 წელს დაიწყო. არის პირობები, მოპოვებულ იქნეს გრანტები, ამოქმედდეს შინაგარეუბანი, მოზიდულ იქნეს სახსრები, მაგრამ ამას ესაჭიროება თავგამოდებული და სწორად ორგანიზებული შრომა. სამწუხაროდ, ჩვენი პედაგოგიური სამყარო ნაკლებად იცქირება ამ მხარეს, ბიბლიოთეკართა ძალისხმევა კი პრობლემის დაძლევისათვის საკმარისი არ არის. ალბათ, დროა ვიმუშაოთ პროექტზე: “ბიბლიოთეკა, პედაგოგი – ოჯახი – სკოლის მასმედიის ცენტრის საფუძველი”.

როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკათა საერთაშორისო ასოციაცია (IFLA) აქტიურად ეწევა ნორმების, სტანდარტებისა და მეთოდიკურ რეკომენდაციების პროპაგანდას, იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მსოფლიოს ბიბლიოთეკებს საქმის მართვის, მოგჯერ უნიფიცირების, ფუძემდებლური ფუნქციების განხორციელების საქმეში. ჩვენ გვმართებს, ვისარგებლოთ ამ წყალობით და როგორმე მოვახერხოთ დავძრათ ერთ ადგილზე გაყინული საქმე – გავხადოთ სასკოლო ბიბლიოთეკა მედიაცენტრად, მისი საქმიანობა ვაქციოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელ ნაწილად.



ვერა ყურულაშვილი
ქ. თბილისის მე-13 საშუალო სკოლის ღირექტორი

უმსროსკლასელთა მშობლების ფსიქო-პედაგოგიური უნეაღლებების რამოყალიბების შესახებ

მშობელი პედაგოგიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ბავშვის სრულყოფილი განვითარება.

ღღესათვის მასწავლებელსა და მშობელს შორის აშკარად შეიმჩნევა დაძაბულობა და გაუგებრობა, სახეზეა ურთიერთნდობის ღღეციციგი. მშობლები ხშირად არასწორად აფასებენ მასწავლებლის პროფესიულ ღონეს, მის მორალურ თვისებებსა თუ ქმედეებს. ასეთ შემთხვევაში თავს იჩენს როგორც მასწავლებლის უარყოფითი ემოციები, ასევე მშობლებისა და მასმედიის მიერ გავრცელებული ნეგატიური ინფორმაციების შედეგები; აგრეთვე შეიმჩნევა, რომ მასწავლებლებს არავითარი სურვილი არ გააჩნიათ მშობლები ბავშვებთან მუშაობაში ჩართონ, რაგომღაც სთვლიან, რომ პედაგოგების მოთხოვნები არასწორად იქნება გაგებული მათ მიერ. მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობა, როგორც წესი, მასწავლებლის მონოლოგს წარმოადგენს და საინფორმაციო-ორგანიზაციული ხასიათისაა, სწორედ ამ ღროს აღმართება ხოლმე გაუგებრობის კეღელი, რომელიც ძნელი გადასალახავია. პროფესიონალი, ბრძენი მასწავლებელი არ აღმართავს ურთიერთსაწინააღმდეგო ბარიკადებს, არ ემიჯნება მშობელს, არ ფამილარობს და არც გულგრილი რჩება, არამედ იგი ეწევა მუღმივ სწორ პედაგოგიურ პოლიტიკას, საღაც აუცილებელია მომთხოვნელობა და მოსწავლეთა წინსვლის, წარმატების რწმენა.

მშობელსა და მასწავლებელს შორის უშუალო და ნღობაზე დამყარებული პირველი გასაუბრების ღროს ხღება არა მარგო მომავალი მოსწავლის პოტენციის დაღენა, არამედ “ოჯახის ცოღნის” დაუფლება. ამ ღროს ურთიერთდამო-

კიღებულებების განსაზღვრაც ხღება. ამგვარი ინფორმაციები საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დაინახოს და განსაზღვროს ბავშვის ქცევითი რეაქციები სკოლაში, რაღგან ოჯახი, იქ არსებული მორალურ-ეთიკური ფასეულობანი გაღვენას ახღენს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ცნობილი პუბლიცისტი – პედაგოგი ს. სოლოვეიჩიკი ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით წერს: “მშობლები ისმენღენ პედაგოგიკას, მერე მთელი ძალისხმევით ცდილობღენ, მაგრამ არაუფერი გამოსღიოღათ. მათ არ იციან, რომ პედაგოგიკა სთავაზობს სკოლაში ჩამოყალიბებულ წესებს, რომლებსაც არაუფერი საერთო არა აქვს ოჯახურ აღზრღასთან”. ამიგომ მნიშვნელოვანია ამ წესების ოჯახის მიზნებთან და ემოციებთან დაახლოება, რაც ხელს შეუწყობს მშობლებსა და მასწავლებლების თვალსაწიერის ურთიერთშეთანხმებას.

მნიშვნელოვანია მშობელთა პირველი კრების ჩაგარება, საღაც საუბარი იქნება არა მარგო სასწავლო პროგრამების სირთულეზე, არამედ მოკავშირეობაზე, ურთიერთთანამშრომლობაზე, ნღობაზე, ბავშვის წიგნთან დამეგობრებაზე. რაც ხელს შეუწყობს ბავშვს გადალახოს სკოლაში არსებული სირთულეები.

ურთიერთობების ჩამოყალიბება უცბად არ ხღება, მაგრამ განმარგება, შეუპოვრობა, მასწავლებლის სურვილი – თითოეულ მშობელს გააგებინოს საკუთარი პედაგოგიური პომიცი, დაღებით შეღეგს მოიგანს. მაშინ აღმოჩნღება, რომ პედაგოგიკური იღეები მასწავლებლის მიერ კი არ არის ნაკარნახევი, არამედ მშობლები თვითონ მივიღენ სწორ დასკვნამღე.

მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობის ეგაპები, პირობითად, შემღევი სახით შეიძლება იყოს წარმოღგენილი:

პირველი ეტაპი – “პირველად შეხება”.

მასწავლებელი განსაზღვრავს ოჯახის გიჟს, მასში არსებულ ურთიერთობებს, როგორც მშობლების, ისე ბავშვების დამოკიდებულებას სკოლისადმი, წიგნისა და წიგნიერებისადმი. ამ ეტაპზე საჭიროა მინიმალური მოთხოვნების წაყენება. ამ დროს, ერთი მხრივ, მასწავლებელი თითქოს პასიურია – მშობლებს აძლევს საშუალებას იაქტიურონ, მეორე მხრივ, იგი ქმნის შთაბეჭდილებას კარგი მსმენელისა.

ნდობა და ურთიერთთანამშრომლობა საშუალებას აძლევს მშობლებს, ერთგვარად კონსულტანტების როლში გამოვიდნენ.

მეორე ეტაპი – “თანაბარი ჩართვა”.

მასწავლებელი მშობლებს გამუდმებით შთააგონებს, აქტიურად იმოქმედონ, თანაც “მცირე უპირატესობით” უყენებს მათ მოთხოვნებს, უხსნის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მშობლების ზემოქმედებას. ამ ეტაპზე მასწავლებელი უფრო აქტიურია, მაგრამ მშობელი კარგად ხედავს, სწავლა-აღზრდის პროცესში თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას, როგორ შეუძლია გამოიყენოს მან სკოლისა და ბიბლიოთეკის თანადგომა ოჯახში ბავშვის აღზრდის საქმეში. ამ დროს მასწავლებელი “აყვარებს” თავს მშობლებსა და მოსწავლეებს.

მესამე ეტაპი – “აქტიური ჩართვა”.

მოსწავლეები აცნობიერებენ მასწავლებლის პრიორიტეტებს, ისინი ზედმეტი ზეგავლენის გარეშე, გააზრებულად ასრულებენ დავალებებს. მშობელთა უმრავლესობასაც უკვე კარგად ესმის პედაგოგის, დახვეწილი, პროფესიული მოქმედებით მასწავლებელი ჭეშმარიტ ავტორიტეტს იმსახურებს. აქედან გამომდინარე: “თუ ის რაიმეს ამბობს, აკეთებს ე.ი. ასეა საჭირო”, “ეს ბავშვის კეთილდღეობისათვის კეთდება”.

ეტაპიდან ეტაპამდე შენდება “ნდობის ხიდი”. მასწავლებლის სიბრძნე კი იმაში მდგომარეობს, რომ კი არ დააშინოს მშობელი, არამედ ძალდაუტანებლად, ნელა-ნელა დააინტერესოს ისინი, დაიმსახუროს მათი ნდობა და სიმპაგია.

კარგ შედეგს იძლევა მომავალი მოსწავლეების წინასწარი გაცნობა. ამ მხრივ თბილისის მე-13 საშუალო სკოლაში გარკვეული გამოცდილებაა დაგროვებული. უკვე მესამე წელია, რაც სასწავლო წლის ბოლოს, აპრილ-მაისში გარდება ე.წ. “მოსამზადებელ ჯგუფებში” მუშაობა მომავალ მოსწავლეებთან. კვირაში ორჯერ ბავშვებს ორ-ორი საათით ხვდება მათი მომავალი მასწავლებელი, სკოლის ფსიქოლოგი. მეცადინეობების გეგმა შედგენილია ბავშვის ასაკობრივი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით. ბავშვები ავითარებენ ხელის მოგორიკას – საგაგვენ, ძერწავენ, ამავე დროს სწავლობენ ლექსებს და კოლექტივში ურთიერთობას. ამ ჯგუფების მუშაობამ დადებითი შედეგი მოგვცა. ასეთ კლასებში იკვრება მოსწავლეებისა და მშობლების ბირთვი, მათზე დაყრდნობით უფრო ადვილია მასწავლებლის მოთხოვნებისადმი საჭირო დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ეს ჯგუფები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბავშვებისათვის, რომლებიც საბავშვო ბაღში არ დადიან.

მშობელთა აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში გულისხმობს მათ დასწრებას გაკვეთილებზე პირველ სასწავლო დღეს. ასეთ საზემო, მაგრამ სასწავლო დღის ჩასატარებლად საჭიროა ყველა წერილმანის გათვალისწინება: კლასის გაფორმება, მშობელთა კომფორტულად მიღება, მოსალოცი სიგყვების მომზადება, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის დავალებების მიცემა. ამგვარი პირველი კონტაქტები საშუალებას აძლევს ყველას, მით უმეტეს მასწავლებლებსა და მშობლებს, განსაზღვრონ პიროვნული და პროფესიული ურთიერთობების დონე. მშობლებისათვის ეს არა მარტო საშუალებაა, დაინახონ საკუთარი შვილი როგორც მოსწავლე, არამედ განსაზღვრონ, ხშირად ქვეცნობიერადაც კი, ბა-

ვშვის მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან ურთიერთობების პერსპექტივა. მასწავლებლებისათვის ეს წინასწარ დაგეგმილი ქმედებაა, რომელიც საშუალებას აძლევს, განსაზღვროს თავისი ღონისძიების ხარისხი და მშობლების საწყისი რეაქცია სასწავლო პროცესის ორგანიზაციაზე (საინტერესოა თუ არა).

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკური სისტემის ერთ-ერთი რგოლია გაკვეთილის ჩატარება მშობელთა დასწრებით, ამ გაკვეთილის შემდეგი ანალიზითა და განხილვით. დაწყებით კლასებში ასეთი გაკვეთილების ჩატარების იდეა ახალი არ არის. ჩვენი სკოლის მასწავლებლები საკმაოდ აქტიურად იყენებენ მშობელთა გააქტიურების ამ ხერხებს. ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვთ ჩვენს მასწავლებლებს: მ.მ. რამინაშვილს, ქ.კ. ჩოხელს, მ.ვ. ჯონაძეს, მ.პ. ხულოვეას, გ.ა. მაისურაძეს. აღსანიშნავია, რომ ამ მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ მშობლები არ არიან მხოლოდ პასიური მსმენელები, არამედ ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ გაკვეთილის განხილვაში. ხშირად, მშობლების პოზიციის გათვალისწინებით, საინტერესო წამოწყებებს ეყრება საფუძველი. ასეთი გაკვეთილები ჩვენ გვებმარება თითოეული მოსწავლის მუშაობის პროცესის კორექციაში და საფუძველს უყრის თანამობარეების ჯგუფის, კოლექტივის ჩამოყალიბებას. შემდგომში ასეთი მშობლები ეხმარებიან მასწავლებელს სხვა მშობლებისათვის ფსიქო-პედაგოგიკური მუშაობის გაწევაში. დროთა განმავლობაში მშობელთა ეს ჯგუფები ივსება ახალი წევრებით, რომლებსაც შეუძლიათ სხვა მშობლებს გაუწიონ პროპედევტიკური დახმარება. ჩატარებული მუშაობა საშუალებას იძლევა შევქმნათ ისეთი საგანმანათლებლო გარემო, სადაც საგრძნობლად იზრდება მშობელთა როლი აუცილებელი ფსიქო-პედაგოგიური უნარ-ჩვევების შექმნის საქმეში. სკოლაში გარდება არა მარტო “გაკვეთილები მოწვევით”, ხშირია დაწყებით კლასებში შემეცნებით-სპორტული ღონისძიებები, რომლებშიც

მონაწილე გუნდების წევრები მოსწავლეებთან ერთად მშობლებიც არიან.

მშობლებთან ურთიერთობა და კონტაქტები მყარდება არა მარტო გეგმიურად ჩატარებულ ღონისძიებებზე, არამედ გაკვეთილებამდე და გაკვეთილების დამთავრების შემდეგაც, ე.წ. “სტიქიური” ურთიერთობებისას. ეს ურთიერთობები საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, მოახდინონ დაკვირვება მოსწავლეებზე. ამ გზით მიღებული შედეგები ფიქსირდება ე.წ. “წარმატების ნაბიჯებში”, რომელშიც მასწავლებლისა და სკოლის ფსიქოლოგის მიერ მოსწავლის პიროვნული განვითარების შედეგების დინამიკის აღნიშვნა ხდება.

მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები საშუალებას აძლევს მშობელს გააანალიზოს ბავშვის სასწავლო და შემეცნებითი საქმიანობა. ბავშვის პიროვნული განვითარების მასალების ინდივიდუალური გაცნობა ხსნის დაძაბულობას, რომელიც ხშირად უნებლიედ წარმო-

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური სისტემის ერთ-ერთი რგოლია გაკვეთილის ჩატარება მშობელთა დასწრებით, ამ გაკვეთილის შემდეგი ანალიზითა და განხილვით.

იშვება საკუთარი შეილისა და სხვა ბავშვის მიერ მიღწეული წარმატებების შედარებისას. ფაქტობრივი მასალა ეხმარება მშობელს წარმოიდგინოს შეილის მიერ მიღწეული წარმატების ან წარუმატებლობის რეალური სურათი. მასწავლებლის პროფესიულ კომენტარებთან ერთად, ეს ცნობები ბავშვის პიროვნული განვითარებისათვის საჭირო პერსპექტიული მიმართულების დადგენის ეფექტური საშუალებაცაა. მასწავლებლისათვის ხშირად ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად აძლევს ბავშვს ჯანმრთელობა საშუალებას გააანალიზოს, გაითავისოს სასწავლო ინფორმაციის დიდი მოცულობა. ამ საქმეში აუცილებელია მშობელთა დახმარება. ნდობა და

ურთიერთთანამშრომლობა საშუალებას აძლევს მშობლებს, ერთგვარად კონსულტანტების როლში გამოვიდნენ. ამ მიზნით, ფართოდ ვიყენებთ ანკეტირებას, როგორც უკუკავშირის საშუალებას. ეს არის სკოლის მიმართ მშობელთა დამოკიდებულების დადგენა, თუ როგორ ესახება მათ ბავშვის წარმატება სკოლაში, რა უშლის ბავშვს ხელს წარმატების მიღწევაში, რომელი სასწავლო საგანია ბავშვისათვის ყველაზე რთული, და როგორ სჯობს საშინაო დავალებებისათვის საჭირო დროის განსაზღვრა. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ გარდება შემაჯამებელი ანკეტირება – “სკოლა მშობლის თვალით”.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეუძლებელია უმცროსკლასელთა სრულყოფილი განვითარების წარმოდგენა მშობელთა რეალური მონაწილეობის გარეშე. სკოლაში აუცილებელია საქმიანი დიალოგი მასწავლებლებსა და მშობლებს შორის, რაც საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ ურთიერთგემოქმედების ოპტიმალური სისტემა, მიმართული ყველა მასწავლებლის განვითარებისაკენ.

საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნა საშუალებას იძლევა დაეახლოვოთ მშობლებს და მასწავლებლებს შეხედუ-

ლებანი მოსწავლეთა განვითარების, სასწავლო პროცესის შინაარსის უკეთ წარმართვის ფორმებზე, მეთოდებზე, რაც დადებითი შედეგის მიღწევის საწინდარია.

რედაქციისაგან: ჩვენი ჟურნალი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ, როგორც იქნა, ჩვენთან თანამშრომლობა პედაგოგებმაც მოისურვეს. შემოთავაზებულ სტატიას, მართალია, ნაკლებად ეხება ჩვენს ძირითად პრობლემებს, მაგრამ იმის მაგალითს ნამდვილად წარმოადგენს, თუ რაოდენ დაინტერესებულნი ვართ ჩვენ სასკოლო ცხოვრებით და რაოდენ ნაკლებად უთმობენ პედაგოგები თავიანთ საქმიანობაში ბიბლიოთეკასა და წიგნის პრობლემებს. არადა, თანამედროვე დაწყებითი სწავლების ეტაპზე სწორედ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო ბიბლიოთეკას. სასკოლო ბიბლიოთეკის საქმიანობის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართვის თაობაზე ჩვენს ჟურნალში არაერთი სტატია არის გამოქვეყნებული, რომელმედაც, სამწუხაროდ, პედაგოგიურ საზოგადოებას აქამდე ყურადღება არ მიუქცევია. იმედს გამოვთქვამთ, ჩვენი პედაგოგები დაინტერესდებიან ამ საქმით და გამოიყენებენ ჩვენი ჟურნალის ფურცლებს თავიანთი მოსაზრების გამოსახატავად.



ბ. ცხადაძე

პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობის ტერმინები ქართულში: ყდა, წერაქვა

1. ყდა




და ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში უცნობი სიტყვაა. იგი არ დასტურდება ი. აბულაძისა [1] და ზ. სარჯველაძის ლექსიკონებში [2]. ყდა, როგორც პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი ტერმინი, არ დასტურდება ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ გამოკვლევებში (ქართული პალეოგრაფია) [3]. ყდა, როგორც პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი მნიშვნელობის სიტყვა, გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონაში”: ყდა – წიგნის (წიგნთ B) საგვერდული ZAB (იქვე დამოწმებულია მისი მეორე მნიშვნელობაც: ყდა – საქსოვის გასაბამი ZAB [4]). თითქმის იგივე განმარტებაა დ. და ნ. ჩუბინაშვილების ლექსიკონში: ყდა – საქსოვართ გასაბამის ჯილდა; მაგ., ყდა ქარგისა, შეკრულის წიგნის გვერდის ფიცარი, კნდე, ყუა [5], ყდა – საქსოვართ გასაბამი ჯალდა. // შეკრულის წიგნის გვერდის ფიცარი [6].

ჩვენი მოსაზრებით, ყდა ძველი ქართულ-ქართველური სიტყვაა, რომლის არქეტიპად საკუთრივ ქართულისათვის უნდა იყოს ყუდა, ბოლოკიდური – სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია, ყუდ ძირი. მეგრულში ყუდ’ის შესატყვისია სუდე “სახლი”, სვანურში – ყუედ – ყუედ-ი, “მყუდრო, წყნარი”. როგორც ჩანს, ქართ. ყუდ’ის უძველეს ძირად ყუედ ურელექციო ფორმა უნდა ვიგულისმოდ. როგორც ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე შენიშნავენ, [7, 367] ქართული და მეგრული ძირები შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ [8, 19], სვანი ეკვივალენტი გამოავლინა ი. ჩანგლაძემ [9, 169].

იქვე უნდა ითქვას, რომ მეგრულ სუდე-ს მნიშვნელობა (“სახლი”) სრულ სემანტიკურ შესატყვისობას იძლევა ქართულთან: კერძოდ, სუდე-ს ქართულში შეესაბამება ყუდ ძირისაგან წარმოებული სიტყვები: საყდარი (<სა-ყუდ-არ-ი> აქედან წარმოდგა გვარსახელი სახგარაძე (<სა-ყდარაძე>), რასაც საფუძვლად დასდებია ადამიანის მეტსახელი საყდარა//სახგარა: მაგრამ ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ბუსტ შესაბამისობას წარმოადგენს სვან. ყუედ-ი “მყუდროს”, “წყნარის” მნიშვნელობა შეიძლება ამთავითვე ითქვას, რომ მეგრ. ლუდე-ს “სახლის” მნიშვნელობა და ქართ. “საყდარ”-ისა მეორეულია, თავდაპირველ მნიშვნელობას სწორედ ძველი ქართულის მონაცემებში გვაქვს, შედარ. ძე. ქართ. დაყუდება, დაყდუნება “დამშვიდება”, “დაცხრომა” “დაწყნარება”, დაღუმება, მონაზვნობა [1]. ხუთივე განმარტება “დაყუდებისა” იმავდროულად ძველ ქართულშივე ამ სიტყვის სინონიმია. ცხადია, მონაზვნობა, როგორც სინონიმი, ყველაზე გვიანდელია. აქვე დავძენთ, რომ ძველ ქართულშივე დაყუდებით მყოფი ნიშნავს მონაზონს, დაყუდებულს, “დაწყნარებულს”, დაცხრომილს, მონაზონს [1, 130], საყუდელი კი “საყოფელს” (=სადაც იმყოფები, აქედან წარმოდგა სწორედ მნიშვნელობა ა) სახლი, ბ) საყუდარი// -> საყდარი). შედრ: “დაამტკიცენ ძლიერებითა საყუდარნი შენი საუკუნენი” 4-341,801 [1, 376]. ძველ ქართულშივე ყუდ ფუძე შეკუმშულა – უნ სუფიქსის დართვით: დაუდუნება <დაყუდ-უნ-ება>.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, ყუდ(ე) – ყდა-ს ეტიმოლოგიური ურთიერთმიმართება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



მეგრულში ახლაც ცოცხალი “სიგყავა-თშეჯამებებია” სულეში რთულა – “სახლის გადახურვა” [12, 21], სულევარი “წინკარი” [13,333].

როგორც ჩანს, ყდა ნიშნავს ისეთ საყულარს, რაშიც წიგნის გვერდები, ფურცლები ჩაეყულება, და მაგრდება. თავდაპირველად კი ყუდ (დაყულება, საყულარი, დაყდუნება) ძირი დაწყნარებას, დაცხრომას, დასამშვიდებელ, მყულრო ადგილს გამოხატავდა. იგი, როგორც წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული გერმინი, შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და განვითარდა. სწორედ ამით აიხსნება მისი არარსებობა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში.

2. წერაქვა

წერ (ჭერ, ჭარ) ფუძიდან ნაწარმოებ სიგუვეებს ჩვენ სპეციალური წერილი მიუძღვევით [14, 47-50]. მათ შორის ვეხებოდით წერაქვ- აგებულებით რთული ლექსემის წარმომავლობას. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს სიგყვები ძალიან ძველი, შესაძლოა ქვის ხანის დროინდელი გერმინია. როცა ქვის გარდა, სხვა წვეგნიანი იარაღი არ არსებობდა. ამრიგად, წერაქვი (<წერაქვით?) ქვით (წვეგნიანი) ჭრა-კვეთა, ჩხვლეგაა რაიმე ბელაპირზე.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულის მოგვიანო წერილობით ერთ ძეგლში წერაქვ ნარი-

ანთ მრავლობითის ფორმით დავადასგურეთ: მოიწინეს და მოიღეს სათხროლები და წერაქვანი (აგიოგრ. IV. 410, 15-16), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ წერაქვ ლექსემის გვერდით ძველ ქართულში წარაქვა “სახვლეტი ქვა”-ც უნდა გვექონოდა (წერაქვან’ში მრ. რიცხვის აღმნიშვნელია, ნარის წინ მდგომი აქვს სიგყვის დაბოლოებისეული).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არსებული “წერაქვ” ი. აბულაძეს “ჩაქუჩ”-ად განუმარტავს. მკვლევარს იქვე მოჰყავს საილუსტრაციო მასალაც: “ცულთა და წეაქვთა დაამკუნეს იგინი” ფს. 73,6; “ვითარცა წერაქვ, რომელმან განკუეთის კლდეც” I. იერემ. 23,29; “წარიღეს თანა წერაქვ და ეჩუა და ქვისა აღმოსაკვეთელნი” Sin 11. 242 [1]. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ფრიად ფასეულია ბოლო მაგალითი, რომელშიც ნახსენებია “ქვისა აღმოსაკვეთელნი” (=ქვის ამოსატრელი იარაღები) “ეჩუა” – სათხრელი იარაღი, “სათხრული”, და წერაქვ”. ვფიქრობთ, ყველა მაგალითში “წერაქვის” მნიშვნელობა მაინც დასადგენია. არ ჩანს, იგი მართლაც ჩაქუჩია, თუ წვეგნიანი ჩაქუჩის მსგავსი იარაღი.

წერაქვ/წერაქვა-ს უკავშირდება ასევე წერ ფუძისაგან ნაწარმოები სამეურნეო (თიბვა-მკის ლექსიკა) გერმინი წერეული//წერული, რომელიც ძველ ქართულში acevus, ძნას (მოჭრილს) ნიშნავს: “დაწვა იგი ზუხსა მას წერეულისა (წერეულისა) მისისასა” MO. რუთ. 3,7 [1]. წერეულ/წერულის წერ (ეულ-ულ სუფიქსებია) იგივეა, რაც წერი (კუთხ. ლეჩხ. რაჭა. იმერ. გურ.) კაკლის ხის ქერქის გამონახარში საღებავი, რომელიც მოყავისფრო შავად ღებავს (ულ. კუთხ. ფშ-ხევს.) ნავთობი: კუპრი და წერი კუთხ-ხევს. ჭვავის ძნის ოთხკუთხედი გვინი, რომელიც სამ წერილას (63 ძნას) შეიცავს. ბემო რაჭულ კილოკავში წერი “სარზე ასხმული რამდენიმე [ჩალის] კონაა, დაახლოებით 30-35-მდე” [15]. ორივე შემთხვევაში წერი (საღებავდ, რომელიც ქსოვილს წერს, ჩხვლეგს, ფერს უცვლის და ძნა) კვეთა-ჭრას უკავშირდება.

ამრიგად, წერაქვი//წერაქვა ძირძველი პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი გერმინები. ჩვენს წინაპრებს წერაქვი სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღადაც გამოუყენებიათ და საბრძოლო, პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი გერმინადაც უქცევიათ.

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები) თბ. 1973
2. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ. 1986
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. მე-2 გამოცემა, თბ. 1972
4. ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი გ. IV. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ. 1966
5. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მე-2 გამოც, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიგყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984
6. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დლონგის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961
7. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, პროფ. კ. დანელიას რედაქციით, თბ., 1990

8. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ.,
9. ი. ჩანგლაძე, დ ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნება სვანურში: ქართველურ ენათა სგრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974
10. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000
11. ა. ლიპარგელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოლურული კილო], თბ., 1994
12. ბ. კილანავა, 900 მეგრული სიგყვა, თბ., 1998
13. გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), პროფ. კ. დანელიას რედაქციით, თბ., 1997
14. ბ. ცხადაძე, წერ (ჭერ, ჭარ...) ფუძეთაგან ნაწარმოები პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი გერმინები ქართულში // საქართველოს ბიბლიოთეკა № 1(1), თბ., 2002
15. ქართული ენის განმარგებითი ლექსიკონი (რეაგომეული). აკად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1956-1964.

შემოკლებათა განმარგება

მეგ. – მეგრული

სვან. – სვანური

ქართ – ქართული

ძვ. ქართ. – ძველი ქართული



მთას ნისლი ალაგაზებს, კაცს – სამეშ

ომი, ამბოხნი ძეგლებსაც დასცემს,
სერალსაც, რომლის თალი ცაშია,
მაგრამ ხსოვნაში ჩაჭედო ნაშენს
ათასწლოდებიც ვეღარ წაშლიან.

უილიამ შექსპირი

ჩვენი ოთარი, – ასე იცნობენ მას მშობლიურ სოფელ გბეთში, რომელიც შავშეთის კალთებსაა შეფენილი და ზღვის დონიდან 100 მეტრზეა. ასე მიმართავენ 30 წელზე მეტია სამსახურში. კაცს აუგს არ ეცყვის, თბილი ღიმილით, კეთილი სი-
ცყვით შეეგებება. იცყვიან, პროფესია აქვს ასეთი და მიგომაცო.

საოცარ კაცს მართლაც სათაყვანებელი პროფესია აქვს. იგი წიგნებს ეფერება და ელო-
ლიავენ, ცოცხალი “ძაფია” მკითხველსა და წი-
გნს შორის.

ღედით დაობლებულ ყმაწვილს სახარბი-
ელო ბავშვობა არ ჰქონია. სოფელში სამწყე-
მსოში რომ მიდიოდა, გაკვეთილს იქ სწავლო-
ბდა. პირველი რომანი პარმენ ლორიას “მეველ-
დიც” გაფხულის არდადეგებზე მთა ჩირუხში
მწყემსად მყოფმა წაიკითხა.


– ოთარ, წიგნების კითხვა გიყვარს, მოდი,
ბედი ბიბლიოთეკა-ბიბლიოგრაფიის სპეციალო-
ბაზე სცადე, – უთხრა გარდაცვლილი დედის ძმამ
დავით ჯაფარიძემ.

– მიმიხვდი გულისნადებს, მაგრამ სგუდე-
ნგს გამიჭირდება თავის რჩენა, ხომ იცი, ჩემი
ოჯახის მდგომარეობა.

– სოფელი, სანათესაო დაგეხმარებით, შე-
გან ოღონდ სურვილი იყოს.

1969 წელს დაუბრუნდა ოთარ ფევაძე
შუახვევის რაიონს დიპლომიან სპეციალისტად.
იმავე წელს სოფელ სამოლეთში გაამწესეს ბი-

ბლიოთეკარად. ახალბედა
სპეციალისტმა მალე და-
აგყო საქმეს ხელი. ერთი
წელიც არ იყო გასული და
შუახვევის რაიონის კუ-
ლტურის განყოფილების
მაშინდელმა გამგემ ბა-
ვშვთა რაიონულ ბიბლი-
ოთეკაში მიიწვია სამუ-
შაოდ.



ოთარ გინარიძე,
ჟურნალისტი

ოთარ ფევაძის დვა-
წლზე დიდი მოკრძალებით ლაპარაკობენ დღეს
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გივი
ცეცხლაძე, იურიდიული მეცნიერებათა დო-
ქტორი პროფესორი ბესარიონ ზოიძე. წიგნის
დიდი გრფიალი ჩვენც გვაყვარებდა კითხვასო.

დღესაც შუახვევში ხშირად იცყვიან: სადაც
კულტურის განყოფილების გამგეს კონსტანტინე
ბერიძეს, მიხეილ ზოსიძეს, იური ტაკიძეს, სუ-
ლიკო ფუტკარიძეს ბარიერები ჰქონდათ, ისინი
ფევაძემ დაძლიაო.

მისი ინიციატივით სემონური მოძრავი სა-
ბავშვო ბიბლიოთეკა გაიხსნა ჩირუხის პიონე-
რთა და მოსწავლეთა ბანაკში. წიგნად ფონდთან
ერთად საბავშვო ბიბლიოთეკა შეავსო ახალი
ინვენტარ-მოწყობილობებით. დღესაც მას იყე-
ნებენ.

საბავშვო ბიბლიოთეკაში მოიპატივა ქვე-
ყნის ღირსეული ადამიანები, მათი საქმე და
სახელი გააცნო შუახვეულ პაგარებს. აქედან მო-
ყოლებული, ურთიერთობა არასოდეს არ გა-
უწყვეტია რემო ჩხეიძესთან, მუხრან მაჭავარი-
ანთან, ანა კალანდაძესთან, ლია სგურუასთან,
ზურაბ გორგილაძესთან, ფრიდონ ხალვაშთან,
ცისანა ანთაძესთან, ჯემალ ჯაყელთან, ვახუშტი

კოტეგიშვილთან, ოთარ კობერიძესთან, ლია ელიაფასთან, ვახტანგ ნინუასთან, ლეილა აბაშიძესთან, ისუფ კობალაძესთან.

ის კი არა და, საქართველოს კულტურის ხელმძღვანელები – აწ განსვენებული ოთარ თაქთაქიშვილი, შემდეგ კი ვალერი ასათიანი შეხვდნენ თბილისში ჩასულს, იმედს არასდროს არ გაუცრუებდნენ ხოლმე.

მაგათ რომ მოიხსენიებ, ნურც ჩემს თანამოსაქმეს გრიშა კიპაროიძეს, ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილ დირექტორს ალექსანდრე კარგომიას, სერგო პულუზაშვილს, გურამ თაყნიაშვილს, ალექსანდრე ლორიას დაწყევგ გულსო, დღეს ისინი მიმაგრებენ გვერდსო.

დღეს რომ ვახსენებ, ოთარს ის პერიოდიც წარმოუდგება თვალწინ, როცა სამი ქალიშვილის მამას შუახვევის რაიცენგრაფური ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული კოორდინაციისა და კონსულტაციის განყოფილება ჩააბარეს. მას შემდეგ ოჯახს კიდევ ელუარდი, მირზა და გიორგი შეემაგნენ, უკვე 9 შვილიშვილის ბაბუყაა.

თანამოსაქმეებთან ერთად პურ-ღვინით სავსე მაგიდას რომ მიუჯდება, უმაღვე ელუარდის შვილს ნიკას დალოცავს. გვარის გამგრძელებელს გაუმარჯოსო.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, – ამბობენ, მაგრამ არც ასეა საქმე. უდროოდ წასული ახლობელი, მეგობარი სამუდამო იარაგ გოვებს გულში. ოთარიც აგრერიგად ეფერება და ელოლია ავება დედის საფლავს. არც უდროოდ წასულ მეგობრებს ეთერ მიქელაძეს, ნახული ხიმშიაშვილს, კონსტანტინე ბერიძეს, ალექსანდრე ფუტკარაძეს, მიხეილ აბაშიძეს ივიწყებს.

2003 წელი მისთვის საიუბილეოცაა. ცხოვრების კალენდარზე ორი ხუთიანი აკიაფდება. ცხოვრობს, საქმიანობს, მთაში მთასავით ამაყი და საქმით გალამაზებული კაცი. რომელ როლანი ამბობდა: “შექმნა ნიშნავს გწამდეს”. ოთარ ფევაძესაც სწამს თავისი განვლილი გზის სიმართლე და უკან მოხედვის არ ეშინია.



ი ბ ი ლ ე

გეინაბ ქიქილაშვილი
საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი

სოსხალი მუბატიანი
პერი პულაძე – 100

რვენს რთულსა და ბობოქარ სინამდვილეში არაფერი ისე არ ამშვილებს ადამიანის სულს, როგორც ვალმოხდილობის განცლა შენი ქვეყნის, ახლობლებისა და მთელი საზოგადოების წინაშე, შეგნება

იმისა, რომ კეთილსინდისიერად შეასრულე შენი მოვალეობა. მორალური კმაყოფილებისა და შინაგანი ღირსების შეგრძნების უფრო ძლიერი წყარო ძნელი წარმოსადგენია.

ბედნიერია ადამიანი, როცა პირნათლად



ზაინაჰ ჰიჰილაჰვილი

მოიხადა თავისი ვალი. ეს ბუნდურება კიდევ უფრო სრული იქნება, თუ ღირსეულად დააფასებენ მის ამაგს, ცდასა და მონღომებს.

ყველა ეს თვისება უფლისაგან ნაბოძები აქვს ქალბატონ მერი მელაძეს. ამ უკეთილშობილეს ადამიანს, რომელმაც ცხოვრების დიდი გზა გამოიარა, საუკუნეს მიაღწია და დღესაც ხალისიანი და ყურადღებიანი, ისევე შერჩენილი აქვს დიდი სიყვარულის განცდა – როდესაც ქალბატონ მერის მოიკითხავთ გელეფონით ან დღესასწაულს მიულოცავთ – მაღლობას გადაგიხდით და აუცილებლად მიგიპატივებთ სახლში.

ქალბატონ მერი მელაძეს საინგერესო ბიოგრაფია აქვს. საუკუნის მანძილზე ბევრ ცნობილ პიროვნებას შეხვედრია, ახლო ურთიერთობა ჰქონია.

✓ მერი მელაძე დაიბადა ქ. ბაქოში 1903 წლის 21 სექტემბერს.

დედა იოსელიანის ქალი იყო, მარიამ პავლეს ასული; დიასახლისი გახლდათ, მაგრამ ოპერის პირდაპირ ჰქონდა სალონი, რომელიც ქველმოქმედებას ეწეოდა.

მამა – დიმიტრი როსტომის ძე მელაძე – ფინანსისტი იყო, ბაქოში მუშაობდა, ნავთობის დიდ კორპორაციაში. მასთან ჩამოდიოდნენ იმ დროს გამოჩენილი მსახიობები, რომლებსაც ეკონომიკურად ესმარებოდა. აქ იბეჭდებოდა არალეგალური პრესა, რომელიც საქართველოში ვრცელდებოდა.

მამა, – იხსენებს ქალბატონი მერი, – რევოლუციონერების დიდი შემწე, მფარველი და მეგობარი იყო, ქართველ მარქსისტებს სწორედ მასთან ეგულებოდათ საიმედო და საიდუმლო თავშესაფარი. ის გიორგი სკურუას ერთგული მეგობარი



მერი მელაძე

გახლდათ, მუდამ მხარში ედგა მას და მზად იყო დახმარებოდა დევნილ რევოლუციონერთა და მალე-გადაყვანასა და პროკლამაციების გავრცელებაში. ერთხელ გიორგი სკურუამ მამას ბაქოში დასამალად გაუგზავნა თავისი ძმა და თანამებრძოლი, ცნობილი რევოლუციონერი ვანო სკურუა. მამამ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა მას, რის გამოც გიორგის დიდი მადლობა და პატივისცემა დაიმსახურა.

მამაჩემის მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რევოლუციის მტრებს. ჯერ იყო და მეთვალყურეობა დააწესეს მასზე, როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნებაზე, ხოლო 1918 წელს მამა მოკლეს ბოლშევიკებმა.

მამა მოწინავე იდეებით გატაცებულ იმ ადამიანთა შორის ერთ-ერთი იყო, რომელთაც დაუნდობლად მიიგანეს თავიანთი სიცოცხლე რევოლუციის სამსხვერპლოზე და ჩუმი, უპრეგენზიო საქმიანობით დიდად შეუწყვეს ხელი რევოლუციის გამარჯვებას.

მამა დედამე 22 წლით უფროსი იყო. შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ. ოთხი დედამისიშვილი ვიყავით: სამი და და ერთი ძმა. უფროსი და 23 წლის ასაკში გარდაიცვალა აპენდიციტით. მას ვაჟი დარჩა, არჩილ ჩიქოვანი, ის გეოლოგი იყო.

შემდეგ მომდევნო – მე გახლდით. ჩემს მერე იყო ძმა დიმიტრი, ის პირველი ქართველი გენეტიკოსი იყო, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა უნივერსიტეტში, უხერხემლოთა ბოლოლოგიის კათედრის გამგე გახლდათ. 1961 წელს გარდაიცვალა.

ჩემი უმცროსი და ემა აგრონომი იყო. მისი მეუღლე ლევან ჯაფარიძეც – აგრონომი გახლდათ. მან მრავალი წელი იმუშავა ამ დარგში შინაგან საქმეთა სამინისტროში; პოლკოვნიკი იყო.

✓ თბილისში ათიანი წლების დასაწყისში გადმოვედით. მე და ჩემი უფროსი და თამარი წმინდა ნინოს

პანსიონში ვიზრდებოდით. გრი-
ვ გოლ რობაქიძე ქართულს მასწავ-
ვლიდა. პანსიონი მდებარეობდა
მთაწმინდაზე, ყოფილ ჩიგაძის ქუ-
ჩაზე (ახლანდელი 9 აპრილის
ქუჩა), ფრიალოსანი მოსწავლე ვი-
ყავი.

მე და ჩემს დას ძალიან გვი-
ყვარდა წიგნები და მუსიკა, კა-
რგად ვუკრავდით როიალზე, და
როგორც ამ ასაკის გოგონების
უმრავლესობა, რომანტიკული
იდეებით ვიყავით გატაცებული.

1912 წელს, ნიკოლოზ მეფე რომ თბილისში
ჩამოვიდა, მე მაშინ წმინდა ნინოს სასწავლებე-
ლში ვსწავლობდი.

ვორონცოვის სასახლიდან კინოთეატრ
“აპოლომდე” ხალიჩა იყო გაფენილი. ხალხი ძა-
ლიან კარგად შეხვდა მეფეს. იყო უამრავი ყვა-
ვილი.

მე ლექსი წავიკითხე ფრანგულად, ნიკო-
ლოზი მომეფერა, შუბლზე მაკოცა.

სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების
შემდეგ სწავლა კონსერვატორიაში განვაგრძე,
პედაგოგ თამარ ჩხარტიშვილის კლასში. ბაქა-
რია ფალიაშვილი თეორიას მასწავლიდა.

ჩვენ საკუთარი სახლი გვექონდა ღერეისკის
ქუჩაზე, გოგებაშვილზე, ფუნიკულიორის ძირშიც
გვექონდა სახლი, საზაფხულო აგარაკივით.

1921 წელს, როცა საქართველოში ბოლშე-
ვიკები შემოვიდნენ, მთელი ჩვენი ქონება,
სახლები ჩამოგვართვეს, მერე ღერეისკის ქუ-
ჩაზე ვცხოვრობდით, ეს ჩვენი ერთ-ერთი სახლი
იყო. იქ პაგარა ბინა დაგვიგოვეს. ამ დროს მო-
ულოდნელად დაიღუპა ჩემი და. ამით თავბარდა-
ცემულმა მაშინვე მივატოვე კონსერვატორია და
საჯარო ბიბლიოთეკას მივაშურე. იმ ხანად მისი
ღირექტორი იყო პროფესორი გიორგი გეხტმანი,
რომელმაც თავაზიანად მიმიღო, გამამხნევა, ყუ-
რადღებით მომისმინა და ჩემდა გასაოცრად, იმ
დღესვე ჩამრიცხა ბიბლიოთეკის შტაბში; მაშინ
ბიბლიოთეკაში სულ თორმეტიოდე ადამიანი მუ-
შაობდა, მე მეცამეტე გახლდით, მაგრამ ეს ავბე-



მერი მელაქა

დითად აღიარებული რიცხვი ჩე-
მთვის საბედნიერო აღმოჩნდა;
მას შემდეგ 75 წელი არ მოვმო-
რებივარ ბიბლიოთეკას. ამ ხნის
განმავლობაში ჩემთან მუშა-
ობდნენ მარო იორდანიშვილი,
კოლია აკერმანი, მარუსია კუ-
პრაძე (ვიქტორ კუპრაძის და),
შურა კავკასიძე, ნიკო ლორთქი-
ფანიძე.

დავიწყე რიგითი ბიბლიოთე-
კარის თანამდებობით. ბოლოს
კატალოგიზაციისა და ანბანური
კატალოგების ორგანიზაციის გა-
ნყოფილების გამგე ვიყავი.

ჩვენი ოჯახი ბევრ ცნობილ პიროვნებასთან
მეგობრობდა.

სტალინის დედას ვიცნობდი – ვუკითხავდი
ყოველდღიურ ფოსტას. ცხოვრობდა ვორონცო-
დაშკოვის სასახლეში.

კეკე პაგარა, ლამაზი, ჩიხტიკოპში გამო-
წყობილი იჯდა მის სავარძელში. ჩვენ ფეხებთან
დავუჯდებოდით და ვუკითხავდით.

მარო იორდანიშვილთან და ეგორაშვი-
ლთან ერთად შევადგინეთ და გამოიცა ფუნდა-
მენტური ბიბლიოგრაფია “ი.ბ. სტალინი ქართულ
პოეზიაში”. ეს იყო ორგომეული. წარგვადგინეს
სახელმწიფო პრემიაზე, მაგრამ 1953 წელს გა-
რდაიცვალა სტალინი და...

კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახთან
დაახლოებული ვიყავი. კონსტანტინეს უფროსი
ძმა, ალექსანდრე გამსახურდია ჩემი ნათლია
იყო. მას და მის მეუღლეს შვილი არ ჰყოლიათ.
ალექსანდრეს უნდოდა მე ავეყვანე შვილად, მა-
გრამ დედაჩემმა არ ჰქნა.

ალექსანდრე შესანიშნავი აგრონომი იყო.
თავისი სპეციალობით კარგი შემოსავალი ჰქო-
ნდა. ძალიან კარგი ავგორიგეგით სარგებლო-
ბდა.

ჩემი ოჯახის შესახებ:

1929 წელს ვიქტორწინე ბეჟან გიორგის ძე
შარაშიძემ, ის “ნარკომუდელში” მუშაობდა. სა-
ცყეო და სტატ-ეკონომიური ფაკულტეტები ჰქო-
ნდა დამთავრებული.

შემდეგ ბეჟანი საკავშირო ეკონომიკის ინსტიტუტში კათედრის გამგედ, პედაგოგად და მეცნიერ მუშაკად მუშაობდა, შემდეგ სტატ-ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტში, იგივე კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე იყო. ის 60 წლის ასაკში გარდაიცვალა.

1931 წელს ჩვენ პირველი შვილი, გიორგი (ზოზო) შარაშიძე შეგვეძინა. სპეციალობით ნევროპათოლოგი იყო. ბოლოს მე-7 საავადმყოფოში მთავარი ექიმი გახლდათ. იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი. 1990 წელს ინფარქტით გარდაიცვალა.

დარჩა მეუღლე – ლიანა თევდორაძე. ის ექიმა, დოცენტი. მათი ვაჟი – ჩემი შვილიშვილი ბეჟანიც ექიმა. მისი და თამარ შარაშიძეც ექიმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ჰყავს 2 ქალიშვილი.

მეორე შვილი თამაზ შარაშიძე 1942 წელს შეგვეძინა. მან ცენტრალური მუსიკალური ათწლედი დაამთავრა, მაგრამ შემდეგ რაგომლაც ექიმობა მოინდომა. სპეციალობით მეან-გინეკოლოგია, მე-5 საავადმყოფოს პოლიკლინიკურ გაერთიანების მთავარი ექიმი. ჰყავს მეუღლე თამუნა ჯაფარიძე, ინგლისური ენის სპეციალისტი. მუშაობს უნივერსიტეტში. ქალიშვილი ეკა შარაშიძე გერმანულ ლიცეუმში მუშაობს. ჩემი შვილთაშვილი სალომე მაჭავარიანი 13 წლისაა.

გალაკტიონ გაბიძე ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ერთხელ მარჯანიშვილის მოედანზე გროლეიბუსში ავედით მე და ჩემი უფროსი ვაჟი ზოზო. ბავშვი გიროდა, ვერაფრით გავაჩერე. გროლეიბუსში გალაკტიონი იყო. მაშინ მას ახლოს არ ვიცნობდი.

ზოზო ხელიდან გამომგლიჯა და ბავშვი გაჩერდა. მერე გამოვართვი და ისევ აჩერდა. გალაკტიონი იძულებული გახდა, სახლამდე მივე-



მარი კოლაგაძის შორის (ზის შარაში)

ცილებინეთ.

კარი ჩემმა მეუღლემ გაგვიღო და გაოცებული დარჩა, გალაკტიონი ბავშვით ხელში. მას შემდეგ ვმეგობრობდით. ჩვენი ოჯახი სიმონ სხირგლამესთან, არჩილ გოკიელთან, კონსტანტინე ერისთავთან მეგობრობდა.

აი, ასეთი ნათელი, კეთილი გზით განვლო მერი მელაძემ საუკუნე.

ბიბლიოთეკის ცოცხალი მემკვიდრე, ქალბატონი მერი – “თმათეთრი და სახენათელი წიგნის დედა” – დღესაც ასეთი თბილი სიყვებით მოიხსენიებენ ბიბლიოთეკის ის თანამშრომლები, რომლებსაც უყვართ ბიბლიოთეკა, რომლებსაც მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ, იციან წიგნის ფასი, აფასებენ წიგნიერი ადამიანის ღვაწლს, პატივს მიაგებენ წინაპრის დამსახურებას და ქედს იხრიან მის წინაშე. ქალბატონი მერის ბიოგრაფია სამუდამოდ შეერწყა სიკეთის გაძრის ბიბლიოთეკის ბიოგრაფიას.

მუხლმოყრით ვეფერებით, ვკოცნით, ვულოცავთ საუკუნოვან იუბილეს – ჩვენს მერი მელაძეს, ყველა თაობის მეგობარს, სასურველსა და საყვარელ ადამიანს.



გურამ თაყნიაშვილი

შერნალი კლასიკებს

/ "საქართველოს ბიბლიოთეკის" მათი ნომრის გამოცემის გამო /

ქინც 2000 წლის 6 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დაესწრო ჩვენი ჟურნალის პირველი ნომრის წარდგინებას საზოგადოების წინაშე, მას უსათუოდ გაუჩნდებოდა კითხვა: შეძლებს თუ ვერა სარედაქციო კოლეგია ამ მძიმე, საპასუხისმგებლო გვირგვინს მიღვას, რა სახის მასალას მიაწვდის იგი ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკარებს, ეყოფა თუ არა ერთუბიანობა და შემართება სარედაქციო კოლეგიის მცირე ჯგუფს შეასრულოს დანაპირები და პროფესიული ჟურნალი გახადოს სიცოცხლისუნარიანი. ეს და სხვა კითხვები შეიძლება ახლაც აწუხებთ ბიბლიოთეკარებს, მკითხველ საზოგადოებას, მათ, ვინც კარგად უწყის დღევანდელ პირობებში ჟურნალის გამოცემის სირთულე. ჟურნალი დაფუძნდა როგორც კერძო საწარმო. მისი დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია შეძლებისდაგვარად მცდელობას არ აკლებენ ჟურნალის გამოცემის საქმეს. სიგყვით და საქმითაც იგრძნობა მათი თანადგომა, თანაგრძნობა, ყოველდღიური მზრუნველობა.

წინამდებარე ნომერი ერთგვარად საიუბილეო, მეათე ნომერია, იგი პერიოდულობით არ მიყვება დადგენილ ვადებს და ცოცხა დაგვიანებით გამოდის, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მთავარი მაინც ის არის, რომ ჟურნალი გამოდის; სარედაქციო კოლეგია იღვწის, მცდელობას არ იშურებს მისი პროფესიული დონის ბრძლისათვის. ჩვენ არ ვაპირებთ წინა ცხრა ნომრის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას. ერთი რამ

ცხადია, და ეს არ გახლავთ სარედაქციო კოლეგიის ამრი: ჟურნალმა მოწონება დაიმსახურა არა მარტო საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებში. მის ფურცლებზე დაბეჭდეს მასალები ჟურნალისგებმა, პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა, ენათმეცნიერებმა და სხვ. საინტერესო სტატიები გამოაქვეყნეს ლ. ბერძენიშვილმა, გ. სტურუამ, ნ. ჩხენკელმა, ბ. ცხადაძემ (№ 1, 2000), ა. ლორიაშვილმა, ლ. ბუკიაშვილმა, თ. საყვარელიძემ, თ. გურულმა, ნ. ჯორბენაძემ, ნ. ქავთარაძემ, გ. თაყნიაშვილმა (№ 2, 2001), ც. წერეთელმა (№ 3, 2001), ვ. წერეთელმა, რ. ნიქარაძემ, მ. კალანდაშვილმა, ი. ღარიბაშვილმა, მ. ფირცხალავამ, ნ. ლობჯანიძემ (№ 4, 2001), ნ. მჭედლიშვილმა, ნ. მუსერიძემ, თ. ყანდარელმა, მ. დეკანოსიძემ, გ. სარაჯიშვილმა (№ 1, 2002), ლ. ჯანგველაძემ, მ. სოლოღაშვილმა, გ. გიორგაძემ, ც. ხორავამ (№ 3, 2002) და სხვებმა.

ჟურნალმა სათანადო ადგილი დაუთმო საქართველოს საბიბლიოთეკო დარგის იურიდიული საფუძვლების ფორმირებისა და არსებული მდგომარეობის გაშუქების პრობლემებს; მკითხველს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საქმიანობას, მასთან მოქმედი კონსორციუმის სახელმძღვანელო მასალებს;

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჟურნალში გამოქვეყნდა დღეისათვის ნაკლებად ცნობილი მასალები გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსები შესახებ (ავტორები ლოც. ა. ლორია, ნ. მელქაძე); მკითხველისათვის არანაკლებად საინტერესოა ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი ი. ჭავჭავაძის მკვლევობასთან დაკავში-

რებული მოგიერთი უცნობი დეგალის შესახებ (ავტორი გ. სარაჯიშვილი); პროფ. ბ. ცხადაძის გამოკვლევები წიგნთან დაკავშირებული გერმინების შესახებ და სხვ. მასალები დაწერილია მაღალპროფესიულ დონეზე. ქურნალში პირველად გაშუქდა საბიბლიოთეკო პრაქტიკის ისეთი თემატიკა და პრობლემები, რომლებიც ფრიალ საჭიროა ბიბლიოთეკამცოდნესათვის; ასეთებია მაგალითად: ბიბლიოთეკა და ეკოლოგიური განათლება, კულტურის ეკოლოგია (ავტორი ც. წერეთელი), საბიბლიოთეკო მარკეტინგი (ავტორი თ. იოსავა); ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურება საქართველოში (ავტორი მ. ჩიქავა); ბიბლიოთეკა და დემოკრატია (ავტორი დ. გაბელაია) და სხვ. საკითხები, რითაც ქურნალის რედაქციამ ცხადყო, რომ იგი მუშაობს თანამედროვე საბიბლიოთეკო პრობლემებზე და ცდილობს ეს სიახლენი ხელმისაწვდომი გახადოს ბიბლიოთეკამცოდნეებისათვის.

ქურნალის რედაქციამ იმთავითვე სათანადო ყურადღება დაუთმო საქართველოს რეგიონების საბიბლიოთეკო ყოფასა და პრობლემების ასახვას. საინტერესო ფაქტია, რომ ადგილობრივ ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი არათუ გამოეხმაურა პროფესიული ქურნალის გამოცემას, მათ თვითონ მიიღეს აქტიური მონაწილეობა მის შექმნასა და სრულყოფაში. საქართველოს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემების დიდი ნაწილი მჭიდროდ თანამშრომლობს რედაქციასთან; დროულად იძენენ ქურნალს და სისტემატურად აგარებენ მათი მასალების ბიბლიოგრაფიულ დამუშავებას ორდღიან სემინარულ მეცადინეობებზე. ამ მხრივ არ შეიძლება მაღლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ისეთი რეგიონები, როგორიცაა: გორი, ხაშური, კასპი, ზუგდიდი, ფოთი, წყალტუბო, სენაკი, ოზურგეთი, ბოლნისი, რუსთავი, მცხეთა, დუშეთი, თერჯოლა, ხარაგაული და სხვ. რაიონები, რომლებმაც პროფესიულ დონეზე დაწერილი მასალა მიაწოდეს ქურნალის რედაქციას. ეს გასა-

გებიცაა: ქურნალი მოწოდებულია გაამუქოს ქვეყნის საბიბლიოთეკო ცხოვრება, საბიბლიოთეკო პრაქტიკა, რომლის შემოქმედნი თვითონ ბიბლიოთეკარები, პროფესიონალები, ენთუზიასტები, მკითხველი საზოგადოების ინტერესებისა და ერის სულიერი საგანძურის დამცველები არიან.

ქურნალმა შეძლებისდაგვარად ასახა უცხოური საბიბლიოთეკო ცხოვრების მიღწევები, მოწინავე, პროგრესული ფორმები და მეთოდები, რომლებიც გვხვდება ცივილიზებულ საბიბლიოთეკო სამყაროში. ქურნალის ფურცლებზე მკითხველი გაეცნო ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკას, ალექსანდრიის ბიბლიოთეკას და სხვ. ბიბლიოთეკა-გიგანტების თანამედროვე მიღწევებს.

ქურნალის რედაქციას არასოდეს დარჩენია ყურადღების მიღმა ბიბლიოთეკის მკითხველი, ის საზოგადოება, სადაც ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს და რისთვისაც იღვწვის მთლიანად საბიბლიოთეკო ქსელი საქართველოში. ქურნალში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ბავშვთა კითხვის საკითხებს, სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გრადიციულ და თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს. ქურნალი იმავე დროს ბიბლიოთეკარებს სთავაზობს რეკომენდაციებს, ახალი ფორმების გამოყენებას ჩვენს პირობებში. გასული წლის მე-4 ნომერი ერთგვარად ასახავს აშშ-ი ქართველი სპეციალისტი ბიბლიოთეკარების მივლინების საკითხებს, უცხოეთში საბიბლიოთეკო მუშაობის სიახლეებს. ამ მიმართულებით ისახება ფართო და იმედისმომცემი პერსპექტივა; მიმართულებებსა და კონკრეტულ პრობლემებზე ჩვენი სპეციალისტების შეხედულებებს სიამოვნებით გავაცნობთ ჩვენი ქურნალის მკითხველებს.

აქ არ შეიძლება მაღლიერებით არ მოვიხსენიოთ ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”, რომელმაც ქურნალის დაფუძნებას გაუწია მაგერიალური დახმარება და აშშ-ს საელჩო საქართველოში, რომელმაც დააფინანსა ქურნალის

2001 წლის პირველი და მეორე ნომრები.

რა თქმა უნდა, ჩვენს გარემოში, იმ სოციალურ პირობებში, რომელშიც აღმოჩნდა საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელი და ბიბლიოთეკები, ჟურნალის წინაშე პრობლემები წარმოჩნდა, რომელთა დაძლევისაც მარგო მისი ხუთკაციანი სარედაქციო კოლეგია ვერ დაძლევს. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მათი გავრცელების მხარე. ჟურნალმა რომ არსებობა გააგრძელოს, საჭიროა მისი დაფინანსება, იმ ეკონომიკური საშუალებების მოძებნა, რომლებიც აუცილებელია თითოეული ნომრის გამოსაცემად.

მაღ. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალმა ვერ შეაღწია, ან ნაკლებად იცნობს მას განსაკუთრებით საქართველოს მთიან რეგიონებში მოქმედი ბიბლიოთეკები, მრავალეროვან რეგიონებში მომუშავე ბიბლიოთეკარები.

ჟურნალის მნიშვნელობა კარგად ესმით არა მარგო მის დაძმუხებლებს. მას მოუთმენლად ელის რიგითი ბიბლიოთეკები, მკითხველები, წიგნისა და ბიბლიოთეკის ერთგული და დამფასებელი. ჟურნალმა გარკვეული პოპულარობა მოიპოვა, მისი სჯერათ, მას ელოდებიან, ჟურნალი ძალას იკრებს.



პო ლ ე მ ი კ ა

ალ. ლორია, ნ. მიქელაძე

შენიშვნები შენიშვნაზე

მოხდა ისე, რომ დაგვიანებით გავეცახნით მწერალ რამაზ სურმანიძის სტატიას გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" (2002, 18 ივლ.) სათაურით – "გავრილ გოკარევი თუ ღიმიგრი ყიფიანი?", რომელსაც ქვესათაურად აქვს – "სიგყვა წინაპრის დასაცავად". ვიცით, საკმაოდ დაგვიანებულია ეს გამოხმაურება, მაგრამ უამისობა არ იქნება. აკი რ. სურმანიძე თვლის, რომ დასმული საკითხი ჩვენი ისტორიის აქტუალური პრობლემაა და მკითხველთა ფართო მასებმა უნდა იცოდნენ ის. ჩვენ არ გვინდა, მათ ყველაფერი დამახინჯებულად გაიგონ.

მწერალი თავისი წერილით ქ-ბნ როქსანა

ახვერდიანის მიერ გაზეთ "ქართულ წიგნში" გამოქვეყნებულ სტატიას ეხმაურება და მრავალ შენიშვნას გამოთქვამს როგორც ფაქტებთან დაკავშირებით, ისე სტატიის ავტორის ინტერპრეტაციებზე.

პირველ ყოვლისა, გაგვაოცა სათაურმა – "გავრილ გოკარევი თუ ღიმიგრი ყიფიანი", რაც ორი ცნობილი მოღვაწის დაპირისპირებას ნიშნავს. მით უფრო გაგვაოცა ქვესათაურმა – "სიგყვა წინაპრის დასაცავად". მაშასადამე, გამოდის, რომ გ. გოკარევი მოქიშპეობს დ. ყიფიანს და საჭიროა ამ უკანასკნელის დაცვა. არ ვიცით, რა აქვს მათ დასაპირისპირებელი ან რა დაცვა ჭირდება დ. ყიფიანს, მაგრამ როცა რ. სურმანი-

ძის სტატიას გულმოდგინედ გავეცანით, მივხვდით, რომ ეს გამოწვეულია იმ გაუგებრობით, რომელშიც სტატიის ავტორი მოყოლილა. მთავარი, ღერძი შეცდომებისა, რომელმედაც აიკინძა ათასგვარი უმუსგობა, არის ის, რომ ბ-ნ რამაში ერთმანეთისგან არ ანსხვავებს “გფილისის კერძო ბიბლიოთეკას”, რომელიც 1842 წ. დაარსდა, “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისაგან”, რომელიც 1846 წელს იქნა დაარსებული, და ეს უკანასკნელი პირველის გაგრძელებად მიაჩნია.

თავდაპირველად რ. სურმანიძეს მოყავს რ. ახვერდიანის სტატიის ნაწყვეტები და თანმიმდევრულად გამოთქვამს მათზე თავის შენიშვნებს. წინასწარვე გვინდა ვთქვათ, რომ რ. ახვერდიანს ახალი არაფერი უთქვამს, მრავალი მეცნიერის მიერ დადგენილი და შესწავლილი რომ არ იყოს, მით უმეტეს, საღაგოს რომ წარმოადგენდეს. რ. სურმანიძე კი ძირითადად თავის ინტუიციას ეყრდნობა და ფაქტებს არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს, იგი დაგვას იწყებს იმით, რომ “არკვეს” გ. გოკარევის როლს “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის” დაარსების საქმეში. იგი წერს: “მეფისნაცვლის ბრძანებითო, ამბობს რ. ახვერდიანი, 1846 წ. გ. ა. გოკარევი ჯერ ბიბლიოთეკარად, შემდეგ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად ინიშნებაო, სამწუხაროდ, ავტორი არ მიუთითებს, ამ პიროვნების ბიბლიოთეკარობის დროს ვინ იყო დირექტორი”. რ. სურმანიძეს რომ სცოდნოდა, რომ 1846 წ. “საჯარო” ბიბლიოთეკის დაარსების დროს გ. გოკარევი მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსი საგუბერნიო მდივანი იყო და ბიბლიოთეკის ორგანიზაცია (ბიბლიოთეკარობა) მას შეთავსებით დაეკისრა, ამ შეკითხვას არ დასვამდა. ცნობილია, რომ ბიბლიოთეკარის შტატი მხოლოდ 1850 წელს იქნა დაშვებული და ის ღე სენ-გომამ დაიჭირა, ხოლო ხელმძღვანელად გ. გოკარევი იყო ხიკვილამდე (1854 წ.). რაც შეეხება მის უფროსს, ის ბიბლიოთეკის დირექტორი კი არ იყო, არამედ კანცელარიის დირექტორი – ს. ვ. სოფრონოვი.

რ. სურმანიძე რ. ახვერდიანს საყვედურებს, რომ მის წერილში “გ. ა. გოკარევი გამოცხადებულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად და ლამის ამ ბიბლიოთეკის დამაარსებლადაც, ხოლო დიმიტრი ყიფიანი თურმე ამ ბიბლიოთეკისათვის წიგნების შემომწირველი ყოფილაო”. ეს მართლაც ასეა, დ. ყიფიანს ამ ბიბლიოთეკისათვის სხვა არაფერი გაუკეთებია. ყოველ შემთხვევაში, არავითარი ცნობა არ არსებობს, რომ დ. ყიფიანს ამ ბიბლიოთეკის დაარსებაში რაიმე ღვაწლი მიუძღოდეს, მიუხედავად იმისა, რომ მას კანცელარიასთან სამსახურეობრივი ურთიერთობა აკავშირებდა. ამ დროს დ. ყიფიანის ბინაზე ფორმალურად უკვე კარგა ხანია არსებობდა კიდეც “გფილისის კერძო ბიბლიოთეკა”, რომელსაც თავისი უმძიმესი პრობლემები ჰქონდა და პრინციპულად განსხვავდებოდა “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისაგან”. ამდენად, რა გასაკვირია, რომ დ. ყიფიანი ვერ გარეუღიყო სხვა ბიბლიოთეკის საქმიანობაში?

ობიექტურად ეს ასეა, მაგრამ რ. სურმანიძე სწორედ საწინააღმდეგოს აცხადებს. მოყავს რა ადგილი დ. ყიფიანის “მემუარებიდან” საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსებაზე, მიაჩნია, რომ ეს იგივე “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის “წინამორბედა”. იგი დაბეჯითებით გვარწმუნებს: “... დასგურდება, რომ თბილისში ბიბლიოთეკის დაფუძნების ინიციატორი და მისი პირველი გამგე იყო დიმიტრი ყიფიანიო...” და შემდეგ პირდაპირ აცხადებს: “მართალია დასაწყისში იმას “კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა ერქვა”, მაგრამ ფაქტობრივად ეს არის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, რასაც წესდების სათაურიც ადასგურებსო”. არამც და არამც! ჯერ ერთი, რას “ადასგურებს” წესდების სათაური? – ერქვა “კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა” და დაერქვა “გფილისის კერძო ბიბლიოთეკა”. სად წერია, რომ ის “საჯაროა”? საერთოდ, 1830 წელს გამოიცა ცირკულარი, რომლის ძალითაც ყველა საგუბერნიო ქალაქს ევალებოდა დაეა-

რსებინა საჯარო ბიბლიოთეკა, მაგრამ გუბერნი-
ებმა დიდხანს ვერ შეძლეს ეს. თბილისშიც ძა-
ლიან გვიან მოხერხდა (1846 წ.) მეფისნაცვლის
გ. ვორონცოვის ხელშეწყობით. მისი პირველი
გამგებელი იყო გ. გოკარევი. მან მართლაც
დიდი ღვაწლი გასწია ამ ბიბლიოთეკის შექმნაზე
– ფონდების შესაძენად იმოგზაურა პეტერბუ-
რგში, სცადა დაკავშირებოდა იქ დ. ჩუბინაშვილს
ჩვენთვის უცნობი რომელიღაც ქართული კოლე-
ქციის შესყიდვის თაობაზე, პირველმა საქართვე-
ლოში შექმნა ქართული კატალოგი, შეადგინა
კავკასიური ლიგერატურის ბიბლიოგრაფია, გა-
მუდმებით ეძებდა ფონდებს ბიბლიოთეკისათვის;
ამგვარად, 1848 წლამდე, ვიდრე ბიბლიოთეკა
პირველ მკითხველს მიიღებდა, აქ უკვე 5400-ზე
მეტი ერთეული იყო თავმოყრილი, აქედან 515
კავკასიოლოგიური, რასაც თავიდანვე განსაკუ-
თრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ძირითად
მიმართულებად იყო მიჩნეული. თუ ამ ბიბლი-
ოთეკის “წინამორბედობაზე” ლაპარაკი, ეს მა-
რთალია, მას “გფილისის კერძო ბიბლიოთეკა”
უსწრებდა (1842 წ.), მაგრამ თუკი “წინამორბე-
დობად” “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის” და-
არსებას ვიგულისხმებთ, როგორც ამას რ. სუ-
რმანიძე თვლის, ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალო
შეცლომა.

საამხანაგო ბიბლიოთეკა, რომელიც დ. ყი-
ფიანის ბინაზე იყო, ეს სულ სხვა დაწესებულე-
ბაა და მას სხვა ისტორია აქვს. დ. ყიფიანს მის
დაარსებასა და საქმიანობაში საკმაო ღვაწლი
მიუძღვის სხვებთან ერთად. როგორც თვითონ
დ. ყიფიანი აღნიშნავს, ის მოქმედებდა მისი
“გოლი ამხანაგების სურვილით”. კანცელარიაში
სამსახურის წყალობით, საშუალება ჰქონდა,
შეხვედროდა მთავარმართებელს გოლოვინს და
მოეხერხებინა მისგან თანხმობის მიღება
საამხანაგო ბიბლიოთეკის გახსნაზე. ამხანაგო-
ბამ დ. ყიფიანი ბიბლიოთეკარად აირჩია და
თვეში 30 მანეთი ვერცხლით დაუნიშნა, ხოლო
მისი ბინით სარგებლობისათვის წელიწადში 360
მანეთს ვერცხლით უხდიდა. დ. ყიფიანის გარდა

ამ საქმეს სათავეში ედგა აგრეთვე მ. ფალავა-
ნდიშვილი, მესამე ხელმძღვანელი, რაც გათვა-
ლისწინებული იყო წესდებით, ბოლომდე დადგე-
ნილი არ არის და სადავოა. მ. ფალავანდიშვილი,
როგორც ჩანს, ყველაზე გამორჩეული ინიცი-
ატორი და აქტიური ორგანიზატორი ყოფილა.
სწორედ ის ბრუნავდა ძირითადად ბიბლიოთე-
კის დაკომპლექტებაზე, იყო ბევრი სიახლის წა-
მომწყები და სულისჩამდგმელი. მას არამც თუ
ვინმეზე ნაკლები, ყველზე მეტი ღვაწლი მი-
უძღვის ამ ბიბლიოთეკაზე და უმთავრეს ფიგუ-
რას წარმოადგენდა. ის დაკავშირებული იყო პე-
ტერბურგში მარი ბროსესთან, რომელმაც მ. ფა-
ლავანდიშვილის შუამავლობით მბრუნველი
ხელი გაუწოდა საამხანაგო ბიბლიოთეკას, თა-
ვისი წიგნები უფასოდ გამოაგზავნა იმ პირობით,
რომ თუ ბიბლიოთეკა დაიშლებოდა, ეს წიგნები
ბაქარიას უნდა გადასცემოდა. მათი მეგობრობა
იმდენად მჭიდრო იყო, რომ ბაქარია მას წერი-
ლობით კიდევ თხოვდა წიგნების შეძენაში შე-
მწეობას, ხოლო როცა ბაქარია უკვე აღარ იყო,
თბილისში ჩამოსვლისას უპირველესად მისი სა-
ფლავი მოინახულა მთაწმინდაზე და სინანული
გამოთქვა ასეთი დიდებული ახალგაზრდის და-
კარგვის გამო. გყუილად არ იყო, მისი საკვილი-
ლის შემდგომ (1845 წ.) ამხანაგობის ბიბლიოთე-
კამ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა, ხოლო
1848 წ. მარგოდ დარჩენილმა დ. ყიფიანმა ბი-
ბლიოთეკის ფონდების საჯარო ბიბლიოთეკისა-
თვის გადაცემა გადაწყვიტა. ამ დროს “გფილი-
სის საჯარო ბიბლიოთეკას” სავსებით აწყობილი
ჰქონდა თავისი საქმიანობა. მაშ როგორღა შე-
იძლება 1846 წელს დაარსებულ ბიბლიოთეკას,
რომელსაც 5400-ზე მეტი ფონდი აქვს, 1848 წელს
გადაცემული 338 დასახელების 510 წიგნი და-
სდებოდა საფუძვლად? მაგრამ საქმე იმაშია,
რომ რ. სურმანიძე “გფილისის საჯარო ბიბლი-
ოთეკის” დაარსების თარიღად არა 1846 წელს
მიიჩნევს, რაც ყველასათვის ცნობილია არსე-
ბული დოკუმენტებით, არამედ 1848 წელს, უფრო
მეტიც – 1849 წელს, როცა ამ ბიბლიოთეკას

ამხანაგობის ბიბლიოთეკის ფონდები ფიზიკურად გადაეცა, და ამდენად, ამ ბიბლიოთეკის დამაარსებლად დ. ყიფიანს მიიჩნევენ. იგი წერს: “ამგვარად 1848 წლამდე თითქმის 5-6 წლის განმავლობაში, ღიმიგრის ყიფიანის ბინაზე არსებობდა ბიბლიოთეკა, რომელიც დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკის ნამდვილი ჩანასახი იყო”... შემდეგ უმაგებს: “ბიბლიოთეკისათვის სპეციალური შენობა კი 1852 წელს ააშენა ვახტანგ ორბელიანმა”. ეს შენობა მ. ფორონცოვის დაკვეთით ვ. ორბელიანმა “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის” ააშენა და იჯარით გადასცა მას. როგორც ვხვდებით, რ. სურმანიძე თვლის, რომ ეს ბიბლიოთეკა წარმოადგენდა საამხანაგო ბიბლიოთეკის გაგრძელებას, რაც ძირშივე მცლარი ამრია. ასევე შეცდომაში შეჰყავს მკითხველი რ. სურმანიძეს, როდესაც აცხადებს: “... ღიმიგრის ყიფიანი იყო არა პოლკოვნიკ მ. დავილოვის და პეგერბურგელი ა.ა. დეგუროვის დარი უბრალო შემომწირველი, არამედ თბილისში წიგნადი ფონდის პირველი შემქმნელი, მისი გამგებელი, ბიბლიოთეკის დაარსების უპირველესი ინიციატორი და პირველი ღირექტორი”. საკითხავია, რომელ ბიბლიოთეკაზეა აქ ლაპარაკი? თუმცა ამას კითხვა რად უნდა? რ. თურმანიძეს ხომ მიაჩნია, რომ “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა” და “გფილისის კერძო ბიბლიოთეკა” ერთი და იგივეა და რომ პირველი მეორის გაგრძელებას წარმოადგენს. ასეთი ინტერპრეტაციით, არაა გასაკვირი, რომ მან ორი ღირექტორი ერთად წარმოიდგინა და დ. ყიფიანს მიანიჭა უპირატესობა (სიგყვა თქვა “წინაპრის დასაცავად”). რ. თურმანიძე ჩვენი წინაპრის დასაცავად ერთ უმუსგობასაც უშვებს, როცა წერს, რომ თითქოს “მთავარმართებლობამ თავის კანცელარიასთან გახსნა ბიბლიოთეკა და ღიმიგრის ყიფიანს სთხოვა მისი ბიბლიოთეკაც იმისათვის გაეერთიანებიაო”, და იქვე მოყავს დ. ყიფიანის სიგყვები, რომელიც სავსებით საპირისპიროს მეგყველებს: “... სრულად აღარ შემეძლო არც ყურის გღება ამ ბიბლიოთეკისა,

არც მისი ჩემ ბინაზე შენახვა, ამიგომ 1848 წ. წერილით მივმართე მეფის მოადგილეს კანცელარიის მაშინდელ ღირექტორსო”. დ. ყიფიანი თავად იყო ამხანაგობის ბიბლიოთეკის უფასოდ გადაცემის ინიციატორი, თუმცა შემდეგ ანაზღაურება მოითხოვა და დიდი ღაფა-კამათის შემდეგ მოახერხა 1000 მანეთი მიეღო.


ნაშრომში ბევრ უმუსგობასთან ერთად ნათქვამია ისიც, რომ თითქოს ვ. გოლოვინისათვის დ. ყიფიანს დასამტკიცებლად წარუდგენია “თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის” წესდება. “საჯარო ბიბლიოთეკის” წესდებას როგორ წარადგენდა დ. ყიფიანი, როცა ეს იყო “კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის წესდება?” რ. სურმანიძე “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის” დაარსების წლად მიიჩნევს “1848 ან 1849 წელს, როცა მეფის მოადგილის მთავარმართებლობამ თავის კანცელარიასთან გახსნა ბიბლიოთეკა და ღიმიგრის ყიფიანს სთხოვა მისი ბიბლიოთეკაც იმასთან გაეერთიანებინა. ეს კი მოხდა 1849 წლის 22 თებერვალს”. მოდი და გაერკვიე ახლა, სად და როდის რა მოხდა! გამოდის, რომ თურმე საჯარო ბიბლიოთეკის პირველი ღირექტორი დ. ყიფიანი ყოფილა, 1849 წელს დაარსებული კანცელარიასთან საჯარო ბიბლიოთეკა, ყიფიანისათვის, ე.ი. მისი ღირექტორისათვის მმართველობას უთხოვინა მისი ბიბლიოთეკის ამ ახლადაარსებული ბიბლიოთეკისათვის ფონდების გადაცემა. საკითხავია, თუკი დ. ყიფიანისათვის უთხოვიათ მისი ფონდების გადაცემა ახლადაგახსნილი ბიბლიოთეკისათვის, როგორღა გამოდის დ. ყიფიანი აქ პირველ ღირექტორად? ერთი სიგყვით, ვერ გაარკვევთ, რ. სურმანიძე ამ ორ ბიბლიოთეკას ერთ ბიბლიოთეკად მიიჩნევს თუ სხვადასხვად?

სამწუხაროდ, მთელი ეს მოსაზრება არასწორია და აგებულია მცლარ წარმოდგენებზე. მთავარი შეცდომა მომდინარეობს იქიდან, რომ რ. სურმანიძე ვერ მიჯნავს ერთმანეთისაგან “გფილისის კერძო ბიბლიოთეკას” “გფილისის საჯარო ბიბლიოთეკისაგან”. ეგყობა, შეცდო-

მაში შეჰყავს ის სიგევა “პირველს”. დ. ყიფიანი მართლაც წერს, რომ 40-იან წლებში თბილისში არ არსებობდა არცერთი ბიბლიოთეკა და მან თავის “თანაგოლ ამხანაგებთან” ერთად პირველად გახსნა ბიბლიოთეკა. პირველ “საჯარო” ბიბლიოთეკად მოიხსენიება აგრეთვე “ცფილისის საჯარო ბიბლიოთეკაც”. ეს უკანასკნელი მართლაც პირველი “საჯაროა” და არავითარი ორგანული კავშირი არ აქვს საამხანაგო ბიბლიოთეკასთან. ერთი პირველია მოცემულ მომენტში, მეორე – პირველია როგორც საჯარო. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ბიბლიოთეკასთან და ორ სხვადასხვა “ღირეჭკორთან”. ასე რომ, “გავრილ გოკარევი თუ ღიმიერი ყიფიანი” – ამგვარად საკითხის დასმა ამრს მოკლებულია, ხოლო “სიგევა წინაპართა დასაცავად” – სავსებით უადგილო. რა თქმა უნდა, თუ ეს ჭირდება, უნდა დავიცვათ წინაპარი, მაგრამ არც სხვა ერის შვილებს უნდა დაუკარგოთ ღვაწლი, თუკი ეს ჩვენი ხალხის სასიკეთო ყოფილა. თუ რომელიმე წინაპარს დაცვა და არდავიწყება მართებს, ერთ-ერთი სწორედ ბა-

ქარია ფალაგანდიშვილია – ახალგაზრდა მოღვაწე, საქმისათვის თავდადებული, უაღრესად განათლებული და მის მოკლე ცხოვრებაში უამრავი საქმის გამკეთებელი, რომელსაც რაგომლაც დავიწყების ფერფლი აქვს მიყრილი, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ მთაწმინდაზე საფლავიც კი დაკარგულია მისი.

დასანანია, რომ ჩვენი საზოგადოება ასე დამახინჯებულად გაეცნო თბილისში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს. არადა, რამდენი მშვენიერი, ღრმა მეცნიერული გამოკვლევა არსებობს მონოგრაფიისა თუ სტატიის სახით, რამდენი საარქივო დოკუმენტი თუ პერიოდულ ორგანოებში გამოქვეყნებული მასალა. არ მინდა დავიჯერო, რომ ისეთი ნაცადი მკვლევარი და მწერალი, როგორიც რ. სურმანიძეა, არ გაეცნო მათ. იქნებ ძალიან სერიოზულადაც იმუშავა, მაგრამ მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ ის ვერ ჩაწვდა საგანს, არ ეყო ძალა და ხელი მოეცარა, რამაც უამრავი გაუგებრობა, წინაღმდეგობანი და მცდარი მოსაზრებები წარმოშვა.



კორესპონდენციები

თამარ გოგოლაძე, საშურის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე
ლალი ბარბაქაძე, ლიგერაგურული სალონ “ათინათის” ხელმძღვანელი

პირ უპაჩინკას პირაფირი სიტყვას გაბედულს!

შრ არსებობს მწერალი ერთგული მკითხველის გარეშე. მკითხველს კი ყოველთვის აქვს სურვილი, პირადად გაეცნოს მისთვის ძვირფასი სგრიქო-

ნების ავგორს. თითქმის უკვე გრადიციად დამკვიდრდა საშურის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკისა და მასთან არსებული ლიგერაგურული სალონის “ათინათის” მიერ ორგანიზებული შეხვე-



დრები ქართველ მწერლებსა თუ პოეტებთან.

მუხრან მაჭავარიანი თავისი განუმეორებელი შემოქმედებით თითოეული ხაშურელისათვის უსაყვარლესი პიეცია, ის ჭეშმარიტი მამულიშვილია, ვისზედაც გიორგი ჯიბლაძემ ასეთი სიგყეები ბრძანა: “ის პიროვნულადაც ისგორიული ქართველია. ... მე პირადად ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვხვდები წინაპრების მიერთანამედროვეობაში წარმოგზავნილ ელჩს”, სწორედ ამიგომ აუცილებელი იყო ჩვენთვის მასთან შეხვედრა. ხაშურის კულტურის განყოფილებისა და ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის ღირექტორის, ქალბატონ რუსუდან ენჯიბაძის თანადგომით ვეწვიეთ ბატონ მუხრანს.

ჩვენი შეხვედრა პოეტის მშობლიურ სოფელში არგვეთში მოხდა, რადგან “აქ მე რომ არ მიმიღოს, ქვაც არ გლია არც ერთიო”, – ბრძანებს იგი.

უდიდესი სითბოთი და სიყვარულით მოგვეგება ბატონი მუხრანი, კაცი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედებით ნათლად გაგვისიგრძეგანა პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ქართველი ხარ:

“ყველაზე უწინ ვინც გასხლა ვაზი,
ქვა სხვაზე უწინ ვინც დასდვა ქვაზე,
ვინც სხვაზე უწინ გასჭედა რეინა,
ვინც სხვაზე უწინ იხმარა ინა,
ქრისტეს შობამდე ვინც შექმნა წიგნი, –
სისხლად მიძოდის

დღეს
ჩემში
იგი”.

სწორედ ამიგომ თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია:

“გამოადგეს მამულის უნდა:

ან

სიცოცხლით,
როგორც ვაჟა!

ან

სიკედილით,
როგორც ცხრა ძმა!

არ არსებობს

სხვა გზა”.

მთელი შეხვედრის განმავლობაში იყო უამრავი კითხვა თანამედროვე ქართული მწერლობისა თუ დღევანდელი ქართველის მოვალეობაზე. სათქმელსა და სალაპარაკოს რა გამოგვიღვედა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით შეწუხებულებს, მაგრამ ყველაზე მეტი იყო პოეზია. ძარღვის სიმთაამშლელი ხავერდოვანი ხმით კითხულობდა მუხრან მაჭავარიანი ძარღვიანი ქართულით დაწერილ ლექსებს. გულისხმიერი მასპინძელი თავად გაგვიძღვა ფაქიზად მოვლილ ეზოში, რომელიც ერთიანად მწვანეში იყო ჩაფლული და თავს იწონებდა მშობლიური კერისადმი პატივისმცემელი ახლანდელი პაგრონით.

მუხრან მაჭავარიანი ქართული სიგყვისა და ქართული ანბანის მეხოტბეა. უდიდესი სიყვარულით ხაზავს იგი თითოეულ ასოს, ამიგომ ყველამ ვისარგებლეთ და სათითაოდ ჩამოვართვით ავგოგრაფი.

ქართული სულით აღვსებულები გამოვეთხოვეთ მასპინძელს, კაცს რომელმაც მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გვიჩვენა, რომ “ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიგყვას გაბედულს!” რომელიც ჭეშმარიტად მთელი ცხოვრების განმავლობაში განსაკუთრებულად იქნება აღბეჭდილი თითოეული ჩვენთაგანის გულში.



ციალა თხელიძე,

ზესტაფონის ცენტრ. რაიონული ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების გამგე.

ჩვენი ენა ქართული

“სამი ლეთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან – ენა, მამული, სარწმუნოება. თუ ამას არ ვუპაგრონეთ, რა კაცნი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას”.

ი. ჭავჭავაძე



მღეს ქართულ ენას მოვლა-პაგრონობა, განახლება, გაფრთხილება და განვითარება რომ სჭირდება, ამამე ორი ამრი არ არსებობს. ჩვენი მშობლიური ენის სიმდიდრე და სიწმინდე მის კვლევა-ძიებაზე, განვითარებასა და დაცვაზე არის დამოკიდებული.

ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა ადამიანს აკავშირებს ერის სულთან და გულთან, მის ხანგძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან, ამიგომ ქართული არის ენა გულისა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოვლად უძღურია. მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ. ქართული ენა უმდიდრესია თავისი ლექსიკითა და ახალ სიტყვათა წარმოების საშუალებებით.

დღეს, როდესაც ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება ჩვენი ხალხის სულიერ მოთხოვნისადაა იქცა, ყველას ერთი საზრუნავი გაგვიჩნდა, ღავიცვათ ჩვენი მშობლიური ენა უცხო სიტყვების შემოსევებისაგან, ამით ქართული ენა კი არ მდიდრდება და ვითარდება, პირიქით, ღარიბდება და სუსტდება. თუ ამის საწინააღმდეგოდ რაიმე ზომები არ იქნა მიღებული სახელმწიფოს მხრიდან, საშიშროება ემუქრება ჩვენს მშობლიურ ენას. ნუ მიწყენს ჩვენი მასმედის ზოგიერთი წარმომადგენელი, პოლიტიკოსები და პარლამენტარები, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ გვიჩვენებდნენ სამაგალითო ქცე-

ვისა და მეგყველების მაგალითს, პირიქით, თვითონ მაღალი გრიბუნიდან მოწინააღმდეგეთა მართ უცენზურო გამოთქმებს იყენებენ, არ იცავენ ზრდილობისა და ეთიკის ნორმებს და არ უწყვენ ანგარიშს ქართული ენის განვითარების გენდენციებს. საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა და საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია საფუძვლიანად ფლობდეს მას. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ამქამად საქართველოში საქმიანი ქალაქების წარმოება და მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, შეიქმნა აგრეთვე ქართული კომპიუტერებიც. დღეისათვის მოქმედებს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ყველას, და განსაკუთრებით განათლებისა და კულტურის მუშაკებს, რომ მოზარდი თაობების ქართული ენის მყარი ცოდნით აღზრდაზე იზრუნონ.

ამ კუთხით განსაკუთრებულ მუშაობას აგარებს ზესტაფონის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართული ენის განვითარების საქმეში. რაიონის მოსახლეობას ემსახურება 42 – ბიბლიოთეკა. აქედან ქალაქში 7 ბიბლიოთეკაა, ხოლო სოფლებში – 35 ფილიალი. თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში მოწყობილია გამოფენები შემდეგ თემებზე: “ქართული ენის სიწმინდისათვის”, “ენა, მამული, სარწმუნოება”, “ჩვენი ენა ქართული”, “ენა დედაა ერისა”, “მშობლიური ენა – ერის მსახურში” და სხვა. ყოველი წლის 14 აპრილს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკებში გარდება სხვადასხვა ღონისძიებები: თემატური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები დაწყებითი სკოლის პედა-

გოგებთან, გამოჩენილ ადამიანებთან, მწერლებთან.

მიმდინარე წელს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიებები ჩატარდა ქალაქის № 1, სოფ. ალავერდის № 15, სოფელ ზედა საქარის № 19, არგვეთის № 33 და შროშის № 27 ბიბლიოთეკა ფილიალებში.

ქალაქის № 1 ბიბლიოთეკა ფილიალმა ჩატარა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია – “ო, ენაჲ ჩემო!” ღონისძიება შესავალი სიგყვიტ – “ერი ქართველი, ენა ქართული” – გახსნა მე-6 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე – მირანდა გაბაგაძემ. მონტაჟში, რომელიც მომზადებული იყო № 7 საშუალო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგ ნათია ნიკურაძის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი იყო ქართული ენის თავგადასავალი, მისი წარმოშობისა და განვითარების გზები. ლექსები და ციტატები წაიკითხეს ამავე სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდებმა. ღონისძიებაზე მუსიკალური ნომრებით წარსდგა კულტურის სახლთან არსებული ბიჭუნათა ანსამბლი “ჯავარდენი” – ეკა ბარბაქაძის ხელმძღვანელობით.

14 აპრილს სოფ. ალავერდის № 15 ბიბლიოთეკა ფილიალმა შეხვედრა მოუწყო დაწყებითი სკოლის დეაწლმოსილ პედაგოგებს. ღონისძიება შესავალი სიგყვიტ გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ – ლამარა გოგოლაძემ. პედაგოგ მარო გორდე-

ზიანის დეაწლი დედა ენის სწავლების საქმეში და მისი ცხოვრების გზა მიმოიხილა ალავერდის დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ნინო ხომასურიძემ. ალავერდის კულტურის სახლთან არსებული რამდენიმე მუსიკალური ჯგუფის მონაწილეობით შედგა მხატვრული განყოფილება. ღონისძიებას ესწრებოდა სოფლის ინგელიგენცია და მკითხველთა ყველა თაობის წარმომადგენელი, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს დედა ენით განცდილი პირველი სიხარული.

ასეთივე შინაარსის საღამოები მოეწყო სოფელ ზედა საქარის № 19, არგვეთის № 33 და შროშის № 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებშიც.

ჩატარებულმა ღონისძიებებმა კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებრიობას, რომ ქართული ენა საჭიროებს დაცვას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას, რაშიც მონაწილეობა ყველა ჩვენთაგანმა უნდა მიიღოს.

მინდა ეს წერილი დავამთავრო ქართველი ერისა და საქართველოს სიყვარულში თავდადებული პოეტის მ. მაჭავარიანის ლექსის სიგყვიტით:

...“დღეს ბედი მისი კიღია ჩვენზე,
ლარი და ხაზი ამას რად უნდა...
ჩვენ უნდა შევძლოთ
და კიდევ შევძლებთ!
კვლავ იძლიეროს ენამ ქართუღმა”.



ეთერ ქამუშაძე

საქართველოს ლალო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების განყოფილების გამგე.

ლია გაკვეთილი ბიბლიოთეკაში



ლია გაკვეთილის ორგანიზატორები მწერალ გოდერძი ჩოხეაშვილთან ერთად

ამაში, თოვლიანი ღვიძლები დაღვთებისში. თითქოს სილამაზე და წმინდა სული შემოჰყვა ბიბლიოთეკაში სტუმრად მოსულ მწერალს გოდერძი ჩოხელს. სკოლა ლიცეუმ “მთიების” (ღირექტორი თ. კავსაძე) პედაგოგმა ნანა ახობაძემ თავის აღსაზრდელებთან ბიბლიოთეკაში ჩა-

აგარა ლია ლიგერაგურულ-შემოქმედებითი გაკვეთილი: “გოდერძი ჩოხელის შემოქმედება”.

მწერლის თანდასწრებით იქნა განხილული მოზარდების მიერ მოწონებული მისი ნაწარმოები, დახასიათებული იქნა ნაწარმოების გმირები. მისი შემოქმედების მეშვეობით თითქოს ყველამ იმოგზაურა გუდამაყრის ხეობაში, სოფელ როხაში, გაიხსენეს მთის გრაფიკები, იქ მცხოვრები ხალხი, გამოთქვეს თავიანთი აზრები წაკითხულის შესახებ.

ბიბლიოთეკაში მოეწყო გ. ჩოხელის გამოცემათა გამოფენა, სათაურით: “ბინდისფერი სინათლე”. ეს იყო ძალიან ლამაზი გაკვეთილი ჩატარებული წიგნთა სამეფოში, დაგვირთული ცოცხალი აზროვნებით. ბიბლიოთეკა მზად არის მომავალშიც მსგავსი მასპინძლობა გაუწიოს კალმის სხვა დიდოსტატებს.



კახაბერ ღონღაძე

ბიბლიოთეკა – ინტელექტუალური ფასეულობათა სუნჯა



ვლისის მიწურული იდგა, სოფლის კლუბი უჩვეულო გამოცოცხლებას მოეცვა.

წლების მანძილზე გამოკეცილ შენობაში (სოფლის საერთო ნივთების – მაგიდა-ჭურჭლეულის საწყობ ალაგად რომ იყო ქვეული), ლიგერატურული საღამოს სამზადისი მიმდინარეობდა.

ბიბლიოთეკის გამგის – ქალბატონ ლია დევაძის თაოსნობითა და მკითხველთა მხარდაჭერით დამკვიდრებულ გრადიციას – სოფელში მოძიებული მხაგვრული თვითშემოქმედების ნიმუშების და გაცნობა-გამიარების საღამოებს, მრავალი გულშემატკივარი შესძენოდა და ამიგომაც, ღონისძიების ჩაგარება ბიბლიოთეკის კლუბში განუმრახავთ.

აფიშა საღამოზე დასწრების მსურველებს სოფლიდან წლების უკან გადახვეწილი კაცის – თემურ ნობაძის შემოქმედების გასაცნობად იწვევდა.

ასაკოვანთ ის დრო აგონდებოდათ, როცა ქალაქის შემოქმედებითი ჯგუფები სგუმრობდნენ სოფელს. სკეპტიკურად იყურებოდნენ “ნეგა ამათ რა უნდა გააკეთონ”, მიუხედავად ამისა, კლუბში მხაგვრულ ღონისძიებაზე დასასწრებად წასვლა მაინც ერთ დიდ სიამოვნებად უღირდათ და სხვებთან ერთად მოუთმენლად ელოდნენ საღამოს გამართვას.

ამგვარ შეკრებულობას კი კლუბი უკვე მეორედ მასპინძლობდა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში. ესეც ერთგვარ კეთილ სიახლედ, კლუბის დაკარგული მნიშვნელობის კვლავ აღდგენად და სოფლის ყოფაში ჯანსაღი საქმიანობის დამკვიდრებად აღიქმებოდა.

საგულისხმოა, რომ ამ წამოწყებას ქალბა-

ტონი ლია დევაძისა და ბიბლიოთეკის მკითხველთა აქტივის მონღომებითა და ძალისხმევით ეყრებოდა საფუძველი.

ამას მცირე ხნით წინ უსწრებდა ბიბლიოთეკისა და კლუბის ეზო-მიდამოს მოსაწესრიგებელი სამუშაოები. ლია დევაძისა და ლია გოგიჩაშვილის (კლუბის გამგე) მიერ საკრებულოდან გამოთხოვილი თანხით ეზო კაპიტალურად შემოღობეს, სოფლის ახალგაზრდების დახმარებით შენობა, მისი შემოგარენი დაალაგეს, ზედმეტ ნივთებს თავისი ადგილი მიუჩინეს, მზრუნველი ხელით ყვავილები დარგეს, ახარეს და კლუბს ჩვეული სამუშაო იერი დაუბრუნეს.

აპრილის თვეში საბიბლიოთეკო კვირეულის მიმდინარეობისას ალის თემის საკრებულოში გამართულ საღამოზე, ბიბლიოთეკებში შემოქმედებითი მუშაობის გაცნობას რომ ისახავდა მიზნად, სოფელ ბრილის ნორჩ მკითხველთა მიერ წარმოდგენილ ნამუშევარს მოწვეული სგუმრებისა და მაყურებლების განსაკუთრებული მოწონება ხვდა. ქიურის სამახსოვრო ჯილდოც მათ დაიმსახურეს. წარმატებით გახალისებულმა ახალგაზრდებმა წარმოდგენა შემდეგ უკვე თავისი თანასოფლელებისთვისაც დადგეს და კლუბში სიცოცხლის პირველი ნიშანი გაჩნდა.

“მივიწყებული ალბომი” – ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომლის თემატური და მხაგვრული მხარე საინგერესოდ და მიმზიდველად გადაწყვიტა ქალბატონმა მაია ჩუბინიძემ (ამავე სოფლის მკვიდრმა, ამჟამად ქ. ქუთაისში მცხოვრებმა, საბავშვო თეატრსტუდიის ხელმძღვანელმა).

თემურ ნობაძის პიროვნულ პორტრეტს, განცხადებულს ლექსების სტრიქონებიდან, პედა-

გოგი ბეჟან ჩუბინიძე გამოსახავდა. პოეგის ლექსებს კითხულობდნენ სკოლის პედაგოგები: ლია დევაძე, მათა ჩუბინიძე, ნინო მურმანიშვილი, კახაბერ ღონღაძე, მე-11 კლასის მოსწავლე ნინო დევაძე, ნორჩი მკითხველები: დათო იმერლიშვილი და მარიამ ღონღაძე.

ლექსებს მეგ შთამბეჭდაობას სძენდა მათი მხატვრული გასცენილება. ამას შესანიშნავად ართმევდნენ თავს ახალგაზრდა შემსრულებლები – შორენა პავლიაშვილი (სამედიცინო კოლეჯის სტუდენტი) და ალიკა იმერლიშვილი (XI კლ. მოწავლე), “წიქარას პაგარა მეგობარი” მესამეკლასელი თედო ჩუბინიძე.

პოეგისათვის დამახასიათებელ თვისებებზე დამსწრეთ მოუთხრობდნენ ზოდიაქოს “პაგარა ვარსკვლავები”: ნანა იმერლიშვილი, ნინო პავლიაშვილი, ღარეჯან გოგალაძე, მარიამ ღონღაძე და თამთა იმერლიშვილი.

საღამოს გკბილსედიან სითბოდ ჩაექარგა თემურ ნოზაძის მეუღლის ლილი ნუკრაძის მიერ წაკითხული ლექსი, პოეგს რომ მიუძღვნია მისთვის. ქალბატონი ლილი ნოზაძე – თემურის დის – სკოლის არაერთი თაობის აღმზრდელის ლექსები, ძმისა და მშობლიური კერის გკვილისა და მონატრებაზე ღაღადებს.

“ალბომის” გაცნობამ ბევრ უპასუხო კითხვასა და ფიქრს უპოვა სამანი.

საღამოს დასასრულს სტუმრებს ნოდარ დუმბაძის “მე, ბებია, ილიკო და ილარიონის”

მისეღვით შესრულებული სცენები წარმოუდგინეს: ბებია – მათა ჩუბინიძემ, ზურიკელამ – ალიკა იმერლიშვილმა, მერიმ – შორენა პავლიაშვილი, ზურიკელას მეგობარმა – დათო იმერლიშვილმა, რომლებმაც ღარბაზს ხალისი და მხიარულება მოჰგვარეს.

ასე გასრულდა ეს საღამო. იმედიანი, ღალი განწყობით გოგებდნენ ღარბაზს სტუმარნი თუ მასპინძელნი. საკუთარი ძალებით მომზადებული მშვენიერი საღამო მათ თავიანთ ძალებში არწმუნებდა.

არ შეიძლება ერთი რამ არ ვთქვათ. მცირე ხნის წინ რაიონში ხმა აგორებუღიყო – სოფლებში ბიბლიოთეკების ღახურვას აპირებენო, ღაუჯერებელია ასეთი რამ, ისიც ინგელექტუალური ფასეულობების საზოგადო შიმშილის პირობებში, ამგვარი მოთხოვნილება ხომ ყველაზე ადამიანურ სურვილთა რიგს ეკუთვნის.

ჩვენს მიერ აღწერიღმა ერთმა ღონისძიებამ კარგად ღაგვანახა, რა ღიღი მოთხოვნილებაა სოფლად კულტურულ ღონისძიებებზე, როგორ დანატრებულია მოსახლეობა ცოცხალ ურთიერთობას ინგელექტუალურ გარემოში. სხვა რომ არაფერი, მარგო ამ კუთხითაცაა დასაფასებელი ჩვენი ბიბლიოთეკები. ღმერთმა ნუ ქნას, ესეც მოეშაღოს ხალხს. პირიქით, ჩვენ იმელს გამოვთქვამთ, რომ მსგავსი ღონისძიებები კვლავ გაახარებენ ჩვენს მკითხველებს.



კახაბერ ღონლაძე

ჩვენ გვწერენ

ქურნალის რედაქციამ მიიღო სოფ. ბრილის ბიბლიოთეკის გამგის ლია დევადის წერილი, რომელსაც თან ახლდა კახაბერ ღონლაძის სტაგია – “ბიბლიოთეკა – ინგლექტუალურ ფასეულობათა საუნჯე”. ქ-ნ. ლია გვწერს: “უპირველესად მინდა მადლობა გითხრათ ქურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” დამფუძნებლებს და სარედაქციო კოლეგიას ესოდენ საჭირო და ძვირფასი ქურნალისათვის... გვინდა ქურნალმა იარსებოს მანამ, სანამ წიგნი და ბიბლიოთეკა იარსებებს

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რაოდენ მოკლებულია ჩვენნაირი ბიბლიოთეკები ქურნალ-გამეთებს და წიგნს, რადგანაც ვარსებობთ და ღვთის წყალობით ეს ქურნალიც არსებობს, ის ერთადერთი და საინტერესოს და ახალს წარმოადგენს.

მინდა მოგახსენოთ, რომ თვითშემოქმედე-

ბის ნიმუშების შეკრებას და მის გაცნობა-გამიარების სალონურ საღამოებს კარგახანია, რაც ვმართავთ ჩვენს ბიბლიოთეკაში, რაც ერთ-ერთი ხალისი და სულის სამრდოა სიახლეს მოკლებული ახალგამრდობისათვის”.

ჩვენ ჩვენი მხრივ გვინდა აღვნიშნოთ, რომ კ. ღონლაძის ხსენებული სტაგია იმით არის საყურადღებო, რომ იგი გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია დღეს სასოფლო ბიბლიოთეკების მიერ გაწეული საქმიანობა, როგორი ცხოველმყოფელი ინტერესით ეკიდება სოფლის მოსახლეობა ინგლექტუალურ ღონისძიებებს, რამდენად საჭიროა ბიბლიოთეკებმა გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით. სწორედ ამ მიზნით ვებჭდავთ დღეს ამ სტაგიას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ბიბლიოთეკები გულისყურით მოეკიდებიან თავიანთი მკითხველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებებს.



საქართველოს საბიბლიოთეკო სხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

● 25-26 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გრანტის საწერი ორდლიანი სემინარი. სემინარის მონაწილენი იყვნენ აშშ-ი ნამყოფი ქართველი სპეციალისტები. სემინარს უძღვებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი, სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოში აშშ-ის საელჩოს, ევრაზიისა და სოროსის ფონდის წარმომადგენლები. სემინარის მეორე დღეს ყურადღება გამახვილდა გრანტის წერის პრაქტიკულ საკითხებზე.

● იანვარ-თებერვალში აშშ-ის საბიბლიოთეკო პრაქტიკისა და მოწინავე გამოცდილების გაცნობის მიზნით ამ ქვეყანაში მივლინებული იყო ქართველი ბიბლიოთეკარების ორი ჯგუფი. მასალები მათი მივლინების შესახებ გამოქვეყნებულია ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში.

● 18 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში გაიმართა ქალაქის საბიბლიოთეკო ქსელის მეთოდისგთა მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა, განიხილეს საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალური საკითხები: საბიბლიოთეკო სტაგისტიკის, ფონდების რეკლასიფიკაციის, ჩამოწერისა

და აფასების პრობლემები.

● 19 მარტს თბილისის № 1 გიმნაზიაში გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობისა და ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” რედაქციის შეხვედრა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სკოლის ბიბლიოთეკარებთან. შეხვედრაში მონაწილეობდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის განათლების განყოფილების კოორდინატორი ლალი სტურუა, და განათლების სამინისტროს სასკოლო დეპარტამენტის მეთოდური ცენტრის უფროსი ენგური ქურციკიძე.

● 26-27 მარტს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ინიციატივით თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში რუსეთის უცხოური ლიგერატურის რეზიდენციაში ბიბლიოთეკიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა ჩაატარეს სემინარი ფონდების რესტავრაციის საკითხებზე.

● 29 მარტს თბილისში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში სახელმწიფო შეხვედრა მოეწყო კულტურის მუშაკებთან. განიხილეს ევროსაბჭოს რეკომენდაციების მოთხოვნილებათა მიხედვით საქართველოში კულტურის პოლიტიკის ფორმირების პრობლემები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები.



დარეჯან მაყიშვილი – საათაშვილი

მარეჯან მაყიშვილი – საათაშვილი 1954 წლიდან მუშაობს გორის რაიონის სოფელ სვენეთის ბიბლიოთეკის გამგედ. მას იცნობენ როგორც კარგ პროფესიონალსა და თავისი კუთხის ღირსეულ შვილს, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს. მისი შრომა არაერთგზის იქნა შეფასებული სხვადასხვა ჯილდოთი, მიღებული აქვს საპაგიო ბიბლიოთეკარის წოდება, მედალი “შრომითი მამაცობისათვის”, არის “შრომის ვეტერანი”. ყოველივე ამასთან, ის მთელი ცხოვრება ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას. ახლახან გამოიცა მისი დოკუმენტური მოთხრობების კრებული “მძიმე ზარი”. ქალბატონ დარეჯანს მრავალი პოეტური ნაწარმოები აქვს შექმნილი. ერთ-ერთ მათგანს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ნეტა არ მენახა

ყოველი ნასოფლარი საქართველოს გულში
გარკვეული გყვიაა

ლ. სანიკიძე

ენახე ნასოფლარი, ნეტა არ მენახა!..
ნეტა არ ვამეგონა ბუნების ჩივილი,
ნეტა არ ვამეგონა ნაძვის კენწეროზე
ვაბატონებული ჭოტების კივილი.

ნეტა არ მენახა ბედის ანაბარად
მიტოვებული ის ჩენი ოღები,
ნეტა არ მენახა ძველი სასაფლაო,
ძვლები რომ მოთქვავდნენ კენესით და ვოდებით.

ნეტა არ მენახა ჭინჭრით დაფარული
ძველი საჭიდაო ფალავან ბიჭების,
ნეტა არ მენახა მიყრილ-მოყრილები
ფუტკრის სკები და იმათი ფიჭები.

ნეტა არ მენახა იმ ჩენი ბუნების
ჩამქრალი ცეცხლი და ჩამქრალი თვალები,
ნეტა არ მენახა ხავსმოკიდებული
მამაპაპური ლამაზი კარები.

ნეტა არ მენახა ის კრიჭაშეკრული
ღვთისმშობლის ნიშის პატარა ზარი,
ლამისმთევლების ამაოდ ლოდინში
დანაცრებული შუშა და კვარი.

ნეტა არ მენახა სიკვდილის გარეშე
ლამაზი სოფელი უდროოდ მკვდარი,
ერთ ღროს მრავალი შვილის პატრონი,
მთებს შუა ამაყად, ზვიადად მღვარი...

ნეტა მენახა: ჩემი ნაკვალევი,
შენი ნაკვალევი, მისი ნაკვალევი,
ნეტა მენახა სიცილ-კისკისით
როგორ მიდიოდნენ წყაროზე ქალები.

ნეტა მენახა ახალ მოსავალს
როგორ ლეწავდნენ კალოზე ხარები,
კვერზე დამჯდარი ბავშვები მენახა,
ო,რა უზომოდ ვაგინარებდი...

ნეტა მენახა ვათენებისას
როგორ ყიოდა ერდოზე მამალი,



მენახა – დედამ ბალახებისგან
როგორ გაუშინადა მეზობელს წამალი.

ნეტა მენახა იმ ჩვენი ბიჭების
გაჭენებული ამაყი ცხენები,
მენახა: თურნეს როგორ ლოკავდნენ
დედის ანთებული ცეცხლის ენები.

ნეტავი მენახა შვლებით და ნუკრებით,
ვოგობიჭებით საესე ჭალები,

მენახა აისხე, შუე როგორ ამოდის
გავარგარებული მთებს შუა წვალბით.

ნეტა გამეგონა ბატკნების ჟივილი,
გაბმული ბლავილი იმათი დედების,
ნეტა გამეგონა ამაყი სიმღერა
ამ ტყიან მთების და კლდოვანი ქედების...
თუ მოვესწარი აქ ახალ სიცოცხლეს,
აღბათ, არასდროს აღარ დავბერდები!



მოსაცონარი

ბოლომდე გაუპლული გზა
(ნალი მუსარიძე)

შხალგაზრდული ენერგიით
იყო აღსავესე, თავისი საქმის
ერთგული, თავგამოდებული
დამცველი პროფესიის ღი-
რსებისა, მომთხოვნი, პირდაპირი, და-
რწმუნებული თავის შესაძლებლობე-
ბში, რაც უორმაგებდა ძალებს და უა-
თკეცებდა შრომის უნარს. უყვარდა
თავისი საქმე, ცდილობდა ბიბლიოთე-
კათმცოდნეობის ურთულეს საკითხებს შეჭიღე-
ბოდა. ამგვარად გვემახსოვრება ყველას ქალბა-
გონი ნელი გერვანგის ასული მუსერიძე, ბიბლი-
ოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კა-
თედრის დოცენტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა



ნალი მუსარიძე

კანდიდატი.
იგი 1935 წლის 1-ლ იანვარს და-
იბადა ონის რაიონის სოფელ სამთისში
დიდ და შრომისმოყვარე ოჯახში. ოთხ
ძმას ის ერთი და ჰყავდა და ყო-
ველმხრივ გამორჩეულად გრძნობდა
თავს, ძმები ათამამებდნენ და თვითონ-
ნაც ბოლომდე ეთაყვანებოდა მათ.
სკოლა თავის მშობლიურ სოფელში
წარმატებით დაასრულა და 1956 წლიდან სასო-
ფლო ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, სადაც
1960 წლამდე დაჰყო. ამ პერიოდში შეუდგა ბი-
ბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის
პროფესიის დაუფლებას. 1958 წლიდან სწავლა

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე. 1961 წლიდან თბილისში გადმოდის და სწავლასთან ერთად წარმოებაში მუშაობს. 1963 წელს ამთავრებს უმაღლეს საწავლებელს და უკვე ორი წლის შემდეგ კვლავ უბრუნდება თავის საყვარელ საქმიანობას – მუშაობას იწყებს თბილისის ალ. ყაზბეგის სახელობის № 38-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზის გამგედ. 1967 წლიდან ასევე დარბაზის გამგედ მოღვაწეობს ოვანეს თუმანიანის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში, ხოლო 1972 წლიდან უკვე ამ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელია.

ნ. მუსერიძე ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა საბიბლიოთეკო თეორიასა და მეთოდიკისადმი. 1984-86 წლებში ლექციებსა და სემინარებს აგარებს სკოლების ბიბლიოთეკარებთან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. გამუდმებით მუშაობს საბიბლიოთეკო საქმეში პედაგოგიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც საბოლოოდ 1988 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვით დაასრულა. 1989/90 ს. წელს პედაგოგიკაში ლექციებს კითხულობს თბილისის ილ. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1991 წლიდან გადადის თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. სისტემატურად ასრულებს წლიურ სამეცნიერო შრომებს; ერთ პერიოდში ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებსა და წიგნებს. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები: “სა-

სკოლო ბიბლიოთეკის როლი უფროსკლასელთა პროფესიულ ორიენტაციაში”, “სასკოლო ბიბლიოთეკა და პროფესიული ორიენტაცია”, “მასობრივი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაცია სასკოლო ბიბლიოთეკაში”, “კითხვის ხელმძღვანელობის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლები”, რომლებიც ბროშურების სახით გამოიცა, აგრეთვე სტატიები: “სასკოლო ბიბლიოთეკის დიდი ამოცანა”, “უფროსკლასელთა პროფესიული ორიენტაციის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლები”, “ბიბლიოთეკარის პედაგოგიური გაქტი მკითხველებთან მუშაობის დროს”, “ბიბლიოთეკა, როგორც გონებრივი და ესთეტიკური აღზრდის ცენტრი”.

ნ. მუსერიძეს საკმაოდ კარგად იცნობდა საბიბლიოთეკო სამოგადობა. გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო ორგანიზაციით, როგორც ენერგიული ხელმძღვანელი. მიღებული აქვს მთავრობის ორი საპატიო სიგელი, მინიჭებული ჰქონდა საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება, 2002 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.



ყველასათვის მოულოდნელად გამოაკლდა ის ჩვენს რიგებს. ვიცით, რომ ჰქონდა მნიშვნელოვანი გეგმები, კიდევ ბევრი რამის გაკეთებას აპირებდა, მუშაობდა წიგნის გამოსაცემად, შეეძლო კიდევ ეკეთებინა სასარგებლო საქმე, მაგრამ არ დასცალდა, სურდა ჩვენს ჟურნალში აქტიურად ემოღვაწა, ერთი სტატია კიდევ გამოაქვეყნა, სხვასაც გვპირდებოდა. ველოდით მისგან რაიმე საინტერესო გამოკვლევას, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი: დღეს მასზე ვწერთ და, სამწუხაროდ, მოგონებას, უკვე წარსულ დროში.





ამერიკა - ემსახურებიან სკოლამდელებს

ამერიკა - საბავშვო ბიბლიოთეკა



ამერიკა - ემსახურებიან სკოლამდელებს

ვილიამსბურგი - შეხვედრა სკოლაში



